საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი

პოლიგოლოგიის ლექსიკონი

თბილისი — 1999 წ.

განხილული და რეკომენდებული
საქართველოს სახელმწიფო აგრარული
უნივერსიტეტის მეთოდოლოგიური საბ-
ჭოს მიერ (ოქმი № 8. 19. 06. 96 წელი)

შემდგენელი პროფ. ს. თავბერიძე

რეცენზენტ. პროფ. ვლ. ჭანუყვაძე

რედაქტორი დოც. ნ. ჭკუასელი

© საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, 1999 წ.

შემდგენელისაგან

ლექსიკონი განკუთვნილია უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის, იმათთვის, ვისაც აინტერესებს პოლიტიკის — პოლიტოლოგიის, ხელისუფლების — კრატოლოგიის პრობლემები, პოლიტიკური ცხოვრების მოვლენები და განსაკუთრებით იმათთვის, ვინც პირადად აპირებს გვერდზე არ განუდგეს ბობოქარ მოვლენებს, უმაწვილობიდანვე იყოს მათი უშუალო, აქტიური და დაინტერესებული მონაწილე.

ლექსიკონი ყველას დაინტერესებს, ვინც პოლიტიკისაგან ელის სარგებლობასა და სიკეთეს როგორც საკუთარი თავის, ისე ხალხისათვის.

ა

აბსენტეიზმი — (ლათ. absentia — დაუსწრებლობა), თავის არიდება წარმომადგენლობითი ორგანოს ან თანამდებობის პირის არჩევნებში მონაწილეობისაგან; არასაპატიო მიზეზით სისტემატური გამოუცხადებლობა პარლამენტის დეპუტატებისა, ყრილობის დელეგატებისა და სხვ. სხდომებზე, რაც ხდება მიზეზი კანონპროექტების ან გადაწყვეტილებების მიუღებლობისა.

აბსენტეიზმი — გამოხატავს მოსახლეობის ფართო მასების პროტესტს არსებული რეჟიმის ან არჩევნების ანტიდემოკრატიული სისტემის წინააღმდეგ და ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებით გამოწვეულ უკმაყოფილებას.

აბსოლუტიზმი — (ლათ. absolutus — შეუზღუდველი, თავისუფალი, უთუოდ, სრული, დამოუკიდებელი) — მარადიული, განუსაზღვრელი და განუპირობებელი ან უპირობო საფუძველი ყოველივესი; მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება მთლიანად და განუყოფლად ეკუთვნის ერთ პირს — მონარქს; ტოტალიტარული ხელისუფლების ნაირსახეობა: თვითმპყრობელობა

აბსურდი პოლიტიკაში (ლათ. absurdus — უაზრო, შეუსაბამო), — ბოლომდე გაუაზრებელი, აშკარად მცდარი, უაზრო განცხადებები და მოქმედებები ამა თუ იმ ხელისუფლების წარმომადგენლების, ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეებისა, სხვადასხვა დაჯგუფებებისა, პარტიებისა; სოციალური დაძაბულობის გაღრმავება, პოლიტიკური დესტაბილიზაცია.

აგიტაცია — (ლათ. agitatio — ამოძრავება), მასებზე პოლიტიკური ზემოქმედების ეოთ-ერთი საშუალება, კლასების და მათი პარტიების საბრძოლო იარაღი. აგიტაცია გულისხმობს აქტიური მოქმედებისკენ მომწოდებელი რაიმე იდეის ან ლოზუნგის გავრცელებას ფართო მასებში. ამ მიზნით იყენებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მიტინგებს, კრებებს, დემონსტრაციებს და სხვ.

აგრესია — (ლათ. aggressio — თავდასხმა) — თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთი უმნიშვნელოვანესი ახსნა, რომელიც მიღებული იქნა 1974 წ. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, ამ განსაზღვრით, აგრესია — სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ვაძოყოფენ აგრესიის ძემდეგ ფორმებს: 1) პირდაპირი აგრესია სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც ითვლება უმძიმეს საერთაშორისო დანაშაულად და გაეროს წესდების დარღვევად. 2) ირიბი აგრესია — შეიარაღებული ძალების ფარული გამოყენება შეიარაღებული ბანდების და დაქირავებულების გამოყენებით. 3) აგრესიის თანამონაწილე — სხვა სახელმწიფოსათვის ნების დართვა, რომ მან მის განკარგულებაში გადმოცემული ტერიტორია გამოიყენოს აგრესიისათვის მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ᲐᲓᲔᲞᲢᲘ — (ლათ. adeptus — მიღწეული), რომელიმე მოძღვრების, პოლიტიკური დოქტრინის, იდეის თავგამოდებული დამცველი.

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ — (ლათ. administratio — მმართველობა), 1) სახელმწიფოს აღმასრულებელ ორგანოთა სისტემა და მათი საქმიანობა; 2) დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი პერსონალი. ამა თუ იმ დაწესებულების, საწარმოს თუ ორგანიზაციის აღმინისტრაციის სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს მისი დებულება ან წესდება და უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის კონსტიტუცია და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები.

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ — (ლათ. administro), 1) მძართველობა, გამგებლობა, 2) მართვა ფორმალურად, ბიუროკრატიულად, მხოლოდ ბრძანებებით და განკარგულებებით, კონკრეტული ხელმძღვანელობის, საქმის ცოდნის და ახსნა-განმარტებითი მუშაობის გარეშე.

ᲐᲕᲐᲜᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ — ფრანგ. aventure — თავგადასავალი); თავგადასავალი, ჩვეულებრივ — საძრახისი, უპერსპექტივოდ, რეალური ძალებისა და პირობების გაუთვალისწინებლად, შემთხვევითი წარმატების იმედით წამოწყებული საქმე. პოლიტიკური ავანტურა უაღრესად საშიშია, გათვლილია რა შემთხვევითობაზე, ხანმოკლე წარმატებაზე, და, როგორც წესი, განწირული დასაღუპად, ხარუმატებლობაზე, ისინი ჩვეულებრივ აისახებიან ერების, ხალხების, სახელმწიფოების ბედზე, იწვევენ სოციალურ და ეროვნულ დაძაბულობას.

ᲐᲕᲢᲐᲠᲙᲘᲐ — (ბერძნ. autarkeia <autos — თვითდაკმაყოფილება, საკმარისად მივიჩნევ, თვითდაკმაყოფილება, დამოუკიდებლობა) ეკონომიკაში — ამა თუ იმ კაპიტალისტური ქვეყნის ფარგლებში კარჩაკეტილი, თვითკმარი, გარესამყაროსგან დამოუკიდებელი ეროვნული მეურნეობის შექმნა, რაც იწვევს სხვა ქვეყნებთან ტრადიციული საერ-

თაშორისო ეკონომიკური კავშირის გაწყვეტას. ავტარკია არის ეკონომიკური სეპარატიზმის და ეროვნული ეგოიზმის ყალბად გაგებული სუვერენიტეტის დამღუპველი პოლიტიკა.

ავტოკრატია — (ბერძნ. autokrateia — თვითმპყრობელობა), სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც შეუზღუდველი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება თავმოყრილია ერთი პირის ხელში. 2) სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია ასეთი მმართველობა. ტერმინი თანამედროვე ლექსიკონში იხმარება ისეთი პოლიტიკური რეჟიმის აღსანიშნავად, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება ხელთ უპყრიათ წარმომადგენლობითი ორგანოს კონტროლს გარე მყოფ „ლიდერებს"; ქვეყნის მართვის ისეთი სისტემა, რომლის დროსაც მთელი უმაღლესი ძალაუფლება ერთი პირის ხელშია მოქცეული შეუზღუდავად; ავტოკრატიას არაიშვიათად თან ახლავს უხეში ძალმომრეობა და უკანონობა და არსებითად შეუთავსებელია ხელისუფლებისა და საზოგადოების დემოკრატიულ მოწყობასთან.

ავტონომია — (ბერძნ. autonomia — თვითმმართველობა, დამოუკიდებლობა). 1) სუვერენული სახელმწიფოს ერთი ნაწილის განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობა — თვითმმართველობის, სახელმწიფო საკითხთა დამოუკიდებელი გადაწყვეტის უფლება. გათვალისწინებულია სახელმწიფო კონსტიტუციით ან სხვა საკანონმდებლო აქტით. 2). სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში. საქართველოს კონსტიტუციით რესპუბლიკის შემადგენლობაში მისი სუბიექტების ფორმით შედის ორი ავტონომიური რესპუბლიკა და ერთი ავტონომიური ოლქი.

ავტორიტარიზმი — (ფრანგ. autoritaire — მბრძანებლური, ლათ. auctoritas — ძალაუფლება, ზეგავლენა), ანტიდემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ემყარება ხელისუფლების სათავეში მდგომი პირის ავტორიტეტს და მისდამი უსიტყვო მორჩილებას მოიცავს. ავტორიტარიზმის პირობებში წარმომადგენლობით ორგანოებს მნიშვნელობა დაკარგული აქვს; ავტორიტარული რეჟიმის პირობებში დაშვებულია შეზღუდული და მკაცრად კონტროლირებადი პლურალიზმი პოლიტიკურ აზროვნებაში, მოქმედებაში. ავტორიტარიზმი შეურიგებელია პოლიტიკურ ოპოზიციასთან, უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში და მოსაწურებლად მოქალაქეთა ფაქტიურ მონაწილეობასთან.

ალტერნატივა — პოლიტიკაში (ფრანგ. alternative ლათ. alternatio მონაცვლეობა <Alterno რისამე შენაცვლებით ,ეოება),

ორი ერთმანეთად გამრმრიცხავი შესაძლებლობისაგან ერთ-ერთის არ-ჩევის აუცილებლობა.

ალტრუიზმი — (ფრანგ. **altruisme** ლათ. **alter** — სხვა) საკუთარ ეგოისტურ მისწრაფებათა დაძლევა და მოყვასზე უანგარო ზრუნვა, სხვების კეთილდღეობისათვის საკუთარი ინტერესების მსხვერპლად შეწირვა.

ამბიცია პოლიტიკური (ლათ. **Ambitio** — პატივმოყვარეობა), ცუდმედიდობა, ქედმაღლობა, ამპარტავნობა, გადაჭარბებული თავმოყვარეობა, უკიდურესი გულმოსულობა) — პოლიტიკოსის აზროვნებისა და მოქცევის ფორმა, რომელიც ემყარება სინამდვილის უაღრესად პირადულ წარმდგენებსა და სუბიექტურ შეფასებას, გადაჭარბებულ თვითშეფასებას, ყოყლოჩინობას, რასაც მიჰყავს არასწორ და უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებამდე და საქციელამდე, საბოლოოდ უყალიბდება საკუთარი უდანაშაულობის და შეუცდომლობის რწმენა, აგრეთვე ცრუ რწმენა იმისა, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და საქციელი არის სწორი და განსაკუთრებული.

ალიანსი (ფრანგ. **alliance**). კავშირი, გაერთიანება) სახელმწიფოებისა, ორგანიზაციებისა).

ანარქიზმი — (ბერძნ. **anarchia** — უხელისუფლებლობა (სოციალურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს ყოველგვარ სახელმწიფო ხელისუფლებას, სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაციის ყოველგვარ ფორმას, ქადაგებს პიროვნების ე.წ. აბსოლუტურ თავისუფლებას. თანამედროვე პირობებში ანარქიზმი უარყოფს ავტორიტეტებს, კანონიერებას, წესრიგს, დისციპლინას.

ანკლავი (ფრანგ. **anclave** — მიწადაქსაქსულობა) სახელმწიფოში სახმელეთო ტერიტორიის განცალკევებული ნაწილი, რომელსაც ს

ბისმიერ სფეროში წარმოქმნილი ანტაგონიზმები საბოლოოდ გადადის პოლიტიკურში და წარმოადგენს პოლიტიკურ მოვლენას. ეს იმის გამო ხდება, რომ ანტაგონიზმის სიღრმისეული მიზეზი ბუდობს ერთმანეთთან მებრძოლი მხარეების, ჯგუფების, პარტიების და ა. შ. ურთიერთდაპირისპირებულობაში, რომლებიც თავიანთი მიზნის მისაღწევად მიისწრაფვიან ხელისუფლებისაკენ. საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროზე ანტაგონისტურ წინააღმდეგობას ყოველთვის გააჩნია ზრდის სახიფათო ტენდენცია, თავის ორბიტში მოაქციოს სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალები. ანტაგონისტური წინააღმდეგობათა გადაჭრის ფორმები განისაზღვრება კონკრეტული ისტორიული პირობებით.

ანტისემიტიზმი — (ფრანგ. antisemitisme გერმან. Antisemitismus) — ერო ნული და რელიგიური შეუწყნარებლობის ერთ-ერთი ფორმაა; ებრაელთა მიმართ მტრული დამოკიდებულება. შოვინიზმის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც დაგმო საერთაშორისო საზოგადოებრიობამ.

აპარტეიდი — (აფრიკ. **Apartheid** (ბურების ენაზე) ცალ-ცალკე ცხოვრება), თეთრკანიანთა და ფერადკანიანთა სრული გათიშვის სახელმწიფო პოლიტიკა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. აპარტეიდი რასობრივი დისკრიმინაციის უკიდურესი ფორმაა, მიმართულია უპირატესად მკვიდრი აფრიკული მოსახლეობის — ბანტუს ტომების, აგრეთვე სხვა ფრიკელ და არაევროპელ ფერადკანიანთა წინააღმდეგ. აპარტეიდის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვიან ფერადკანიან და თეთრკანიანთა პროგრესული ორგანიზაციები. გაერომ მრავალჯერ დაგმო აპარტეიდი, როგორც სერიოზული საერთაშორისო დანაშაული.

აპატრიდი — (ბერძნ. apolis უარყ. ნაწ. polis — ქალაქი — სახელმწიფო: apartis უსაბრძოლო). მოქალაქეობის არმქონე პირი. ე. ი. პირი, რომელიც არც ერთი სახელმწიფოს მოქალაქე არ არის. აპატრიდია, როცა პირი კარგავს ერთი სახელმწიფოს მოქალაქეობას და ვერ იძენს მეორისას (მაგ. თუ ქალს უცხოელთან დაქორწინების გამო მისი სახელმწიფოს კანონი ართმევს მოქალაქეობას, ხოლო ქმრის სახელმწიფოს კანონი ავტომატურად არ ანიჭებს თავის მოქალაქეობას). პირი შეიძლება აპატრიდი იყოს დაბადებიდანვე (მაგ. თუ ბავშვი უცხოეთში დაიბადა და ამის გამო მას მშობლების სახელმწიფო არ თვლის თავის მოქალაქედ, ოლო ის სახელმწიფო, სადაც იგი დაიბადა, არ ანიჭებს მას თავის მოქალაქეობას).

აპარატი (ლათ. apparatus მოწყობილობა); 1) (დაწესებულ[illegible] ან დაწესებულებები, რომლებიც ემსახურება მმართველობის ან

მეურნეობის რომელიმე დარგს; 2) დაწესებულებების თანამშრომელთა ერთობლიობა, შტატი; მიუხედავად ბოლო წლებში აპარატის მისამართით გამოთქმული არა ერთი მკაცრი კრიტიკისა, ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი მმართველობის და ხელისუფლების ფუნქციების განსახორციელებლად.

აპოლიტიკურობა — ბერძნ. a — უარყ. ნაწილაკი და პოლიტიკა), უარყოფითი, პასიური, გულგრილი დამოკიდებულება საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მიმართ; იგი მიზნად ისახავს მასების ჩამოშორებას პოლიტიკური პრობლემებისაგან და ქადაგებს „არაპარტიულობას". ხალხის აპოლიტიკურობის ერთ-ერთ გამოვლინებად ითვლება ამა თუ იმ საარჩევნო კამპანიაში, რეფერენდუმში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიუღებლობა.

არენა — (ლათ. (h)arena — ქვიშა), 1) ძვ. რომში — ქვიშით და ფარული მრგვალი ან ოვალური მოედანი ამფითეატრის ცენტრში, რომელზედაც იმართებოდა გლადიატორთა ბრძოლები, სპორტული ასპარეზობები და სხვ., პოლიტიკური არენა — ამა თუ იმ პოლიტიკური ძალების, მოქმედების ადგილი ან მოღვაწეობის სფერო. მაგ. პოლიტიკური ბრძოლის, საერთაშორისო, სამხედრო არენა და სხვ.

არისტოკრატია — (ბერძნ. aristokratia<aristos — საუკეთესო, რჩეული, kratos — ძალაუფლება). 1. გვარიშვილობით ან სიმდიდრით წარჩინებულთა პრივილეგირებული ზედაფენა ექსპლოატატორულ საზოგადოებაში: 2. სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც ხელისუფლება ეკუთვნის საზოგადოების პრივილეგირებულ ფენას (წარჩინებულთ). მაგ. საბერძნეთში არისტოკრატიული ელემენტის შექმნას და გაძლიერებას საფუძვლად დაედო უხუცესთა საბჭოს წევრების შერჩევა გვარის ერთი და იმავე ოჯახიდან. წარჩინებულმა გვარებმა თანდათან მთელი სახელმწიფო ხელისუფლება მიითვისეს. თანამედროვე პირობებში სახელმწიფო მმართველობის არისტოკრატიული ფორმა არ არსებობს ძის ოფიციალურ სახელწოდებებში, რომლებშიც ძალაუფლება დღესაც კი ხელთ უპყრია მდიდარ და წარჩინებულ გვარებს. როგორც წესი, მმართველობის ეს ფორმა ინიღბება და გამოდის მთელი ხალხის სახელით, როგორც კანონიერად არჩეული ხელისუფლება.

ასოციაცია (ლათ. associare — ეაერთებ, ვაკავშირებ), გაერთიანება, კავშირი, ამხანაგობა, ცალკეულ პირთა ან ორგანიზაციათა ნებაყოფლობითი გაერთიანება საშეურნეო, პოლიტიკურ, სამეცნიერო, კულტურულ და სხვა მიზნით.

აუდიენცია დიპლომატიური — ლათ. audientia — მოსმენა), ოფიციალური მიღება სახელმწიფოს მეთაურისა ან სხვა მაღალი თანამდებობის პირის მიერ, საერთაშორისო სამართლის თანახმად, დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს უფლება აქვს მოითხოვოს აუდიენცია სახელმწიფოს თუ მთავრობის მეთაურთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან.

აუტსაიდერი — (ინგ. autsider — გარეშე), საწარმოები და კომპანიები, რომლებიც არ შედიან მონოპოლისტურ გაერთიანებებში. აუტსაიდერი შეიძლება იყოს როგორც წვრილი და საშუალო, ასევე მსხვილი საწარმოები. მსხვილ საწარმოები კონკურენციას უწევს მსხვილ მონოპოლიებს. თავის მხრივ, მონოპოლისტური გაერთიანებები აუტსაიდერების წინააღმდეგ კონკურენციულ ბრძოლაში მიმართავენ სხვადასხვა ხერხს (ნედლეულის მიუწოდებლობა, კრედიტის შეზღუდვა და სხვ.). აუტსაიდერი შეიძლება იყოს სახელმწიფო.

აქტი — (ლათ. actus — მოქმედება, actum — დოკუმენტი) 1) რაიმე ცალკეული მოქმედება (მაგ. ტერორისტული აქტ). 2) სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტი, ჩანაწერი, ოქმი. 3) კანონი, ბრძანება, დადგენილება და სხვ., რომელიც გამოიცემა უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ.

ბ

ბლეფი — (ინგ. bluff — ტყუილი) — უსაფუძვლო ტრაბახი, რაღაცის მოგონება, შეთხზვა ვისიმე მოტყუების, თავის განდიდების მიზნით. 2. პოკერის თამაშში: მოწინააღმდეგის დასაშინებელი ხერხი — მოთამაშე, რომელსაც ცუდი კარტი აქვს, ი) იქერს თავს, თითქოს კარგი, მომგებიანი კარტი ჰქონდეს. პოლიტიკურ საქმიანობაში ბლეფ (არმოადგენს საკმაოდ ხშირ მოვლენას და იგი მიეკუთვნება პოლიტიკოსის პირადულ თვისებებს, რომლისთვისაც რაიმეს შეთხზვა, გამოგონება ვინმეს მოტყუების ან დაშინების მიზნით, არარსებული ძალებითა და საშუალებებით, ტრაბახი წარმოადგენს აუცილებელ მეთოდებს და ხერხებს მოწინააღმდეგეზე (ოპონენტზე) პოლიტიკური ზემოქმედებისათვის. პოლიტიკური შემთხვევების ან მოვლენების სერიოზული პოლიტოლოგიური ანალიზი, აგრეთვე ამა თუ იმ პარტიების და მათი ლიდერების საქმიანობა (მოქმედება) აუცილებ ად უნდა ითვალისწინებდეს ბლეფის შესაძლ ბლობას მათი მხრიდან და შესაბამის რეაგირებას, მათ შორის — გამაფრთხილებელსაც.

ბლოკი — (ინგლ. block — კავშირი) პოლიტიკური, მუდმივი ან დროებითი შეთანხმება, კავშირი, რომელ საც დებენ სახელმწიფოები, პარტიები ან დაჯგუფებები ერთობლივი მოქმედებით საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ბლოკი სხვადასხვა ფორმით ვლინდება: ბლოკში შესულთა კოლექტიური მიმართვა მოსახლეობისადმი, არჩევნებში ერთი და იმავე კანდიდატების წამოყენება, საერთო პოლიტიკური პლატფორმის შემუშავება, კოალიციური მთავრობის შექმნა, კლასობრივ ბრძოლებში გაერთიანებული საბრძოლო გამოსვლები, საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი, შეიარაღებული ბრძოლა. პოლიტიკური ბლოკები იქმნებოდა და იქმნება სახელმწიფოთა კავშირის ფორმით, კოალიციური მთავრობების ფორმით, საერთო საკოორდინაციო ცენტრების ფორმით და სხვ. (მაგ. ნატო, სეატო, სენტო).

ბლოკადა — (ინგ. blockade), მტრული ქვეყნების მიერ რომელიმე სახელმწიფოს პოლიტიკური ან ეკონომიკური იზოლაცია მასზე პოლიტიკური ზემოქმედების მიზნით. სამხედრო ბლოკადის მიზანია მოწინააღმდეგის ობიექტის იზოლირება და კომუნიკაციის ყველა საშუალებისაგან მოწყვეტა. ბლოკადის ობიექტი შეიძლება იყოს ცალკეული სახელმწიფო, მისი შეიარაღებული ძალები; პოლიტიკური ბლოკადა ხორციელდება ორგანიზაციული და იდეოლოგიური საშუალებებით, როცა ერთი მხარე ახერხებს იზოლაციაში მოექციოს თავის მოწინააღმდეგო ბლოკადას ადგილი აქვს საპარლამენტო პრაქტიკაში.

განასხვავებენ აგრეთვე: დიპლომატიურ ბლოკადას — რაც ნიშნავს რიგი მოკავშირე ქვეყნების მიერ საგარეო პოლიტიკური კავშირების შეწყვეტას იმ ქვეყანასთან, რომელიც წარმოადგენს ბლოკადის ობიექტს.

ეკონომიკური ბლოკადა. — სახელმწიფოს ეკონომიკური იზოლაცია, რომლის მიზანია მომავლის ბლოკირებული ქვეყნის ეკონომიკა, მოუსპოს მას ნედლეულის წყაროები და გასაღების ბაზრები. ბლოკადა ხორციელდება სახელმწიფოებს შორის საგარეო ვაჭრობის, საფინანსო, საკრედიტო და სხვა ეკონომიკური კავშირების გაწყვეტით; ინფორმაციული ბლოკადა — ცალკეული ჯგუფების ინტერესების გამომხატველი ინფორმაციის მოწოდება მეორე მხარის საზიანოდ. ბლოკადას უწოდებენ ასევე იზოლაციის პირობებში ცხოვრების პირობებს, მილებული ინფორმაციის სიმცირეს, გარე სამყაროსგან მოწყვეტას.

ბოიკოტი — (ინგ. boycott) — ინგლისელი ჩ. კ. ბოიკოტის სახელის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც 1980 წ. პირველად გამოიყენეს ეს ღონისძიება მისი სისასტიკით აღშფოთებულმა ირლანდიელმა მო-

ჯარებმა. ეს არის სახელმწიფოს უარი ეკონომიკური, დიპლომატიური თუ სხვა ურთიერთობა იქონიოს ამა თუ იმ სახელმწიფოსთან. ბოიკოტი მოსახლეობის მიერ გამოიყენება, როგორც სრული ან ნაწილობრივი უარი არჩევნებში მონაწილეობაზე.

ბონაპარტიზმი — ტერმინი, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ დამყარებულ სამხედრო დიქტატურას (1799) აგრეთვე ლუი ბონაპარტის დიქტატურას; ეს არის დიქტატორული რეჟიმის ისტორიული ფორმა, რომელიც ეყრდნობა არმიასა და ბიუროკრატიულ აპარატს.

ბუნტი — (რუს. бунт) მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის ლოკალური, ადგილობრივი, სპეციფიკური, სტიქიური რეაქცია, რომელიც ჩვეულებრივ წარმოადგენს ფარულად დაგროვებული უკმაყოფილების, გაბოროტების შედეგს და მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც მოცემულ სიტუაციაში განიხილება როგორც ბოროტების წყარო, შექმნილი სიტუაციის მიზეზად. ბუნტი ხალხის აღშფოთების მანიფესტაციაა, და როგორც წესი, გადაიზრდება უწესრიგობაში, ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობაში, ნგრევაში, რბევაში, ბრძა და შეუგნებელ საქციელში, რომელსაც მოაქვს უბედურება და ტანჯვა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. ბუნტი შეიძლება სამთავრობო ხელისუფლების სტრუქტურებსა და ხალხს შორის განხეთქილების შედეგი იყოს. იგი ძველთაგანვე განიხილებოდა როგორც საშუალება ბოროტების მატარებლისაგან განთავისუფლებისა. მაგ. მემამულისა, ადგილობრივი ადმინისტრაციის, ქარხნის მეპატრონის და ა. შ. ძალადობისაგან. ბუნტი ხასიათდება ირაციონალურობით, მიზანთა, ! ურვილთა, საქციელთა და იმედთა უტოპიური ხასიათით.

ბიურო — (ფრ. bureau — კანცელარია) 1) ორგანიზაციის, საზოგადოებისა და დაწესებულების არჩევითი კოლეგიური ხელმძღვანელი და განმკარგულებელი ორგანო; 2) ზოგიერთი კანტორის, დაწესებულების, კანცელარიის სახელწოდება (აქედან: ბიუროკრატია).

ბიუროკრატი — (ფრ. bureaucrate) 1) თანამდებობის პირი, რომელიც მოვალეობას ფორმალურად, საქმის საზიანოდ ასრულებს. 2) პირი, რომელიც არის ბიუროკრატიის წარმომადგენელი.

ბიუროკრატია — (ფრ. bureaucratio — bureau — ბიურო, კანცელარია და ბერძნ. kratos — ძალა, ხელისუფლება, ბატონობა. კანცელარიის ბატონობა; ბიუროკრატისთვის დამახასიათებელია ის, რო-

ორგანიზაციის აღმასრულებელი ხელისუფლება უგულებელყოფს უმ-
რავლესობის ნებას და გადაწყვეტილებებს, მის საქმიანობაში მთავარი
მუშაობის ფორმა და არა შინაარსი, მისი მუშაობის წესები და ამო-
ცანები ექვემდებარება ფორმის შენარჩუნების და განმტკიცების მი-
ზანს. მისთვის დამახასიათებელია ხალხის ფართო მასებისგან მოწყვე-
ტა, პრივილეგირებული პარტიის ბიუროკრატიული ფენის არსებობა
და სხვა — განვითარება.

ბიუროკრატიზმი — 1. ექსპლუატატორული სახელმწიფოსათვის
დამახასიათებელი მმართველობის სისტემა, რომლის დროსაც ქვეყანას
მართავენ ხალხს მოწყვეტილი და გაბატონებული კლასის ინტერესე-
ბის დამცველი მოხელეები. 2. ფორმალური დამოკიდებულება საქმი-
სადმი, ცხოვრებისაგან მოწყვეტა. 3. კანცელარიობანა, საქმის გაჭიანუ-
რება, ფორმალობის დაცვის მიზნით საქმის არსის უგულებელყოფა.
ბიუროკრატიზმი წარმოიშობა ხელისუფლების სპეციალიერი ორგა-
ნოების მოწყვეტის შედეგად პრაქტიკული ცხოვრებისაგან. საბოლოო
ჯამში მმართველობა თავის თავში იკეტება, თავის ინტერესების დაკმა-
ყოფილებისათვის იღვწის. ბ ეროკრატიზმი სოციალური მმართველო-
ბის მახინჯი ფორმაა, უზნეო სახელმწიფოებრიობა ცალკეული პირების
ან სოციალური ჯგუფების სასარგებლოდ. პოლიტიკური ურთიერთობ-
ების სფეროში ბიუროკრატიზმი ვლინდება, უპირველეს ყოვლისა, რო-
გორც ხელისუფლება, რომლის არსებითი მიზანია საკუთარი არსებო-
ბის გამართლება.

გ

გარანტია — (ფრ. garantie — უზრუნველყოფა, დაცვა), 1) სამო-
ქალაქო სამართალში კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებუ-
ლი ვალდებულება, რომლითაც ფიზიკური ან იურიდიული პირი (გა-
რანტი) ქონებრივ პასუხისმგებლობას კისრულობს კრედიტორის წინა-
შე, თუკი მოვალე არ შეასრულებს ვალდებულებას. კრედიტორებისათ-
ვის გარანტი არის ზემდგომი ორგანო, რომელსაც ექვემდებარება ორ-
განიზაცია — მოვალე. მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულე-
ბას გარანტი იმ შემთხვევაში კისრულობს, თუ მოვალე არ დააკმაყო-
ფილებს კრედიტორის მოთხოვნებს, მაგრამ არა მთელი კრედიტის თან-
ხაზე, არამედ იმ ფარგლებში, რომელიც მოვალის საკუთარ საბრუნავ
საშუალებებს დააკლდა. გარანტიის მიზნობრივი დანიშნულებაა უმთავ-
რესად ბანკის (კრედიტორის) ინტერესების უზრუნველყოფა.

გენოციდი — (ბერძნ. genos — გვარი, და ლათ. caedio ვკლავ),

რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური მოტივებით მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ფიზიკური მოსპობა ან ცხოვრების ისეთ პირობებში ჩაყენება, რაც მათ განადგურებას გამოიწვევს. გენოციდი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია.

გეოპოლიტიკა — (ბერძნ. geos — მიწა), — პოლიტიკური კონცეფცია, დოქტრინა, რომელიც ეკონომიკური, ფიზიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის მონაცემების დამახინჯების გზით ცდილობს დაასაბუთოს ზოგიერთი სახელმწიფოს ექსპანსიური პოლიტიკა. გეოპოლიტიკის ფუძემდებელია ფ. რაცელი. მან პირველმა შეიმუშავა თეზისი პოლიტიკური ცხოვრების გეოგრაფიული განსაზღვრულობის შესახებ.

გერბი სახელმწიფო — (რუს. герб, პოლ. herb, გერმ. Erbe — მემკვიდრეობა), ემბლემა, მემკვიდრეობითი განმასხვავებელი ნიშანი, საგანგებოდ განლაგებული ფიგურები და საგნები, რომელთაც სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებათ და მფლობელის გვარ-ტომის ისტორიულ ტრადიციებს გამოხატავენ. გერბები იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად სახელმწიფო, სამიწაწყლო, კორპორაციული , საგვარეულო გერბები. გერბი გამოსახულია დროშებზე, ბეჭდებზე, მონეტებზე.

გუბერნატორი — (ლათ. gubernius, gubernator — მმართველი), თანამედროვე სახელმწიფოებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, დანია და სხვ.) ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის უმაღლესი თანამდებობის პირი. მაგ. აშშ-ში გუბერნატორი არის შტატის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური (მას მოსახლეობა ირჩევს); დიდ ბრიტანეთში — კოლონიის მმართველი (ნიშნავს ინგლისის მთავრობა); რევოლუციამდე რუსეთში — მთავრობის უმაღლესი მოხელე, გუბერნიაში, რომელიც ადმინისტრაციული საპოლიციო და სამხედრო ფუნქციებს ასრულებდა. თანამედროვე პირობებში საქართველოს ზოგიერთ რეგიონში პრეზიდენტის ბრძანებით დანიშნულია გუბერნატორები — საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენლები ადგილებზე

დ

დეზინფორმაცია — (ფრ. des, ლათ. informatio — შეტყობინება), ყალბი, არასწორი ინფორმაციის გავრცელება გაზეთის, რადიოს და სხვ. საშუალებით ვისიმე შესაცდენად.

დეკლარაცია — (ლათ. declaratio — განცხადება), 1) ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს (მთავრობის, პოლიტიკური პარტიის, საერ-

თაშორისო ორგანიზაციის (განცხადება თავისი პრინციპების, მიზნების ან პოზიციის შესახებ. გაეროს დეკლარაციებში ყალიბდება საერთაშორისო სამართლის პრინციპები. 2) ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც კერძო პირი სათანადო სახელმწიფო ორგანოს უცხადებს, თუ რა შემოსავალი აქვს, რას აგზავნის ამანათით, რა საბაჟო ფასეულობა მიაქვს საზღვარგარეთ და ა. შ. ამისდა მიხედვით არსებობს საბაჟო, საკადასახადო, საფოსტო დეკლარაციები.

რეკრეტი — (ლათ. decretum — ბრძანებულება, დადგენილება), სამართლებრივი აქტის სახელწოდება, რომელსაც აქვს კანონის ძალა. ნორმატიული აქტი, რომელიც გამოიცემა სახელმწიფოს მეთაურის ან მთავრობის მიერ; კანონის ძალის მქონე უმაღლესი სამთავრობო ხელისუფლების დადგენილება.

დელეგატი — (ლათ. delegatus — არჩეული, დანიშნული), არჩეული ან დანიშნული წარმომადგენელი რომელიმე ორგანიზაციის; დაწესებულების, სახელმწიფოს, კოლექტივის, რომელიც იცავს მათ ინტერესებს ყრილობებზე, კონფერენციებზე, საერთაშორისო მოლაპარაკების დროს, კონგრესზე და ა. შ.

დელეგაცია — (ლათ. delegatuo) — დელეგატების ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების, სახელმწიფოს და სხვ. მიერ, და წარმოადგენს მათ ინტერესებს ყრილობაზე, კონფერენციაზე, კონგრესზე, კრებაზე, აწარმოებს მოლაპარაკებებს და სხვ.

დემაგოგია — (ბერძნ. demagogia<demos — ხალხი და ago — მიმყავს), ხალხის მოტყუება ცრუ დაპირებებით, მლიქვნელობით და განზრახ დამახინჯებული ფაქტებით. დემაგოგიას ხშირად მიმართავენ პოლიტიკური მოღვაწეები მასების ნდობის მოსაპოვებლად. ძველ საბერძნეთში დემაგოგებად იწოდებოდნენ პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ფლობდნენ განსაკუთრებულ ორატორულ ხელოვნებას, რაც მათ პოპულარულს ხდიდა საზოგადოებაში. მაგ. პერიკლე. დღეს სულ სხვა მნიშვნელობისაა ეს სიტყვა. იგი იხმარება ისეთი პოლიტიკური გაბოსვლების შესაფასებლად, რომელიც არ შეიცავს კონსტრუქციულ იდეებს;

დემაგოგია — ეს საშიში და ნეგატიური მოვლენაა, რომელიც იძლევა ყალბ შეხედულებებს საზოგადოების ნამდვილ მდგომარეობაზე.

დემოკრატია — (ბერძნ. demokratia — ხალხის ძალაუფლება, demos — ხალხი, kratos — ძალაუფლება), საზოგადოებრიკული ორგანიზაციის, სახელმწიფოს ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ხე-

ლისუფლება ხალხისაგან მომდინარეობს და მოქალაქენი უფლებრივად თანასწორი არიან. დემოკრატია არის საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის ყველაზე თანამედროვე ფორმა, რომელიც ხალხს აღიარებს ხელისუფლების პატრონად; ხელისუფლების კონკრეტული — ისტორიული ტიპი, რომელიც აწარმოებს სახალხო ხელისუფლების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების საქმიანობის შესაძლებლობის, სამთავრობო ორგანოთა საქმიანობის კონტროლის დეკლარირებას. დემოკრატიის არსი, მისი მოქმედების მექანიზმი, მისი მოქალაქეობრიობისა და ცივილიზაციურობის დონე, ხელისუფლებრივი საგნობრიობა და ფუნქციონალურობა შეიძლება აიხსნას და გაგებულ იქნას მხოლოდ პოლიტიკური საზოგადოების ყველა სფეროსთან, პირველ რიგში კი ეკონომიკასთან. დემოკრატია და ეკონომიკა, როგორც ისტორიულმა გამოცდილებამ დაამტკიცა, ცხოვრების ერთიანი პროცესის ორი მხარეა. ამ ერთიანობაში ვლინდება ეკონომიკისა და პოლიტიკის უმჭიდროესი კავშირი. ეკონომიკურ გარდაქმნათა ორგანული ჩართვა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საერთო პროცესში. ეკონომიკური გარდაქმნები შეიძლება განხორციელდეს დემოკრატიული საწყისებისა და პრინციპების ყოველმხრივი განვითარების პირობებში. ეკონომიკის სფეროში— დემოკრატია პოულობს საგნობრივ განხორციელებას, საკუთრების სხვადასხვა ფორმების წარმოქმნაში საბაზრო დამოკიდებულებების, საწარმოო საქმიანობის სხვადასხვა ფორმების, ბიზნესის ჩამოყალიბებაში მეურნეობრიობის სახეობის თავისუფალი არჩევის უფლებაში პოლიტიკურ სფეროში დემოკრატია წარმოგვიდგება, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ურთიერთობათა მარეგულირებელი სამთავრობო სტრუქტურა. დემოკრატიის ძირითად თვისებას, ქმედითობის საზომს წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, საღი აზრის პოლიტიკის გატარება. დემოკრატია, მისი რეალური ძალა, საზოგადოებაზე მისი გაკლენის ხარისხი ფასდება არა აბსტრაქტული იდეოლოგიური და პოლიტიკური პოსტულატებით, არამედ ადამიანებისათვის ცხოვრების და საქმიანობის ადამიანური საფუძვლების შექმნით. ისტორიულად დემოკრატია გამოირჩეოდა ფორმათა, ტიპებისა და მისი გამოვლინების თავისებურებათა მრავალფეროვნებით (მაგ. თეოკრატია, გვაროვნული, ანტიკური, ბურჟუაზიული, პოსტინდუსტრიული და სხვ.).

ДЕМОКРАТИЗАЦИА — (ბერძნ. demoktratia — დემოკრატიული

საწყისების დანერგვა; სახელმწიფოს, საზოგადოების, კავშირის და სხვ. გარდაქმნა დემოკრატიის საფუძველზე; დემოკრატიულობა — ეს არის ხალხის ხელისუფლების ჩამოყალიბების ახალი ფორმა, რომელიც ეკვს ადამიანის სინდისს და ღირსებას, ღირებებს და თავისუფლებას, მიეხედავად თავისი სოციალური მდგომარეობისა, სქესისა, ასაკისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა; დემოკრატიზაცია არის მოღვაწეობის ფორმების არჩევის თავისუფლება; საკუთრების სხვადასხვა ფორმების საფუძველზე ახალი ეკონომიკური ურთიერთობის შექმნა; კანონის ჩარჩოებში მოქმედი ყველა საზოგადოებრივი ძალების თავისუფალი პოლიტიკური დიალოგის განხორციელების შესაძლებლობა; ხალხთა შორის მშვიდობიანი და თანაჭორუფლებიანი თანაცხოვრება, მოსახლეობის ყველა ეთნოეროვნულ ჯგუფებს შორის კულტურული ტრადიციების განვითარება.

დემონსტრაცია პოლიტიკური — (ლათ. demonstratio — ჩვენება). 1) სახალხო მსელელობა, მიტინგი ან საზოგადოების პოლიტიკური გაწყობილების მასობრივი გამოხატვა, სხვა ფორმა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს, პოლიტიკური პარტიების, მოძრაობების, პოლიტიკური ლიდერების საშინაო და საგარეო პოლიტიკის დასაცავად ან მათ წინააღმდეგ. პოლიტიკური დემონსტრაცია ტარდება პოლიტიკური ლოზუნგებით, რომელიც განსაზღვრავს მის შინაარსს. ის შეიძლება ჩატარდეს სტიქიურად, როცა ხალხს სასიცოცხლო ინტერესები ეხება და ისინი გამოხატავენ სოციალურ პროტესტს. ტერმინი იხმარება აგრეთვე რაიმე პოლიტიკური განაცხადის გაკეთების მიზნით.

დემოსი — (ბერძ. demos — „ხალხი") ეადატანითი გაგებით დემოსი ეწოდებოდა ძველ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოში თავისუფალ მოსახლეობას, რომლებსაც მოქალაქეობრივი უფლებები ქონდათ, დემოსში არ ითვლებოდნენ მონები.

დენონსაცია — (ფრ. denoncation — გამოცხადება) საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს განცხადება ჩადებული ხელშეკრულების მოქმედების შეჩერების თაობაზე. დენონსაციის უფლება გათვალისწინებულია თითქ ხელშეკრულებაში.

დეპოლიტიზაცია — (ლათ. de + ბერძნ. politike) — პროცესი და მიღწეული შედეგი მისწრაფებისა გამოიყენონ ესა თუ ის ორგანოები, ორგანიზაციები, ცხოვრებისა და მოღვაწეობის აუცილებელი პოლიტიკის, და უპირველეს ყოვლისა, ცალკეული (ან კონკრეტული) პარტიების პოლიტიკის აქტიური გაელენიდან.

დეპორტაცია — (ლათ. deportatio — განდევნა, გასახლება) ცალკეული პირების, ჯგუფების, ხალხების იძულებითი (ძალდატანებითი) გადასახლება, რომელიც ხორციელდება მთავრობის გადაწყვეტილებით. პიროვნების ან ხალხის გაძევება მისი მუდმივი ადგილსამყოფელიდან და სხვაგან იძულებით დასახლება.

დეპუტატი — (ლათ. deputatus — რწმუნებული), სახელმწიფო ხელისუფლების არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, რომელიც პასუხისმგებელი ან ანგარიშვალდებული ამომრჩეველთა წინაშე. აუცილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილების ვადის გასვლამდე იგი შეიძლება გაიწვიონ ამომრჩევლებმა (სარგებლობს ხელშეუხებლობის უფლებით).

დეპუტაცია — (ლათ. deputatio) — რწმუნებულთა ან არჩეულ პირთა ჯგუფი, რომელიც მოუმზადებს რაიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან. კრების დავალებით შეამდგომლობით უმთავრესად მაღალ ინსტანციებში, საქართველოს ორგანიზაციებისა და საქმართველოს წინაშე.

დესპოტია — (ბერძნ. despoteia — შეუზღუდავი ხელისუფლება, სახელმწიფო წესიერებისა და ძალთველობის ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია უკიდურესი ცენტრალიზაცია, ეროვნული ერთიანობა — დესპოტის თვითნებობა და ქვეშევრდომთა უფლებრივობა.

დესპოტიზმი — პოლიტიკური (ბერძნ. despoteia — შეუზღუდავი ხელისუფლება), თვითნებობა, რომელიც ახასიათებს ლიმოკრატიულ ხელისუფლებას, ადამიანთა ინდივიდუალური ყოველგვარ ინიციატივას, დესპოტიზმი — ეს არის ერთპიროვნულობა თვითნებობის პოლიტიკაში.

დესტაბილიზაცია პოლიტიკაში — (ლათ. de + stabilis — მყარი, მდგრადი) პროცესი, რომელიც გამოწვეულია საზოგადოებრივ სტრუქტურების დაშლით, დაკარგვით, უფლებამოსილებით, რომელიც განაპირობებს ეკონომიკის მოშლას, სასიცოცხლოებლობის ცხოვრების ყველა სფეროში წინააღმდეგობრივ და კონფლიქტურ მოვლენებს, კანონების შეუსრულებელობას, მთავრობის ცალსახა ბრძანებულებათა და დადგენილებათა იგნორირებას. პოლიტიკური დესტაბილიზაცია ეროვნულად მიუღებელ არჩევის, სახელმწიფო უშიშროებისა და მინავალ საქმეთა ორგანოებს, სასამართლო და პროკურატურის, აგრეთვე ტრადიციულ პოლიტიკური ინსტიტუტების მდგომარეობაზე. პოლიტიკუ-

რი დესტაბილიზაციის დაძლევის ინტერესები მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, დაძლეულ იქნას ეხელისუფლებობა, შემცირდეს პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობის დონე, გადაიჭრას ძირითადი კონფლიქტები სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის, გადაწყვეტილი იქნას საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შეზღუდული ურთიერთთანამშრომლობის საკითხი.

დეცენტრალიზაცია — (ლათ. de + centrum) — 1. მმართველობის ფორმა, როცა ნაწილ. ფუნქციებისა გადადის ადგილობრივი მმართველობის ხელში; 2. ცენტრალიზაციის დროს შესუსტება ან მისი გაუქმება.

დიალოგი — პოლიტიკური (ბერძნ. dialogos) — საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის. ადამიანთა, როგორც თანამოაზრეთა, ისე სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური ორიენტაციის მქონეთა ურთიერთობის დემოკრატიული ფორმა ყველაზე უფრო განსხვავებული სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ამოცანების გადაწყვეტის პოვნის, შეთანხმებული მოქმედების გამომუშავების მიზნით. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ძნელია საზოგადოების დემოკრატიზაციის პირობებში მასში აზრთა პლურალობის არსებობისას, ალტერნატიული იდეების და კონცეფციების ბრძოლისას. როგორც ურთიერთობის ფორმა — დიალოგი მოითხოვს მოთავაზებრივ და ღრმა ცოდნას, კომპეტენტურობას, კულტურას, თავდაჭერილობას, საწინააღმდეგო თვალსაზრისისადმი პატივისცემას. პოლიტიკური დიალოგის ფორმები სხვადასხვანაირია: ეს არის კამათი, დისპუტები, აზრთა ფართო გაზიარება როგორც აუდიტორიაში, ისე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში; დიალოგის მიზანია — თვალსაზრისის გამოკვეთა, განსახილველ საკითხებზე თანხმობის მიღწევა, და რაც მთავარია — ურთიერთშეთანხმებული მოქმედების განხორციელება.

დიქტატორი — (ლათ. dictator<dicto — ეკარნახ ობ, ეაწესებ. ვადგენ), განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვილი მმართველი. დესპოტი; ძველ რომში საგანგებო ანამდებობის პირი, რომელსაც უკიდურესი საფრთხის დროს ნიშნავდნენ. XX ს-ში სხვადასხვა გარემოებათა გამო ზოგიერთ ქვეყნებში ხელისუფლებაში მოდიოდნენ დიქტატორები, რომლებმაც ხალხების ცხოვრებაში საშინელი კვალი დატოვეს, მათ შორის იმ სახელმწიფოებში, სადაც „აყაზარმული" სოციალიზმი იყო.

დიქტატურა — (ლათ. dictatura — დიქტატურის ხელისუფ[illegible]

ცნება, რომელიც ახასიათებს ხელისუფლების განხორციელების სისტემას სახელმწიფოში. იხმარება ორი მნიშვნელობით: 1) სახელმწიფო ხელისუფლების არსი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურად გობატონებული კლასის პოლიტიკურ ბატონობას; 2) ხელისუფლების განხორციელების წესი (დიქტატორული მეთოდები, დიქტატორული რეჟიმი და სხვ.). XIX ს. შუა ხანებიდან და XX ს. მრავალ ათწლეულში მარქსიზმის მეირ წამოყენებულმა პროლეტარიატის დიქტატურის იდეამ ვახიცადა სასტიკი კრიტიკა და საბოლოო ჯამში დისკრედიტებული იქნა.

დიპლომატი — (ფრ. diplomate) — თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს თავისი სახელმწიფოს ოფიციალურ ურთიერთობას უცხო სახელმწიფოებთან. დიპლომატად ითვლება საგარეო საქმეთა უწყებებისა და უცხო სახელმწიფოებში დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ყოველი თანამშრომელი, რომელსაც დიპლომატიური რანგი აქვს; 2) ოწოდებენ ადამიანს, რომელიც მოხერხებულად მოქმედებს, თავისი მიზნის მისაღწევად ფარავს ჭეშმარიტ სურვილს, თვალთმაქცობს.

დიპლომატია — (ფრ. diplomatie), სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა და საგარეო ურთიერთობის ორგანოთა ოფიციალური საქმიანობა საგარეო-პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად, საზღვარგარეთ. ტერმინი „დიპლომატია" მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „diploma" — წარწერიანი ორკეცი დაფა, რომელიც ძველ საბერძნეთში რწმუნებულების საბუთად ეძლეოდა სხვა ქვეყანაში გაგზავნილ დესპანს. დიპლომატიის ძირითადი ფორმებია: სახელმწიფოთა თუ მთავრობათა მეთაურების, საგარეო უწყებათა ხელმძღვანელების ან საგანგებო უფლებამოსილი პირების კონფერენციები და თათბირები, საერთაშორისო შეთანხმებათა დადება, საგარეო უწყების და უცხო დიპლომატიური წარმომადგენლობების მიმოწერა (დიპლომატიური ნოტა, მემორანდუმი და ა. შ.) ან უშუალო მოლაპარაკება. გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნამ სათავე დაუდო მრავალმხრივ დიპლომატიას.

დირექტივა — (ლათ. directio) — ზემდგომი ორგანოს სახელმძღვანელო მითითება, რომლის შესრულება აუცილებელია ხელქვეითთა მიერ.

დისკრიმინაცია — პოლიტიკური (ლათ. discriminatio — განსხვავება) სახელმწიფოში განსაზღვრული კატეგორიის მოქალაქეებისათვის იმ უფლების ჩამორთმევა ან შეზღუდვა, რომელიც ანიჭებულ

აქვთ სხვა მოქალაქეებს. დისკრიმინაცია შეიძლება ხდებოდეს მოქალაქეთა რასობრივი კუთვნილების, ეროვნების, სქესის, სარწმუნოების, პოლიტიკური მრწამსის და სხვ. მიხედვით. დისკრიმინაციის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმებია საარჩევნო უფლების ჩამორთმევა, მოქალაქეობის მიცემაზე უარის თქმა, წიგნის გამოცემის, სტატიის, საჯარო გამოსვლების აკრძალვა, სამსახურიდან დათხოვნა და სხვ.

დისკუსია — პოლიტიკური — (ლათ. discussio — განხილვა, გამოკვლევა), რაიმე სადავო საკითხის საჯარო განხილვა; კამათი, პაექრობა, რომლის დროსაც გაირჩევა განსხვავებული თვალსაზრისები. დისკუსიას ადგილი აქვს ყრილობების, პარლამენტის, სხვადასხვა კომიტეტების და კომისიების სხდომების, პოლიტიკური პარტიების კრებების დროს, პრესაში, პოლიტიკურ მოღვაწეთა კერძო საუბრებში და ა. შ. მათ შეიძლება ჰქონდეთ პროგრესული, კონსტრუქციული ან დესტრუქციული, უშედეგო ხასიათი. დისკუსია შეიძლება ტარდებოდეს სრული საჯაროობის პირობებში, მაგალითად, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დახმარებით ან შეზღუდული საჯაროობის პირობებში, მაგალითად, ერთ ორგანიზაციაში, პარტიაში, ანდა საჯაროობის გამორიცხვის პირობებში, როგორც წესი, ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენელთა ვიწრო წრეში; ამ ვარიანტებს შეიძლება გააჩნდეთ თავისი მოტივები და უპირატესობანი, ისევე როგორც ნაკლოვანებები. დისკუსიის წარმოება მისი მონაწილეებისაგან მოითხოვს პროფესიონალურ კომპეტენტურობას, მაღალ პოლიტიკურ კულტურას.

დისიდენტი — (ლათ. dissidens — ვინც არ ეთანხმება) პირი, რომელიც არ აღიარებს ქვეყანაში გაბატონებულ სარწმუნოებას; რჯულგანდგომილი, არ იზიარებს გაბატონებულ იდეოლოგიას; სხვაგვარად მოაზროვნე. ტერმინი აღებულია რელიგიური ლექსიკონიდან. 70-იანი წლებიდან იხმარება ჯერ დასავლეთის, შემდეგ სამამულო პრესაში იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არ ეთანხმებიან ოფიციალურ კურსს. ჩვენს ქვეყანაში დისიდენტების ყურადღების ცენტრში იყო ღებულება ადამიანის უფლებათა შესახებ და ამ დებულების შეუსაბამობა გაეროს ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციასთან საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის პირობებში დისიდენტების პრობლემა ბევრ რამეში კარგავს თავის სიმძაფრეს და გადაიჭრება სახელმწიფოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

დოგმატიზმი — პოლიტიკური (ბერძნ. dogma — შეხედულება, მოძღვრება, დადგენილება), რელიგიური რწმენისა და ავტორიტეტი-

სადმი ბრმა მორჩილების საფუძველზე უკრიტიკოდ მიღებული დებულება, რომელიც ურყევი ჭეშმარიტებაა მიჩნეული ყველა დროისათვის. დოგმატიზმი — ეს არის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ცალკეული დებულებები და პრინციპები სათანადო შემოწმების გარეშე ცხადდება დოგმებად ერთხელ და სამუდამოდ მიღებულ ჭეშმარიტებად. დოგმატიზმი არის აზროვნების ხერხი, რომელიც ემყარება ცოდნის განსაზღვრულ სისტემას მეცნიერებისა და პრაქტიკის ახალ მონაცემთა გაუთვალისწინებლად; ახდენს კონკრეტული ჭეშმარიტების იგნორირებას, აქცევს რა მას გაყინულ ცოდნად. დოგმატიზმის საფუძველს წარმოადგენს: ავტორიტარიზმი, — მონოპოლია ადამიანის მსოფლმხედველობასა და მისეულ აღქმაზე, უარის თქმა ვარიანტულ აზროვნებაზე, (ადი ხნის წინათ დამტკიცებული ბალანსურობის მოშველიებით ჭეშმარიტების, ჭეშმარიტი პროცესების დაფარვა); უტოპიზმი, რომელიც გამომდინარეობს სინამდვილის წინასწარ აკვიატებული, ერთმხრივი შეფასებიდან, სქოლასტიკა, შემოქმედების შეცვლა უზომო ყბედობით და უსასრულო ციტატებით. პოლიტიკურ საქმიანობაში დოგმატიზმი ვლინდება ამბიციურობის, ჭკუისდამრიგებლურობის (მანტორულობის) ფორმით. დოგმატიზმის პრინციპებზე დამყარებული პოლიტიკა ვერ პასუხობს დროის მოთხოვნებს, რგორც წესი, ყოველთვის ჩამორჩება საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა და მსოფლიოს განვითარების ტენდენციათა გაგაზრების საქმეში.

დოგმა — (ბერძნ. dogma) — დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება, რომელსაც მიიჩნევენ ურყევ ჭეშმარიტებად ყველა დროისა და ისტორიული პირობებისათვის.

დოქტრინა — (ლათ. doctrina — მოძღვრება), მეცნიერული ან ფილოსოფიური თეორია, პოლიტიკური სისტემა, სახელმძღვანელო თეორიული ან პოლიტიკური პრინციპი ან ნორმატული ფორმულა მოქმედებისათვის. სახელმძღვანელო თეორიული ან პოლიტიკური პრინციპი, რომელიც კონცენტრირებული ფორმით გამოხატავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საგარეო ორიენტირებასა და მიზნებს, აგრეთვე მათი პრაქტიკული განხორციელების ფორმებს.

დოკუმენტი — (ლათ. documentum — ნიმუში, მოწმობა) 1. რაიმე ინფორმაციის (ტექსტების, გამოსახულებების, ბგერების) მატერიალური შემცველი (ქაღალდი, ვიდეო-კინო-ფოტო-მაგნიტო ფირი, პერფიბარბი და ა. შ.) შენახავი და დროსა და სივრცეში გადმცემი საბუთი. (ტექსტები, გამოხატულობა, ბგერები). 2. რაიმე ფაქტის, უფლე-

ბის დამამტკიცებელი საქმიანი ქაღალდი. პოლიტიკურ ცხოვრებაში — ასახავს ჩანაფიქრს, განზრახვას, მიზანს, შეთანხმებას, დადგენილებას, ორიენტაციას და ა. შ. პოლიტიკური (სამთავრობო) დოკუმენტების სახეებია: კანონები, კონსტიტუციები, ბრძანებულებები, მითითებები, დეკრეტები, პროგრამები, მანიფესტები, დეკლარაციები, განცხადებები, პლატფორმები, აქტები, საინფორმაციო განცხადებები, კომუნიკე, დირექტივები, დადგენილებები, გადაწყვეტილებები, ლოზუნგები, მოწოდებები, მოლაპარაკებები, შეთანხმებები, მოხსენებები, ანგარიშები, ბრძანებები, თეზისები, გეგმები და ა. შ. დოკუმენტები მიიღება, გამოქვეყნდება (ანაარ გამოქვეყნდება) სახელმწიფოების მეთაურის, პარლამენტების, პარტიების, საზოგადოებრივი მოძრაობების, საერთაშორისო ორგანიზაციების და ა. შ. მიერ. პოლიტიკურ პრაქტიკაში თავის განვითარებას პოულობს როგორც დოკუმენტის მომზადების, შეთანხმების და გამოქვეყნების პროცედურა, ისე მათში ასახული მიზნების, განზრახვისა და გეგმების შესრულების ორგანიზაცია, მათი განხორციელების მიმდინარეობაზე კონტროლი.

ე

ეგოიზმი — (ფრ. egoisme<ლათ. ego — მე), საკუთარი ინტერესების დაყენება კოლექტივისა და მთელი საზოგადოების ინტერესებზე მაღლა. ეგოისტისათვის საკუთარი „მე" არის მიზანი, ხოლო სხვა ადამიანები და საზოგადოება ამ მიზნის მისაღწევი საშუალება. ეგოიზმის ყველაზე ნეგატიურ გამოვლინებად ითვლება ეგოცენტრიზმი — ინდივიდუალიზმის უკიდურესი ფორმა. პოლიტიკაში ეგოიზმი გამოხატულებას პოულობს ავტორიტარიზმის, პოპულიზმის და ამბიციურობის ფორმაში.

ეკლექტიზმი — (ბერძნ. eklektikos — ვირჩევ, ამომრჩეველი, ამორჩეული), სხვადასხვაგვარ შეხედულებათათ, თეორიათა, იდეურ მიმართულებათა ნებისმიერი, უპრინციპო შეერთება. შეხედულებათა და თეორიათა თვითნებური აღრევა წინასწარგანზრახული ან შეუგნებელი მექანიკური არჩევა დებულებებისა, თეზისების, პოსტულატების, დასკვნების რაიმე გნსაზღვრული პოზიციების დასასაბუთებლად. ეკლექტიკა ცლინდება როგორც ხერხი, მისწრაფება პოლიტიკოსისა, გაერთიანოს სხვადასხვაგვარი პოლიტიკური შეხედულებები და მოქმედებანი, წარმოაჩინოს იგი ერთიანი კონცეფციის სახით, ობიექტურობისა და პლურალურობის „განსაკუთრებული" ფორმის სახით. [illegible]

ეს მისწრაფება და მიზანი უმეტეს წილად მოჩვენებითი და ილუზორულია. არა აქვს უნარი პოლიტიკური პროცესების მეცნიერული გაგებისა სხვადასხვა წარმოდგენების და შეხედულებათა შეუთავსებლობის გამო (მაგ. ეროვნული აღორძინების მცდელობის გაიგივება ნაციონალიზმთან და სეპარატიზმთან; აღმასრულებელი ხელისუფლების აქტების განმტკიცების გაგება, როგორც დიქტატურისაკენ დაბრუნება). ხშირად პოლიტიკური ბრძოლის ტაქტი საზოგადოებაში აიგება ეკლექტიკურ წინამძღვარით: „რაც უფრო ცუდადაა საქმე, მით უკეთესია“, რაც ექსტრემისტული ძალების მიერ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად გამოიყენებოდა. ეს ფართოდ გავრცელებული მოვლენაა და მით უფრო საშიშია, რომ პოლიტიკაში გაუწაფავი ხალხის მიერ „სიმართლის“ სუროგატი უფრო ადვილად აოიქმება ნამდვილ ჭეშმარიტებად. ვიდრე თვით სიმართლე.

ექსპანსია — (ლათ. expansio, გავრცელება, გაფართოება) თანდაპირველი საზღვრებისა, გავლენისა და სხვ. იხმარება უპირატესად პოლიტიკურ მნიშვნელობით (მაგ. სახელმწიფოს ექსპანსია — მისი გაფართოება ახალი ტერიტორიების დაპყრობით). ექსპანსია არის რომელიმე სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც მიმართულია სხვა ქვეყნებსა და ხალხებზე თავისი გავლენის სფეროს გაფართოებისაკენ და იგი ხორციელდება დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო მეთოდებით. ექსპანსიას მიზნად აქვს სხვა ხალხების და ერების დაკაბალება, ახალი ტერიტორიების, საქონლის გასაღების ბაზრების, კაპიტალის მოხმარების სფეროების და ნედლეულის წყაროების მიტაცება.

ექს. (ლათ. ex .) რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, რომელიც აღნიშნავს ყოფილ წოდებას, თანამდებობას (მაგ. ექს-მინისტრი, ექს-პრეზიდენტი, ექს-პრემიერი და ა. შ.).

ექსპერტიზა — (ლათ. expertus — გამოცდილი) გამოკვლევის ჩატარება იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს სპეციალურ ცოდნას მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის ან რაიმე სხვა დარგში, ანალიზი, რომელიმე პოლიტიკური საკითხის გამოკვლევა კვალიფიციური სპეციალისტების, ექსპერტების მიერ, დასკვნების გასაკეთებლად. მათ შორის კონკრეტული პოლიტიკური რეკომენდაციების, რჩევების გამოსამუშავებლად ხელისუფლების პრაქტიკაში მომწიფებული საკითხების გადასაჭრელად და ზომების მისაღებად ან ოპოზიციურ საქმიანობაში.

ექსპორტი — (ლათ. exportare — გამაქვს), ამა თუ იმ ქვეყნიდან საქონლის, ფასიანი ქაღალდების და სხვა ფასეულობათა გატანა საგა-

რეო ბაზარზე სარეალიზაციოდ. ექსპორტი, მისი მოცულობა. საქონლის სახეობები ხშირად სახელმწიფოებს შორის პოლიტიკურ ურთიერთობებზეა დამოკიდებული.

ექსტერიტორიულობა — (ლათ. exterritoridis — ქვეყნის გარეშე). გარკვეულ უცხოელ პირთა ან უცხოურ ორგანიზაციათა განთავისუფლება ადგილობრივი კანონებისადმი დამორჩილებისაგან და მათთვის ზოგიერთი განსაკუთრებული უფლების მინიჭება. ექსტერიტორიულობით სარგებლობენ დიპლომატიური წარმომადგენლები და მათ მიერ დაკავებული შენობები, უცხო სახელმწიფოში ჩამოსული სახელმწიფოს მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი, დელეგაციები საერთაშორისო კონფერენციებზე.

ექსტრემიზმი — (ლათ. extremus) — უკიდურესი), პოზიცია, რომელიც მოითხოვს უკიდურესი ზომების გამოყენებას ამა თუ იმ პოლიტიკური საკითხის გადასაწყვეტად. პოლიტიკური საქმიანობა, რომელიც, როგორც წესი, თავისი ავანტურისტული მიზნების მისაღწევად ფორთოდ, გამოიყენებს ფიზიკურ ძალადობას, შეიარაღებულ ტერორსა და პროვოკაციას. ექსტრემიზმი წინააღმდეგია პოლიტიკური კონფლიქტების მშვიდობიანი, კონსტიტუციური გზით გადაჭრისა, ივი ხელს უწყობს ეროვნებათშორისი კონფლიქტების გამწვავებას, ქმნის მოჩვენებით გარეშეოს, ვინ იმდა ამა თუ იმ პრობლემას არ ჭრის, პირიქით, აუარესებს პოლიტიკურ ვითარებას, ქმნის იმის წინაპირობებს, რომ ვითომდა. „წესრიგის დასამყარებლად" ხელისუფლებაში მოვიდეს კონსერვატიული, რეაქციული ძალები. აქტიური საქმიანობის მოჩვენებითი ხასიათი. რომელსაც ქმნიან ექსტრემიზმის მომხრეები; დაბალი პოლიტიკური კულტურის მქონე ხალხის ყურადღებას იპყრობს, განსაკუთრებით ახალგაზრდობის წრიდან; მაღალი პოლიტიკური კულტურის ფორმირება და პოლიტიკური ცხოვრების ნორმალიზაცია ხელს უწყობს ექსტრემიზმის საღად შეფასების საქმეს.. მისი უპერსპექტივობის გაგებას.

ელექტორატი — (ლათ. elector — ამომრჩეველი), 1. ადამიანთა წრე, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ მოცემული ორგანოს ან კონკრეტული თანამდებობის პირის არჩევნებში, ანალოგიურად, ხმა მისცენ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას საპარლამენტო, საპრეზიდენტო ან მუნიციპალურ არჩევნებზე. 2) საარჩევნო ოლქი.

ელიტა — (ფრ. elite — საუკეთესო), საზოგადოების ზედაფენა, „რჩეული" ნაწილი, რომელიც ახორციელებს მართვის, მეცნიერების

და კულტურის განვითარების ფუნქციებს. საზოგადოების მეტნაკლებად გამოჩენილი ნაწილი, რომელსაც გააჩნია მაღალი პროფესიონალური და საქმიანი თვისებები, ღრმა ინტელექტი, რაც გამოარჩევს მათ გარემომცველი წრიდან.

ემანსიპაცია — (ლათ. emancipatio) — რაიმე დამოკიდებულებისაგან, მეურვეობისაგან, ცრურწმენისაგან განთავისუფლება, უფლებრივად გათანასწორება. მაგ. ქალთა ემანსიპაცია, სხვადასხვა შეზღუდკების მოხსნა, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციაა. ქალთა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების, სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ხალხთა უფლებების გათანაბრება და ა. შ.

ემიგრაცია — (ლათ. emancipotio — გადავსახლდები) მოქალაქის წასვლა თავისი სახელმწიფოდან უცხო სახელმწიფოში მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად, რომელიც გამოწვეულია პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური ან სხვა მიზეზებით. უცხოეთში გადახვეწილი პირების ანუ ემიგრანტების ერთობლიობა.

ეპოქა — (ბერძნ. epoche — გაჩერება), საზოგადოეიის განვითარების განმსაზღვრელი პერიოდი,, ომელიც ხასიათდება რაიმე ღირსშესანიშნავი მოვლენებით და რომელსაც აქვს რაიმე დამახასიათებელი თვისებები. რეალურ ისტორიაში გვხვდება არა ერთი მაგალითი პოლიტიკური ეპოქებისა, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ მოვლენებთან, მოღვაწეებთან, მოაზროვნეებთან და ა. შ.

ერა — (ლათ. aere — ცალკეული, საწყისი რიცხვი) მოვლენა, მომენტი, საიდანაც იწყება წელთაღრიცხვა, წელთაღრიცხვის ესა თუ ის სისტემა. მაგ. ქრისტიანული ერა (ანუ ახალი ერა, ჩვენი ერა), დიდი ისტორიული პერიოდი, რომელიც ძირეულად განსხვავდება წინა პერიოდისაგან. ერები იყოფა პერიოდებად.

ეკონომიკა — პოლიტიკური — (ლათ. განსწავლულობა, ნაკითხობა, პოლიტიკოსის ინტელექტუალური პოტენციალის საფუძველი, მისი პროფესიონალური მომზადება; პოლიტიკური ინოვაციების ათვისების დონე და სარისხი, პოლიტიკური საქმიანობის ხერხების, საშუალებების და მეთოდების ცოდნა აუცილებელი პირობაა პოლიტიკური მოვლენების ანალიზის განსახორციელებლად.

ეტატიზმი — (ფრ. etat — სახელმწიფო) — ტერმინი, რომელიც უმთავრესად ინმარეეა სახელმწიფოს როლის გაძლიერების აღსანიშნავად საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. პროცესი სახელმწიფოს როლის გაძლიერებისა საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში: ანტილიბერალური დოქტრინა, რომლის

საფუძველს შეადგენს ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების მოთხ 5ა.

ეთიკა — პოლიტიკური (ბერძნ. ethiko<ethos — ზნე; ჩვეულება) პოლიტიკური ყოფაქცევისა და საქმიანობის ნორმებისა და წესების ცოდნის სისტემა, რომელიც წარმოადგენს როგორც ეთიკის, ისე პოლიტოლოგიის შემადგენელ ნაწილს; პოლიტიკური კულტურის ნორმატიულ-ზნეობრივი ასპექტი; პოლიტიკოსის პიროვნების ზნეობრივი თვისებები, კულტურა, ზრდილობა, დემოკრატიზმი ყოფაქცევაში და ა. შ..

3

ვერიფიკაცია — (ლათ. verus — ჭეშმარიტი — ვაკეთებ) ლოგიკური პრივატიზმის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი, რომლის მიხედვითაც სინამდვილის შესახებ გამოთქმული ყოველი დებულების ჭეშმარიტება საბოლოოდ დამტკიცდება გრძნობად მონაცემებთან მისი შეპირისპირების გზით. ამ პრინციპის მიხედვით პოლიტიკურ მოღვაწეობაში შემეცნება არსებითად გრძნობადი ცდის საზღვრებს ვერ სცილდება. ვერიფიკაცია განიხილება, როგორც ფაქტის უტყუარობის შეფასების კრიტერიუმი, პოლიტიკური იდეების, დოქტრინების, კონცეფციების ჭეშმარიტების დამასაბუთებელი.

ვიზიტები — სახელმწიფოებრივი (ფრანგ. visite — სტუმრობა, ეტიკეტი) ნიშნით მისვლა ვინმესთან, ვისიმე მონახულება, ეს არის სახელმწიფოების შიგა პოლიტიკური მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ფორმა, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო კავშირების განვითარებას, რთული და მწვავე პრობლემების სასწრაფოდ გადაწყვეტას. სახელმწიფოებრივი ვიზიტები ითვალისწინებს სახელმწიფოს მეთაურების, ოფიციალური დელეგაციების შეხვედრებს უმაღლეს დონეზე.

ვიზა — (ლათ. აღნიშვნა), მოქალაქის პასპორტში კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ იმის აღნიშვნა, რომ მას ნებართვა აქვს შევიდეს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, დავიდეს იქიდან ან გადაკვეთოს იგი: ამის და მიხედვით, ვიზა არის შესასვლელი, გასასვლელი ან სატრანზიტო. ვიზა გაიცემა განსაზღვრული ვადით. ზოგ შემთხვევაში ვიზა არაა საჭირო. მაგ. ნავსადგურში უცხო გემის ყოფნისას მის ეკიპაჟს ნება ეძლევა ნაპირზე გადავიდეს და დაყოს იქ განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში. ვიზა ნიშნავს უფლებამოსილი პირის თანხმობის, მოწონების გამომხატველ წარწერას რაიმე ქაღალდზე ან დოკუმენტზე.

ვიცე (ლათ. vice — მაგივრად, ნაცვლად), — რთული სიტყვის

შემადგენელი ნაწილი. მნიშვნელობით შეესატყვისება „მოადგილეს“: „თანაშემწეს“, „შემცველს“. მაგ. ვიცე-პრეზიდენტი (პრეზიდენტის მოადგილე), ვიცე-გუბერნატორი (გუბერნატორის მოადგილე), ვიცე-კონსული (კონსულის შემცველი), ვიცე-მერი (მერის მოადგილე), ვიცე-პრემიერი (პრემიერის თანაშემწე), ვიცე-დირექტორი (დირექტორის მოადგილე) და ა. შ. მოადგილე თავის თანამდებობაზე აირჩევა ან დანიშნება. პოლიტიკურ პრაქტიკაში, ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოს მეთაურის თანაშემწეს არჩევა ხდება, როგორც წესი, პრეზიდენტთან ერთად. დემოკრატიული გზით აირჩევა, აგრეთვე, როგორც წესი, სხვადასხვა საერთაშორისო და ნაციონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელების თანაშემწეები.

ვოლუნტარიზმი — პოლიტიკაში (ლათ. voluntas — ნება-სურვილი), ვოლუნტარიზმის მიხედვით, ყოფიერების უმაღლესი პრინციპი და პირველსაფუძველი ნებელობითი საწყისია. ვოლუნტარისტების უმრავლესობა ნებელობით საწყისად ადამიანურ ნებისყოფას მიიჩნევს და ობიექტური სამყაროს მიმართ სუბიექტის პრიმატობის თვალსაზრისს იცავს. ვოლუნტარიზმის ტიპიური წარმომადგენელი იყო ფიხტე, რომელიც ადამიანურ „მე“-ს სინამდვილის შემოქმედად აცხადებდა. ტერმინი „ვოლუნტარიზმი“ იხმარება ობიექტური კანონზომიერების საპირისპირო სუბიექტური და თვითნებური გადაწყვეტილებების გამოსახატავად. ვოლუნტარიზმის დაძლევა შესაძლებელია საზოგადოების დემოკრატიული განვითარების პირობებში, როცა სახელმწიფოებრივი ხელისუფლება ემყარება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დაყოფის პრინციპს.

ვოტუმი — (ლათ. votum — სურვილი, ნება), ხმის მიცემით გამოთქმული აზრი. სახელმწიფოთა პარლამენტში ვოტუმით იწონებენ (ნდობის ვოტუმი) ან იწუნებენ (უნდობლობის ვოტუმი) მთავრობის საერთო პოლიტიკას ან მთავრობისა თუ ცალკეული მინისტრების კონკრეტულ მოქმედებას. ნდობის ვოტუმის ჩატარების ინიციატორი შეიძლება იყოს თვით მთავრობა, რომელიც ეყრდნობა რა პარლამენტის უმრავლესობას, ნდობის ვოტუმს იყენებს თავისი პოლიტიკური ავტორიტეტის განსამტკიცებლად. უნდობლობის ვოტუმის ჩატარების ინიციატორები არიან ჩვეულებრივ პარლამენტის წევრები. უნდობლობის ვოტუმი იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის უმრავლესობა მხარს აღარ უჭერს მთავრობას. უნდობლობის ვოტუმს, როგორც წესი, მოჰყვება მთავრობის გადადგომა, ზოგან ავტომატურადაც.

იდეოლოგია — პოლიტიკური — (ბერძნ. idea — ცნება, logos — მოძღვრება) იდეების და შეხედულებების სისტემა, რომელშიც მეტნაკლებად გაცნობიერებული და შეფასებულია ადამიანების, სოციალური ჯგუფების, ხალხების დამოკიდებულება სინამდვილის და ერთმანეთისადმი. როგორც წესი, ნებისმიერ პოლიტიკურ მოძრაობას გააჩნია თავისი პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც შეესაბამება მის ხასიათს, ორიენტაციას, ამოცანებს, მიზნებს. იდეოლოგიის ფუნქცია არ ამოიწურება შესაბამისი ძალების პოლიტიკური და სხვა ინტერესების თეორიული დასაბუთებით. იგი მოწოდებულია ჩამოაყალიბოს მათი საქმოქმედო პროგრამა, განსაზღვროს პოლიტიკური მოძრაობის ორიენტირი და მიზნები, გამოვიდეს მოტივირებული და მტკიცე ფაქტორებით. პოლიტიკური იდეოლოგიის შემცველი იდეებისა და შეხედულებების ხასიათი და შინაარსი დამოკიდებულია იდეოლოგთა კვალიფიკაციაზე, კომპეტენტურობასა და ინტელექტზე, მათ უნარზე, გაანალიზონ სინამდვილე, დასახონ გზები იდეების შეთანაწყობისა საზოგადოებრივ პრაქტიკასთან.

იერარქია — (ბერძნ. hierarchia — წმინდა — საწყისი, ძალაუფ ება), თანამდებობათა, წოდებათა თანამიმდევრობა უდაბლესიდან უმაღლესისაკენ (დაქვემდებარების წესით); სხვანაირად „ერარქიული კიბე". ტერმინი „იერარქია" იხმარება საზოგადოების პოლიტიკურ სტრუქტურათა ელემენტების განლაგების დასახასიათებლად.

ილუზია — პოლიტიკური — (ლათ. illusion-დან — მოტყუება) ობიექტის არაადექვატური, მცდარი აღქმა. განუხორციელებელი იმედები, ოცნებები, ილუზია ხშირად გაუცნობიერებელი და ნებისადმი დაუქვემდებარებელია, დამყარებული მცდარ პოლიტიკურ საწყისებზე. წარმოიშვება პოლიტიკური უმეცრების, აუცილებელი მეცნიერული, პოლიტიკური ცოდნისა და კულტურის, არქონის შედეგად.

იმიჯი — (ინგ. image — გამოსახულება, წარმოდგენა) — სუბიექტის მიერ შექმნილი გარეგნული გამოსახულება განსაზღვრული შთაბეჭდილების, აზრის, დამოკიდებულების შესაქმნელად; თვისებების ერთობლიობა, რომელიც მიეწერება სუბიექტს პროპაგანდის, რეკლამის, ცრურწმუნების, ტრადიციების მეშვეობით და ა. შ. მისდამი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოწვევის მიზნით. იმიჯის პრობლემა უფრო და უფრო მეტად იწევს წინ პოლიტიკური პრაქტიკის პირველხარისხოვან პრობლემათა რიგში.

იმპერატივი — (ლათ. imperativus) — დაჟინებითი, კატეგორიული მოთხოვნა, ბრძანება. დეპუტატის მანდატს უწოდებენ იმპერატიულს, რადგანაც კანონმდებლობის თანახმად დეპუტატი ვალდებულია იმოქმედოს ამომრჩეველთა ნების შიხედვით.

იმპერატორი — (ლათ. imperator — მბრძანებელი). განუსაზღვრელი უფლებების მქონე მმართველი, მონარქი, ამ ტიტულის წარმოშობა დაკავშირებულია ძველ რომთან, სადაც ავგუსტუსის დროიდან იმპერატორად იწოდებოდა რომის სახელმწიფოს მემკვიდრეობითი მეთაური. შემდეგში ეს ტიტული სხვა სახელმწიფოს მონარქებმაც მიიღეს. მაგ. პეტრე I — 1721 წ.).

იმპიჩმენტი — (ინგლ. impeachment) — რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია) უმაღლესი თანამდებობის პირების და თვით ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების პროცედურა კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის.

იმპორტი — (ინგლ. import — შემოზიდვა) — საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან, შემომტანი ქვეყნის საშინაო ბაზარზე სარეალიზაციოდ. დოკუმენტს, რომელიც ნებას რთავს შემოტანოს ქვეყანაში გარკვეული საქონელი და სხვადასხვა მომსახურება, ეწოდება ლიცენზია (ნებართვა). პოლიტიკურ პრაქტიკაში გადატანითი მნიშვნელობით ხშირად ხმარობენ იდეის, ჩანაფიქრის, კონცეფციების იმპორტს, ხანდახან კი ფუნქციონერის, აქტივისტის და ა. შ. იმპორტს.

იმპროვიზაცია — პოლიტიკური (ფრ. improvisation) სახელდახელოდ, წინასწარ მოუმზადებლად მოწყობილ რისამე; მოულოდნელად შექმნილ სიტუაციაში, წინასწარ მოუმზადებლად იძულებითი პოლიტიკური მოქმედება. პოლიტიკური იმპროვიზაცია გამოუდით პოლიტიკოსებს, რომელთაც აქვთ დიდი ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილება, ღრმა საფუძვლიანი ცოდნა, ფლობენ მაღალ პოლიტიკურ კულტურას და ინტელექტს.

ინაუგურაცია — (ლათ. inauguarare, ინგ. inauguratio—მიძღვნა), ახალი პრეზიდენტი სახელმწიფოს სათავეში ოფიციალურად შედგომის ცერემონია. მაგ. აშშ-ს პრეზიდენტს ირჩევენ წელიწადში ერთხელ — ყოველი ნაკიანი წლის ნოემბრის პირველ სამშაბათს, ხოლო მისი ინაუგურაცია იმართება მომდევნო წლის 20 იანვარ. ინაუგურაციას უწოდებენ ავრეთვე ძაგლის, გამოფენის, ეროვნული დღესასწაულების საზეიმოდ გახსნის პროცედურას.

ინდიფერენტულობა — პოლიტიკური (ლათ. indifferens (გულგრილი, უინტერესო, განურჩეველი დამოკიდებულება ამა თუ იმ პოლიტიკური პროცესის, აქტის, მოქმედებ ს მიმართ.

ინერციი — პოლიტიკური (ლათ. inertia), ანგარიშმიუცემლად, უნებლიედ რაიმე დაწყებულის გაგრძელება, აქტიურობის, ინიციატივის და პოლიტიკური მოქმედების არარსებობა. პოლიტიკური ინერცია — პოლიტიკური არასრულყოფილების, უძრაობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი.

ინიციატივა — პოლიტიკური (ფრ. initiative, ლათ. initiare — დასაწყისი) რაიმე საქმის თაოსნობა, საჭიროებისას დამოუკიდებელი აქტიური მოქმედების უნარი — ერთ-ერთი ძირითადი თვისება პოლიტიკური ხელოვნებისა; პოლიტიკური ინიციატივის ღირებულება დამოკიდებულია მის კონკრეტულ შინაარსზე, მიმართულებაზე, მიზანდასახულობაზე; ინიციატივა შეიძლება მიმართული იყოს არა მარტო პროგრესული მოქმედების, აქტების და ა. შ. შესრულებისაკენ, არამედ ამა თუ იმ მოღვაწის პოლიტიკანობის, პოპულიზმის, კარიერიზმის და ექსტრემიზმის ძალით შეიძლება შეიძინოს ამორალური, დამანგრეველი ხასიათი.

ინსინუაცია — (ლათ. insinuatio — შემპარავობა, შეღწევა შიგნით) მოტყუებრივი ცილისწამება საველის ეასატეხად, ცილისწამება. ინსინუაცია— პოლიტიკური ბოროტის მეტოქეობისა და თანამშრომლობის შეუფერებელი ფორმა.

ინტერვენცია — (ლათ. interventio) ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ძალადობრივი ჩარევა რომელიმე ქვეყნის საშინაო საქმეებში. ინტერვენცია ხელყოფს სახელმწიფოთა სუვერენულ დამოუკიდებლობას და თანასწორობას. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კრძალავს ინტერვენციას და მას განიხილავს საერთაშორისო კანონდარღვევად.

ინტერვიუ — (ინგლ. interview) პოლიტიკური, საზოგადო მოღვაწის, ცნობილი პიროვნების სპეციალური ჟურნალისტთან, კორესპონდენტთან — პრესაში გამოსაქვეყნებლად, რადიოთი ან ტელევიზიით გადასაცემად. სოციოლოგიური კვლევისას ინტერვიუ, ე. ი. კითხვა-პასუხი მიმდინარეობს წინასწარ შედგენილი გეგმით ან ანკეტით რომელიმე პიროვნებასთან ან გარკვეულ ჯგუფთან, რომლის შედეგად მიღებული პასუხები ხელს უწყობს მკვლევარს ანალიზის და დასკვნების გამოტანაში.

ინტერესი — პოლიტიკური (ლათ. interest — მნიშვნელობა აქვს) რისიმე გაგების, გაცნობის შესწავლის სურვილი. იგი პოლიტიკის სუბიექტების საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი ბერკეტი, სტიმული და პირველ საწყისია. პოლიტიკურ ინტერესს გააჩნია რთული შინაგანი სტრუქტურა, რომლის საფუძველს წარმოადგენს პოლიტიკის სხვადასხვა სუბიექტების დამოკიდებულება საზოგადოებაში არსებულ სიტუაციასთან, ხელისუფლების სტრუქტურებთან, იგი დევს პოლიტიკური ძალების ბრძოლებსა და თანამშრომლობის, ურთიერთობათა და მეტოქეობის ნებისმიერ ფორმის საფუძველში. ნებისმიერი პოლიტიკური მოქმედების, ფრაზის, დაპირების, განცხადების მიღმა პოლიტიკის ამა თუ იმ სუბიექტის ინტერესების დანახვის უნარი წარმოადგენს პოლიტიკური მოღვაწეობის უცილობელ პირობას.

ინტრიგა — პოლიტიკური (ფრ. intrigue) ფარული საძრახისი მოქმედება, ხრიკები, სხვადასხვა არასასურველი მეთოდებით, რაიმე მიზნის მიღწევა.

ინტუიცია — პოლიტიკური (ლათ. intueor) — ჭვრეტა, მიხვედრა, შორსმჭვრეტელობა, უშუალო სტიქიური გრძნობა, რომელიც ეძყარება ადრინდელ გამოცდილებას. გაგება და განჭვრეტა პოლიტიკური მოვლენის არსისა წინასწარი გაანალიზებისა და ლოგიკური დასაბუთების გარეშე. განასხვავებენ მგრძნობელობითი და ინტელექტუალურ ინტუიციას. მაგრ. ნებისმიერ შემთხვევაში ინტუიციური მნიშვნელობა განისაზღვრება პოლიტიკოსის პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობის გამოცდილებით, რაც საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ. პროფესიონალური ინტუიციის შესახებ. ინტუიცია აზროვნების თავისებური ტიპია, რომელიც გამომდინარეობს შეცნობების, მოქცევის, ამა თუ იმ ამოცანის გადასაჭრელად საჭირო ლოგიკური ხერხების, არსებული ფორმების სტერეოტიპებიდან. პროფესიონალური პოლიტიკური საქმიანობის სტრუქტურაში ინტუიცია წარმოადგენს ფსიქოლოგიურ კომპონენტს, პროფესიონალური შემოქმედების სტიმულატორს.

ინფორმაცია — პოლიტიკური — შეტყობინება, ცნობება ვისიმე მოღვაწეობის, პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობის და შედეგების პოლიტიკურ ძალთა განლაგების შესახებ, რომლის მიხედვით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა შექმნილი მდგომარეობის თავისებურებების, სტრატეგიის და ტაქტიკის შემუშავების შესახებ. ინფორმაცია პოლიტიკური ანალიზის საფუძველია.

ინსტიტუტი — (ინგლ. establishment) სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტები და ორგა-

ნიზაციები, ხელისუფლებისა და მმართველობის მთელი სისტემა, რომ-ლებიც ფლობენ ხელისუფლებას, აქვთ ავტორიტეტი საზოგადოებაში.

კ.

კადრები — (ფრ. cadre — პირადი შემადგენლობა (რაიმე წარმოების, დაწესებულების, პარტიული, პროფკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძირითადი შემადგენლობა. პოლიტიკურ ლექსიკონში. ტერმინი „კადრები" გამოხატავს პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის სფეროში მომუშავე სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელ და მომზადებულ მუშაკებს.

კამპანია — პოლიტიკური (ფრ. compagne) — გარკვეულ პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ან სამეურნეო ამოცანის შესასრულებლად ჩატარებული მუშაობა. მაგ. საარჩევნო კამპანია, ყრილობების, კონფერენციების, საერთაშორისო ფორუმებისათვის მომზადება, ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერების ჩატარება. პოლიტიკური კამპანია ითვალისწინებს სტრატეგიისა და ტაქტიკის გულდასმით დამუშავებას, მისი ჩატარებისათვის ეფექტური ტექნოლოგიის გამოყენებას, ახალი ადამიანური და მატერიალური რესურსების შეყვანის ეტაპების — ტემპებისა და ვადების განსაზღვრას, პოლიტიკური საქმიანობის სინქრონულობას, ზემოქმედების არხების განსაზღვრა' კონკურენტების გაძლიერების ნეიტრალიზებას და ა. შ.

კანცლერი — (გერმან. Kanzler) — შუა საუკუნეების ევროპის სახელმწიფოებში — უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც მეთაურობდა სამეფო კანცელარიას და არქივს, იცავდა სახელმწიფო ბეჭედს და ა. შ. მეფის რუსეთში — უმაღლესი სამოქალაქო ჩინი. გერმანიასა და ავსტრიაში ფედერალური კანცლერი — მთავრობის მეთაური. დიდ ბრიტანეთში ხაზინის კანცლერი — ლორდთა პალატის თავმჯდომარე.

კაპიტალი — პოლიტიკური (ლათ. capitalis — მთავარი) არის დაგროვილი ცოდნის, პოლიტიკური საქმიანობის, გამოცდილების, ადრინდელი პოლიტიკური საქმიანობისა და მარცხის შედეგების ერთობლიობა, რომლის გათვალისწინებითაც აიგება პოლიტიკა. პოლიტიკური კაპიტალი თანაბარ პირობებში საშუალებას იძლევა მიღებული იქნას სასურველი სასტარტო პოზიცია პოლიტიკური გეგმების სარეალიზაციად. პოლიტიკური კაპიტალის შემადგენელი მეცნიერული კომპონენტებია პოლიტოლოგია, კრატოლოგია, სოციოლოგია, პოლიტიკური ფსიქოლოგია, პოლიტიკური ინფორმირებულობა და ა. შ.

კარიერა — (იტ. carriere) დაწინაურება, წარმატების მოპოვება საზოგადოებრივ, სამეცნიერო, სამსახურებრივ ან სხვა საქმიანობის დარგში. ეს სიტყვა ზოგჯერ პროფესიაში ან საქმიანობაში წარმატების განსაზღვრისთვისაც იხმარება. პოლიტიკური კარიერა ერთ-ერთი რთული სფეროა. კარიერა პოლიტიკაში მოითხოვს მრავალ სხვადასხვაგვარ თვისებებს, რომელთაგანაც ნაწილი ზოგჯერ კადაკაშვილია ცალკეული პოლიტიკოსების არაკეთილსინდისიერებასთან, უსინდისოებასთან. თვით პოლიტიკა კი წარმოადგენს არენას, რომელზეც ძალზედ სწრაფად და წარჰატებითაც აიგება ან ინგრევა კარიერა.

კარიერიზმი — მაძიებლობა, სწრაფვა სამსახურში დაწინაურებისაკენ, რაიმე საქმიანობაში მხოლოდ პირადი წარჩინების ძიება და საზოგადოებრივი საქმის ინტერესების უგულებელყოფა. კარიერიზმი — ეგოიზმის ერთ-ერთი გამოხატულებაა, რომელიც ინიღბება ეფექტიანობა, საქმისადმი ერთგულების ნიღბით, რომლის უკან იმალება ოპორტუნიზმი, მაამებლობა და სხვ.

კატა' როფა — პოლიტიკური (ბერძნ. katastrophe — გადატრიალება), შემთხვევა, რომელსაც თან სდევს მძიმე, ტრაგიკული შედეგები; უბედური შემთხვევა. საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ექსტრემალური ფორმა, რომელიც შედეგია პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გამწვავებისა, არსებული ხელისუფლების სტრუქტურების დაცემისა და კრახისა. კატასტროფის მიზეზებია მმართველი წრეების მ ერ დაშვებული გარღვევები პოლიტიკაში, პოლიტიკოსთა უხეში შეცდომები სახელმწიფოს და საზოგადოების მართვის პროცესში, კონფლიქტური და კრიზისული სიტუაციები მთელს საზოგადოებაში. გამოწვეული ეკონომიკის დაცემით, ცხოვრების პირობების უკიდურესი გაუარესებით, პროვნებათშორისი კონფლიქტებით, დამნაშავეობის მასობრივი ზრდით, უკანონობით, მოქალაქის სოციალური დაუცველობით. პოლიტიკური კატასტროფის დაძლევა შესაძლებელია ეშმარიტად სახალხო ხელისუფლების შექმნით, ყველა პროგრესული დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციით.

კვორუმი — (ლათ. gourum praezentia sufficil — რომელთა დასწრება საკმარისია) რაიმე ორგანიზაციის კრების მონაწილეთა ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია, რომ ამ კრების, სხდომის, კონფერენციის, ყრილობის დადგენილებები კანონიერი იყოს. კვორუმის არ ყოფნისას მიღებული გადაწყვეტილება ითვლება გაუქმებულად (ბათილად), ხოლო კრება არაუფლებამოსილად მიიღოს გადაწყვეტილება.

კვოტა — (ლათ. quota — თითოეულის წილი), დადგენილი წილი,

მიღებული ნორმა. დასაშვები რაოდენობა რისამე. პოლიტიკურ ლეგსიკონში ეს სიტყვა იხმარება საარჩევნო კვოტის მნიშვნელობით. ე. ი. ხმების იმ რაოდენობით, რომელიც საჭიროა ერთი დეპუტატის ასარჩევად ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში. განასხვავებენ სხვა სახის კვოტებს. მაგ. საგადასახადო, იმპორტული, იმიგრაციული და სხვ.

კოალიცია — (ლათ. coalitus), ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს საძხედრო-პოლიტიკური კავშირი რომელიმე სხვა სახელმწიფოს თუ სახელმწიფოთა ჯგუფის წინააღმდეგ. სახელმწიფოების, პარტიების და სხვათა შეთანხმება, კავშირი საერთო მიზნის მისაღწევად. პრაქტიკაში დაინერგა კოალიციური მთავრობების შექმნა.

კოლაფსი — ხელისუფლების (ლათ. collapsus — დაცემული) სხვადასხვა დეფორმაციული ფაქტორების ზემოქმედების შედეგად მიმდინარე საზოგადოებისათვის საშიში უმოქმედობის მდგომარეობა, ხელისუფლების სისტემის დამბლა, კოლაფსის პირობებში განვითარებული ხელისუფლება, მის სისტემაში არსებული რღვევის გამო მიდის შეუქცევად შედეგებამდე, ნგრევასა და დაცემამდე. როგორც ისტორია მოწმობს, ხელისუფლების კოლაფსი ყველაზე მეტად მძღავნდება საზოგადოების განვითარების ერთი ეტაპის შეცვლისას მეორეთი, აგრეთვე მაშინ, როდესაც სოციალურ მექანიზმში ხანგრძლივად მოქმედებენ მადეფორმირებული ფაქტორები.

კომპრომისი — (ლათ. compromissum — ურთიერთდათმობის გზით მიღწეული შეთანხმება). კონფლიქტების გადაჭრის გონივრული ხერხი, რომელიც მდგომარეობს მონაწილე მხარეებს შორის შეთანხმებისას ურთიერთდათმობაში. კომპრომისის მისაღწევად აუცილებელია კამათის, დავის საგნისა და ობიექტის განსაზღვრა, დათმობის საბაბთა შეგნება, რომელზეც მოცემულ სიტუაციაში წასვლა შეუძლია თითოეულ მხარეს, ავტორიტეტული ჯგუფების შექმნა, რომელთაც მინდობილი აქვთ მოლაპარაკების წარმოება და წარმატების შემთხვევაში, ამა თუ იმ შეთანხმების დადება. მაგრამ, ზოგჯერ, შესაძლოა სიტუაცია, როდესაც ლაპარაკია ურთიერთმოწინააღმდეგე მხარეების თვით ბობის საფუძვლებზე. ასეთი სახის დაპირისპირებისას შესაძლოა ქონდეს უკომპრომისო ხასიათი და მათი გადაჭრა ხდება სხვა საშუალებებით, თვით ძალადობის გამოყენების გზითაც კი.

კომფორტი — პოლიტიკური (ინგ. comfort) კეთილმოწყობილობა, ყოფა — ცხოვრების პირობათა ერთობლიობა, სიმშვიდის მდგომარ

ობა. გარემო სამყაროსთან შეთანხმებულობა — ეს არის პოლიტიკური ცხოვრების ისეთი მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება სტაბილურობით, ლეგიტიმურობით, ხელისუფლების კონსტიტუციური სტატუსით, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების საქმიანობისათვის ხელშემწყობი პირობებით, სოციალური დაძაბულობის არ არსებობით. პოლიტიკური კომფორტი ურთიერთწინააღმდეგობრივი მოვლენაა. ერთის მხრივ, იგი ხელს უწყობს პოლიტიკურ (და მთლიანობაში სოციალურ) სტაბილურობას, მეორე მხრივ, განსაზღვრულ პირობებში (მაგ. პოლიტიკური სუბიექტების არაკომპეტენტურობა, მათი უუნარობა, პასუხი გასცენ დროის მოთხოვნას, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ წინააღმდეგობათა და მსოფლიოს განვითარების ტენდენციების გააზრებაში ჩამორჩენილობა და ა. შ.). პოლიტიკურმა კომფორტმა შეიძლება მიგვიყვანოს საზოგადოებრივი ცხოვრების ჩაკვდომამდე, რეალური ცხოვრებისაგან ხელმძღვანელობის მოწყვეტამდე, პოლიტიკური ბრძოლის, დიალოგის, ღავის, კამათის წარმოების ცოდნის დაკარგვამდე. პოლიტიკური კომფორტის ნეგატიური შედეგების დასაძლევად აუცილებელია ხელისუფლების სტრუქტურების აქტიური მუშაობა. საზოგადოებაში საქმეთა რეალური მიმდინარეობის ღრმა ანალიზი, მოქალაქეთა გუნება-განწყობის გათვალისწინება, მისი არა იგნორირება, არამედ მუდმივი ურთიერთმოქმედება ოპოზიციურ ძალებთან.

კონკურენცია — პოლიტიკაში (ლათ. concurrentia) — მეტოქეობა, შეჯიბრი ცალკეულ პირებს, საზოგადოებრივ ჯგუფებს, პარტიებს, მოძრაობებს შორის უპირატესობის მოსაპოვებლად და განსაზღვრული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად პოლიტიკურ ასპარეზზე.

კონსენსუსი — ლათ. consensus — თანხმობა, ერთსულოვნება) სადავო საკითხებზე ზოგადი თანხმობა, რომელსაც მიაღწიეს საერთაშორისო მოლაპარაკების, კონფერენციის, ყრილობის ან სხვა წარმომადგენლობითი ფორუმების მონაწილეებმა (კონსენსუსისათვის საჭიროა უკლებლივ ყველა მონაწილის თანხმობა). შემდგომში იგი შეიძლება გახდეს საფუძველი საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოსაწერად. ტერმინი („კონსენსუსი" გამოხატავს სხვადასხვა პოლიტიკური ძალების პოზიციის (თვალსაზრისის) ერთიანობას ამა თუ იმ საკითხზე.

კონსერვატიზმი — (ლათ. conservare — ვიცავ) ეს არის იმ შეხედულებათა და იდეათა სოციალ-პოლიტიკური სისტემა, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმების, პირველ რიგში მისი სამართლებრივი და ზნეობრივი საფუძვლების შენარჩუნებასა და დაც-

ვაზე. საჭიროა განვასხვაოთ პოლიტიკური კონსერვატიზმი დოგმატიზმისაგან, რეტროგრადულობისაგან, ანდა რომელიმე სხვა რეაქციული ორიენტაციისაგან. კონსერვატული პოზიცია, როგორც წესი, გაურბის მკვეთრ ცვლილებებს და მარჯვენა გადახრებს და უფრო ახლოსაა ცენტრიზმთან, თანდათანობით ეკოლუციურ გარდაქმნებთან, მაგრამ არა წარსულისკენ დაბრუნების, არამედ სტატუს-კვოს შენარჩუნების მიზნით. ზოგიერთ ქვეყნებში (მაგ. დიდ ბრიტანეთში, რუსეთში და სხვ.), არსებობს კონსერვატული პარტიები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკაში.

კონსტიტუციური სასამართლო — ზოგიერთ ქვეყანაში სპეციალური სახელმწიფო — სამართლებრივი ორგანო, რომელსაც ევალება კონსტიტუციური ზედამხედველობის გაწევა. ამასთან ერთად, კონსტიტუციურ სასამართლოს შეუძლია კონსტიტუციის განმარტება, სახელმწიფოს ცალკეულ ორგანოთა კომპეტენციის სისწორის შემოწმება, მოქმედი კანონის ბათილად გამოცხადება და ა. შ. კონსტიტუციურ სასამართლოს ან პარლამენტი ირჩევს, ან სახელმწიფოს მეთაური. კონსტიტუციური სასამართლოს შემადგენლობას ნიშნავს პრეზიდენტი, პარლამენტი.

კონსტიტუცია — (ლათ. constitutio — დამყარება) სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელსაც უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს, ასახავს ქვეყნის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წესწყობილებას, სახელმწიფო ორგანოთა სისტემას და კომპეტენციას, მოქალაქეთა უფლებრივ მდგომარეობას, საარჩევნო სისტემას და ა. შ. კონსტიტუციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია კანონის ბატონობის დამტკიცება. კანონს ძალა უნდა ჰქონდეს მაშინაც კი, თუ რა პოლიტიკური მიმართულებები ბატონობენ ქვეყანაში, პარლამენტში, მთავრობაში, მიუხედავად ლიდერის იმიჯ. ა. სამართლებრივ სახელმწიფოში, ხელისუფლება ემორჩილება კანონს და არა პირიქით. ახლანდელი საქართველოს კონსტიტუცია მიღებული იქნა 1995 წელს.

კონტრაბანდა — (იტ. contra — წინააღმდეგ, bando — მთავრობის დადგენილება) საქონლის თუ სკა ფასეულობათა გადატანა სახელმწიფო საზღვარზე ფარულად ან საბაჟო წესების დარღვევით; ასეთნაირად გადატანილი საქონელი ან სხვა ფასეულობა.

კონფერენცია — (ლათ. conferentia — ვაგროვებ ერთ ადგილას) სახელმწიფოების, პარტიულ, საზოგადოებრივ, სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლების კრება, თათბირი ამა თუ იმ საკითხის განსახილველად და გადასაწყვეტად.

კონფლიქტი — პოლიტიკური (ლათ. conflictus — შეჯახება) წინააღმდეგობის უკიდურესი გამწვავება ორი ან მეტი სხვადასხვა ღირებულების კონკურენციული ტენდენციის ერთდროული აღძვრის საფუძველზე: ღრმა წინააღმდეგობანი სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს, პარტიებს, სახელმწიფო ძალაუფლების მქონე პირებს შორის, რომელთა საფუძველს შეადგენს ინტერესთა სხვადასხვაობა, ალტერნატიულობა და ზოგჯერ შეურიგებლობა, მიზნების და ორიენტაციის შეუთავსებლობა. კონფლიქტები წარმოიშობა იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს ან ხდება პოლიტიკური დაძაბულობის შემასუსტებელი შესაძლებლობის ბლოკირება, ხოლო მათი წარმოშობის მიზეზი შეიძლება იყოს რაიმე შემთხვევა, ან მოწინააღმდეგე მხარეთა რაიმე მოქმედება, ძოქცევა, გადაწყვეტილება. კონფლიქტის წამოჭრისთანავე მისი განვითარების დინამიკაში შეიძლება გაჩნდეს ორი ტენდენცია: გადაჭრის, ჩაქრობის ან პირიქით, შემდგომი გამწვავების. თუ პოლიტიკურ ძალებს არ ძალუძთ მათზე ზემოქმედება, მაშინ კონფლიქტი შეიძლება გადაიზარდოს პოლიტიკურ კრიზისში, რომლის შედეგებიც შეიძლება ტრაგიკული აღმოჩნდეს. ანსხვავებენ სახელმწიფოს შიგნით და სახელმწიფოთა შორის, გლობალურსა და ლოკალურ, შეიარაღებულ და შეუიარაღებელ სოციალურ, ეთნიკურ, ერთაშორის, შიდაპარტიულ, პიროვნულ და ა. შ. კონფლიქტს. კონფლიქტების ტიპების და სახეების მრავალფეროვნება, მათი ბუნება, არსება, შედეგები, პროგნოზირების შესაძლებლობა სპეციალურად შეისწავლება ცოდნის ახალი დარგით — რომელსაც კონფლიქტოლოგია ეწოდება. მათ დაჟინებული ყურადღება ეთმობა პოლიტოლოგიაში, კრატოლოგიაში, სოციოლოგიაში.

კონფორმიზმი — პოლიტიკური (ლათ. conformis — მსგავსი, შესაბამისი). აღნიშნავს პოლიტიკაში გაბატონებული შეხედულებებისადმი პასიურ შეგუებას, საკუთარი პოზიციის უქონლობას, უპრინციპო და არაკრიტიკულ დამოკიდებულებას ამა თუ იმ პოლიტიკური ლიდერებისადმი, ავტორიტეტისადმი და ა. შ. პოლიტიკური პოზიცია, რომლის თვისაც დამახასიათებელია არაკრიტიკული, შემგუებლური დამოკიდებულება გაბატონებული პოლიტიკური იდეების, შეხედულებების, აზრებისადმი, აგრეთვე ამა თუ იმ მმართველისადმი, პოლიტიკური ლიდერისადმი, ავტორიტეტისადმი და სხვა პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკაში კონფორმიზმი ხშირად საღდება პოლიტიკურ მშვიდობისმყოფელობად, ერთიანობად, თანხმობად.

კონფრონტაცია — (ლათ. confrons — წინააღმდეგ + ფრონტი) ურთიერთდაპირისპირება, ურთიერთწინააღმდეგობა, შეხლა-შემოხლა,

სოციალურ-პოლიტიკური სისტემების, სამხედრო-პოლიტიკური კავშირებისა, ცალკეული ქვეყნებისა, სახელმწიფოს შიგნით სხვადასხვა სოციალური ძალებისა, ურთიერთსაწინააღმდეგო იდეურ-პოლიტიკური პრინციპებისა. კონფრონტაცია წარმოადგენს როგორც ამა თუ იმ სისტემაში თავიდანვე არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ძალების ურთიერთმოქმედების, ისე ამა თუ იმ პოლიტიკური დამოკიდებულების ურთიერთმებრძოლი სუბიექტების საქმიანობის შედეგს. განასხვავებენ პასიურ კონფრონტაციას, რომლის დროს ინტერესთა და განზრახვათა დაპირისპირებულობა მოწინააღმდეგე მხარეთა შორის არ გადადის აშკარა მოქმედებაში. არსებობს ფარული ფორმით და აქტიურ კონფრონტაციას, რომელიც გამოიხატება შეიარაღებულ კონფლიქტში, „ცივ ომში", ამა თუ იმ ქვეყნის ბლოკადაში ამა თუ იმ მოტივით (საბაჟო, ფინანსური და ა. შ.) კონფრონტაციული სიტუაციის თავისებურება, მათგან თავის დაღწევის გზები განსაკუთრებით გულდასმით უნდა გაანალიზდეს პოლიტოლოგიის, კონფლიქტოლოგიის და კრატოლოგიის პოზიციებიდან.

კონცეფცია — პოლიტიკური (ლათ. conceptio — გაგება, აღქმა) რაიმე საგნის, მოვლენის, პროცესის გაგების, განმარტების გარკვეული იდეა. იმ პოლიტიკურ შეხედულებათა, იდეათა, მიზანდასახულობათა სისტემა, რომლებიც გამსჭვალულია ერთიანი, განმსაზღვრელი ჩანაფიქრით, ძირითადი, წამყვანი აზრით, რომელიც შეიცავს განმსაზღვრელი პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის გზებს. პოლიტიკური კონცეფცია ყალიბდება სუბიექტის მიერ შესასწავლი პოლიტიკური მოვლენების სიღრმისეული კავშირებისა და დამოკიდებულებების მიზანმიმართული შეცნობის, ახალი იდეების (ინოვაციების) გააზრებისა და ათვისების, დასახული მიზნების ახალი მეთოდებით განხორციელების პროცესში.

კონიუნქტურა — პოლიტიკური (ლათ. conjunctura) — შექმნილი კითარება, მდგომარეობა, სიტუაცია. წარმოშობილი საზოგადოების პოლიტიკურ სფეროში გარკვეულ რომენტში. პოლიტიკური კონიუნქტურა ყალიბდება სხვადასხვა პოლიტიკური ძალების, სახელმწიფო სტრუქტურების, ხელისუფლების ორგანოების მოქმედების ს ფუძველზე. ის შეიძლება იყოს სტაბილური, მყარი, ანდა ხასიათდებოდეს არასტაბილურობით, დაძაბულობით, კონფლიქტურობით.

კორუფცია — (ლათ. corruptio — მოსყიდვა) თანამდებობის პირის, საზოგადოებრივი ან პოლიტიკური მოღვაწის დანაშაულებრივი გამდიდრება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; თანამდე-

ბიების პირების, მინისტრების, პარლამენტის წევრების, ჟურნალისტებ-ის, სხვადასხვა ჩინოვნიკების — მოსყიდვა, რომელთაც უწოდებენ კორუმპირებულებს, გამყიდველებს, მოსყიდულებს, ქრთამებით გახრწნილებს.

ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ — ხელისუფლების (ბერძნ. krisis — გარდატეხის წერტილი) მკვეთრი შესუსტება, მძიმე გარდამავალი მდგომარეობა, ავტორიტეტის შესუსტება, დაკარგვა, მწვავე სიძნელეები ან დამუხრუჭება ხელისუფლების სტრუქტურების საქმიანობის, მძიმე გარდამავალი პერიოდი, დაკარგვა ნდობისა, ძალებისა, რომლებიც მოითხოვს კადრების შეცვლას; სამთავრობო დონეზე კაბინეტის მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლას, პარლამენტის დონეზე მის შესაძლო დათხოვნას და ხელახლა არჩევას. მთავრობის კრიზისი მოითხოვს მისი მიზეზების, მიმდინარეობის, შედეგებ..ს ყურადღებით გაანალიზებას, როგორც აღმასრულებელი სფეროდან მოცემული პირებისა და პარტიების წასვლას. მთავრობის დონეზე — მთელი ან ნაწილობრივი შეცვლა კაბინეტისა, პარლამენტის დონეზე — მისი დათხოვნა ან გადარჩევა. ხელისუფლების კრიზისი საჭიროებს გულმოდგინე ანალიზს, მისი მიზეზების შესწავლას.

ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ — (ბერძნ. — krisis) — საზოგადოების პოლიტიკური სისტემის მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება არსებული კონფლიქტების გაღრმავებას და გამწვავებაში, პოლიტიკური დაძაბულობის მკვეთრ გამწვავებაში. პოლიტიკური კრიზისი დადგომამდე გაივლის რიგ ეტაპებს: საზოგადოების ან მისი პოლიტიკური სისტემის კრიზისისწინა პერიოდს, რომელიც მდგომარეობს კონფლიქტური სიტუაციის ისეთ დონემდე გამწვავებაში, როდესაც ისინი უკვე ვეღარ გადაიჭრება კომპრომისის მიღწევის გზით; კრიზისის წარმოქმნა, რომელიც გამოხატავს ^ოავრობის უუნარობას, გადაჭრას საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემები ჩვეულებრივი პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური მეთოდებით. კრიზისის განვითარება და გამწვავება, რომელიც თავისთავში შეიცავს ამ პროცესში შესაბამისი პოლიტიკური სტრუქტურების დაშლას, მათ არაქმედითუნარიანობას, ხელისუფლების სრულ პარალიზებას. გამოყოფენ საგარეო პოლიტიკურ კრიზისებს, რაც დაკავშირებულია საერთაშორისო კონფლიქტებთან, სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებს შორის კონფლიქტებთან, შიდაპოლიტიკურ კრიზისებს, რომელიც : კონსტიტუციური კრიზისი — დაკავშირებული სახელმწიფოს ძირითადი კანონის მოქმედების ფაქტიურ შეწყვეტასთნა, სამთავრობო კრიზისი — გა-

მოხატული ამა თუ იმ მთავრობის მიერ ავტორიტეტის დაკარგვაში, აღმასრულებელი ორგანოების მიერ მთავრობის განკარგულებების არ შესრულებაში; შიდაპარტიული კრიზისი — დაკავშირებული ამა თუ იმ პარტიის გათიშვასთან და მის მიერ თავისი ფუნქციების დაკარგვასთან. პოლიტიკური კრიზისი — მძიმე მოვლენაა საზოგადოების ცხოვრებაში, მაგრამ მისი წარმატებით გადაჭრის დროს იგი ყოველთვის გამოდის საზოგადოების განვითარების და მისი პოლიტიკური სისტემის ახალი ეტაპის დასაწყისად.

კრიტერიუმი — ხელისუფლების (ბერძნ. kriterion — მსჯელობის საშუალება), ნიშანთვისება, რომლის მიხედვითაც აფასებენ არსებული ხელისუფლების ეფექტურობას და სიცოცხლისუნარიანობას. მათ რიცხვს მიეკუთვნება თვით ხელისუფლების მოქმედების შედეგები, მისი აქტიურობა, მოქნილობა, დინამიზმი, ინიციატივა, დაჟინებულობა. ავტორიტეტი, გამოწვეული ნდობის ხარისხი, კავშირით ხალხთან.

კრიტერიუმები პოლიტიკური — მოვლენების, სიტუაციის, ფაქტების, შემთხვევების გაანალიზებისა და შეფასების პრინციპი სხვადასხვა პოლიტიკური ძალებ მსოფლმხედველობის და პოლიტიკური ორიენტაციის, ინტერესებისა და მიზნების თვალსაზრისით. პოლიტიკური კრიტერიუმები წარმოგვიდგება პოლიტიკურ დოკუმენტებში (განცხადებები, პროგრამებში, ყონცეფციებში, თეორიებში და ა. შ.). არსებული ანალიტიკური განსჯის, დასკვნების და შეფასების ფორმით, რომლებშიც გადმოცემულია როგორც „მიმდინარე", ანუ „ჭეშმარიტი მომენტის" მომცველი პროცესებისა და ფაქტების დახასიათება „დღევანდელი" სახით, ისე ეფექტური, პოლიტიკური საქმიანობისათვის აუცილებელი პოლიტიკური გაკვეთილების, დაგროვილი გამოცდილების შედეგების ანალიზი.

კრიტიკა — ხელისუფლების — (ბერძნ. kritike — გარჩევის, მსჯელობის საშუალება), რისამე კვალიფიციური განხილვა, შეფასება, გარჩევა ხელისუფლების ღირსების და ნაკლის გამოსარკვევად, შეფასების მიზნით.

კურსი — პოლიტიკური (ლათ. cursus — სრბოლა, მოძრაობა), სახელმწიფოს, პოლიტიკური გაერთიანების, პარტიების, კავშირების, მოძრაობების საქმიანობის შეფარდებითი გრძელვადიანი (ხანგრძლივი) მიმართულება, რომლის მიმდინარეობის დროს მიიღწევა (ან არ მიიღწევა) განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტა. პოლიტიკური კურსი, როგორც წესი, განმტკიცდება და არგუმენტირდება საპროგრამო დოკუმენტებში, დეკლარაციებში, რომლებშიც ჩამოყალიბდება მისი მიზანი,

ტაქტიკური და სტრატეგიული ამოცანები. პოლიტიკური კურსის გატარება რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია, რომელზეც ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები: პოლიტიკური ძალების განლაგება, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სხვადასხვა სოციალური ფენების პოლიტიკისადმი დამოკიდებულება, ეროვნებათშორისი დამოკიდებულებებისა და კავშირების მდგომარეობა; საერთაშორისო ვითარება, პოლიტიკური ლიდერების ავტორიტეტი, პოლიტიკური კულტურის დონე და სხვა.

ლ

ლეგიტიმაცია — (ლათ. legitimus — კანონიერი) რაიმე უფლების თუ რწმუნების კანონიერების აღიარება ან დამტკიცება. მაგ. ლეგიტიმური მთავრობა, ლეგიტიმური პარლამენტი, ლეგიტიმური პარტია და ა. შ.

ლიბერალიზაცია — (ლათ. liberalis — თავისუფალი) საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაზე სახელმწიფოს ზედამხედველობის, კოსტროლის, ზემოქმედების სხვადასხვა ფორმების შესუსტება ან გაუქმება. მაგ., ფასების ლიბერალიზაცია, ცენზურის გაუქმება, ახალი პოლიტიკური პარტიების წარმოქმნა, შეხედულებათა პლურალიზმი, საჯაროობა, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების გაფართოება და ა. შ. დემოკრატიულ საზოგადოებაში ლიბერალიზაციის პროცესებს გააჩნია კონსტიტუციური საფუძველი.

ლიბერალიზმი — (ლათ. liberalis — თავისუფალი) პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა ქვეყნებში აბსოლუტურ მონარქიულ ხელისუფლებასთან ბრძოლის დროს თავისუფალი კერძო მწარმოებლობისათვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი დამოკიდებულებების სისტემის დემოკრატიული გარდაქმნისათვის, ადამიანის მოქალაქეობრივი უფლებების დასაცავად. თანამედროვე ლიბერალიზმი (ნეოლიბერალიზმი) გამოდის ეკონომიკაზე სახელმწიფოს გავლენისა და ზემოქმედების წინააღმდეგ; ყოველდღიურ ხმარებაში ტერმინი „ლიბერალიზმი" ნიშნავს თავისუფალ აზროვნებას, შემწყნარებლობას განსხვავებული ინდივიდუალურ აზრისადმი, აგრეთვე ლმობიერებას, უპრინციპობას, უნიათობას, შემრიგებლობას; რიგ ქვეყნებში (დიდი ბრიტანეთი, კანადა და სხვ.) მოქმედებენ მოსახლეობის საშუალო ფენის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების წარმომადგენელი ლიბერალური პარტიები.

ლიდერი — პოლიტიკური (ინგლ. leader — ხელმძღვანელი), პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის, მოძრაობის წამყვანი პოლიტიკური ფიგურა, პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ამავე დროს არის სახელმწიფოს მეთაური, პარტიის ხელმძღვანელი. უკანასკნელ პერიოდში ლექსიკონში შემოდის ლიდერობის მცნება სახელმწიფოს, საზოგადოების სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა კოლექტივებში; აგრეთვე წარმოდგენა კოლექტიურ ლიდერობაზე, პარტიაში, პოლიტიკურ მოძრაობაში რამოდენიმე პირის ერთდროულ ლიდერობაზე. ლიდერობის პრობლემები გამწვავდა ცხოვრების საერთო პოლიტიზაციის გამო, პოლიტიკური მეტოქეობისა და ბრძოლის გაძლიერების გამო, რომლებშიც მოუთოკავ პოლიტიკურ ამბიციებს, უკიდურეს მოთხოვნებს, პოპულიზმს შეუძლიათ არსებითი ზიანი მიაყენოს საქმეს. ჩვენს დროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური ლიდერის, მისი „გუნდის" ფორმირებას, ახალგაზრდა ლიდერების ქმედებიან საქმიანობაში ჩაბმისა და მოამზადების პრობლემებს; იზრდება მოთხოვნილება ლიდერების კომპეტენტურობის, ერუდიციისა და ზნეობრივი თვისებების მიმართ.

ლობი, ლობიზმი — (ინგლ. lobby — კულუარები), აშშ-ში კაპიტალისტური მონოპოლიების აგენტები, რომლებსაც ევალებათ კონგრესში მიღებინონ ესა თუ ის კანონპროექტი ან ჩაშალონ მისი მიღება. ლობიზმი განასხვავებს კულუარულ ორგანიზებულობას, დაჟინებულ მისწრაფებას, მიღწეული იქნას გარკვეული, თუმცა, არაუცილებელი მიზნები, ერთგულობს იმ ვიწრო დაჯგუფებების ინტერესებისადმი, რომლებიც ხელისუფლებისაკენ მიისწრაფვიან.

ლოგიკა — პოლიტიკაში — (ბერძნ. logike) პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც ალაგებს, აკონკრეტებს, ასაბუთებს, ამტკიცებს და ადვილად გასაგებს ხდის აზრებს. პოლიტიკური — ლოგიკური ფორმის მქონე აზრი მაჩვენებელია პოლიტიკური-სუბიექტის ინტელექტისა, მისი მაღალი პროფესიონალურიკულტურისა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია პოლემიკის, კამათის, დასკვნების ჩამოსაყალიბებლად და აუდიტორის დასარწმუნებლად ამა თუ ... შეხედულების, პოლიტიკური პოზიციის სისწორეში. პოლიტიკური აზრის ლოგიკური სტრუქტურა — წარმოადგენს თეორიული საქმიანობის წარმატების უმნიშვნელოვანეს პირობას, სოციალურ-პოლიტიკური პრაქტიკის ადექვატურ ასახვას.

ლოზუნგი — პოლიტიკური (გერმ. Losung), მოკლედ გამოთქმუ-

ლი სახელმძღვანელო იდეა, ამოცანა ან პოლიტიკური მოთხოვნა. სახელმწიფო, პარტიული და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ ლაკონურად, კონცენტრირებულად, მოსახლეობის ფართო მასებისათვის. პოლიტიკური ლოზუნგები მიმართულია მოქალაქეთა შეგნებისა და გრძნობებისაკენ მათი მოქმედების სტიმულირებისა მიზნით მიმდინარე მომენტის ამა თუ იმ ამოცანების გადასაწყვეტად.

მ

მანიპულირება — პოლიტიკური (ფრ. manipuler) პოლიტიკანობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ხასიათდება ხალხის მოტყუების მიზნით კანონსაწინააღმდეგო, ანტისაზოგადოებრივი ხერხებით, სიმართლის, ჭეშმარიტი მიზნების, საქმიანობის, ქცევების დამალვით სინამდვილის წინასწარგანზრახული დამახინჯებით. ეს ხერხი დამახასიათებელია იმ პოლიტიკოსათვის, რომელიც მიისწრაფვის ანგარებითი მიზნების სარეალიზაციოდ სახელმწიფო ხელისუფლებისაკენ, და თავის გარშემო შემოიკრებს ბინძურ, უპრინციპო ადამიანებს, რომლებიც მზად არიან და შეუძლიათ გაბრიყვინ ადამიანის შეგნება ყალბი ლოზუნგებით და მიზნებიო, უპასუხისმგებლო დაპირებებითა და ილუზიებით.

მანიფესტი — (ლათ. manifestus — აშკარა) უმაღლესი ხელისუფლების წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენის გამო. ამა თუ იმ ორგანიზაციის საზეიმო მიმართვა, რომელშიც გადმოცემულია პოლიტიკური შეხედულებანი.

მანიფესტაცია — (ლათ. manifestatio — გამოცხადება), მასობრივი მსვლელობა ქუჩაში სოლიდარობის ან პროტესტის გამოსახატავად ელისუფლების პოლიტიკისადმი ან მოქმედებისადმი.

მარიონეტი — (ფრ. marionnette)თეატრალური თოჯინა, რომელიც ზონარზე ან ძაფზეა ჩამოკიდებული და ისე ათამაშებენ; უწოდებენ პიროვნებას ან მთავრობას, რომელიც უსიტყვოდ ასრულებს სხვის ნება-სურვილს.

მანია — (ბერძნ. mania — სიგიჟე, ვნება, მისწრაფება) — ავადმყოფური, ზოგჯერ აბსურდამდე მისული კონცენტრაცია შეგნებისა ერთ რომელიმე იდეაზე, მიზანზე. პოლიტიკურ პრაქტიკაში ცნობილია მაგალითად, განდიდების მანია, დევნის, ეჭვიანობის, ჭეშმარიტების ფლობის მანია და ა. შ. ხელისუფლების მქონე იმ პოლიტიკოსის საქ-

მიანობამ (განსაკუთრებით ლიდერისა), რომლის ფსიქიკა დამძიმებულია მანიაკალური სიმპტომებით, შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს არა მხოლოდ მის გარშემო მყოფთ, არამედ მთელს საზოგადოებას საერთოდ.

მარკეტინგი — პოლიტიკური (ინგ. marketing — ბაზარი), კაპიტალისტური საწარმოს მართვის ერთ-ერთი სისტემა, რომელიც გულისხმობს ბაზარზე მიმდინარე პროცესების გულდასმით აღრიცხვას სამეურნეო გადაწყვეტილებათა მისაღებად, წარმოების შეგუებას მომხმარებლის საჭიროებებთან. წარმოიშვა აშშ-ში მე-20 ს-ის დასაწყისში, ყველაზე უფრო დიდი გავრცელება პოვა 50—60 წლებში. გასაღების პრობლემის გამწვავებასთან და საკონკურენციო ბრძოლის ახალი მეთოდების ფართო გამოყენებასთან დაკავშირებით.

მასონობა — (ფრ. macons — თავისუფალი კალატოზები), რელიგიურ-ეთიკური მოძრაობა, რომელიც აღმოცენდა ესპანეთში, რუსეთში, დანიაში, შვეიცარიაში, ინდოეთში, აშშ-სა და სხვ. ქვეყნებში. მასონები გაერთიანებული კვნენ ძმობის, სიყვარულის, თანასწორობის და ურთიერთდახმარების „პრინციპების საფუძველზე. მასონიზმში ბურჟუაზიული ანტიკლერიკალიზმის იდეები გადახლართული იყო რელიგიურ ვისტიციზმთან. მასონები უარყოფენ საეკლესიო დოგმატებს და კულტს, მაგრამ თაყვანს სცემენ ღმერთს, როგორც „სამყაროს დიდ არქიტექტორს". დასაშვებად მიაჩნიათ ნებისმიერი რელიგიის აღიარება, თავის მოძღვრებაში შეიტანეს ქრისტიანობის, იუდაიზმის და სხვა რელიგიათა ელემენტები. მასონები ერთმანეთს ძმებს უწოდებენ, ერთიანდებიან ადგილობრივ ორგანიზაციებში (ლოჟები), ხოლო ამ ორგანიზაციათა გაერთიანება ქმნის დიდ ლოჟას, რომლის საფავეში დგას გროსმაისტერი. ეს ლოჟები ამჟამადაც არსებობენ. მათი ჭეშმარიტი პოლიტიკური შესაძლებლობები და ძლიერი ფარული გავლენა საზოგადოებაზე არასოდეს არ გაცხადებულა; არ ჰქონია ადექვატური შეფასება. ბეჭდვით ორგანოებში ზოგჯერ გამოქონავს ცნობები მასონობის ჩრდილოვანი საქმიანობის გააქტიურების, მათი ზრდის შესახებ, მათ შორის მისი გავლენის რიცხვსა და ზრდაზე თანამედროვე რუსეთში.

მაფია — (იტ. mat[f]ia) საიდუმლო ორგანიზაცია იტალიაში. შეიქმნა კუნძულ სიცილიაზე მე-18 ს-ის ბოლოს; მიმართავს ტერორს და მსვლელობას; მოგვიანებით დამკვიდრდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში; მე-20 ს-ში ასე უწოდებენ აგრეთვე ზოგიერთ განგსტერულ ორგანიზაციას აშშ-ში, რომელიც მოქმედებს ქალაქებში და დაკავებუ-

ლია ნარკოტიკების კონტრაბანდით, მშენებლობის სფეროთი და სხვ ეგი დამკვიდრდა პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. მაფია კავშირშია ესოფ ლიოს მრავალი ქვეყნის დამნაშავეთა სამყაროს ორგანიზაციებთან. ტერმინი „მაფია“ დღეს იხმარება სახელმწიფო ორგანოებთან დაკავ შირებული დამნაშავე პირებისა და დაჯგუფებების მოქმედების აღსა ნიშნავად. პრაქტიკაში შემოდის ტერმინი „პოლიტიკური მაფია“.

მემორანდუმი — (ლ თ. memorandum — რაც უნდა გვახსოვ დეს) -სამახსოვრო ფურცელი), ახსნა-განმარტებითი ცნობა, დიპლომა ტიური დოკუმენტი, რომლითაც გადმოცემულია მთავრობის თვალსაზ რისი ამა თუ იმ საკითხზე. მემორანდუმი ზოგჯერ ნოტის დამატებაა, ზოგჯერ კი დამოუკიდებელი დოკუმენტი. მეორე შემთხვევაში მემო რანდუმი იწერება სანოტო ბლანკზე, მითითებულია გაგზავნის ადგილი და თარიღი, მაგრამ ხელმოწერის და ბეჭდის გარეშე.

მენეჯერი — (ინგლ. manager — მართვა), საზოგადოების სპე ციფიკური სოციალური ფენა, რომელშიც შედიან დაქირავებული პროფესიონალი მმართველები, კვალიფიციური სპეციალისტები, წარ მოებათა დირექტორები, კონცერნ ს, ტრესტის, სინდიკატის და სხვა ცალკეული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი. მათ ფორმალურად არ გა აჩნიათ უშუალო დამოკიდებულება პოლიტიკურ ხელისუფლებასთან. მაგრამ მაღალი რანგის მენეჯერის გადაწყვეტილება, მისი მოქმედება უდრის სახელმწ კო მოღვაწეების გადაწყვეტილებებს, შეუძლია გადა წყვიტოს მილიონობით ადამიანების, ზოგიერთი სახელმწიფოსა და მთელი რეგიონების ბედი. ასეთი სოციალური სტატუსის მქონე პირები ანგარიშგასაწევია პოლიტიკურ, მათ შორის, ხელისუფლების პრაქტი კაში.

მენეჯერიზმი — ეკონომიკური თეორია, გამოყენებითი დისციპ ლინა, რომელიც შეისწავლის წარმოების კონტროლის მეთოდებს, სა შუალებებს, ხერხებსა და ფორმებს, აგრეთვე მმართველობის ფუნქციი ის გადასვლის აქტებს ცალკეული კერძო მესაკუთრეებიდან მენეჯერე ბის ხელში.

მენეჯმენტი — (ინგლ. management — მართვა) მართვა, ფუნ ქცია, სახეობა საქმიანობისა; ადამიანთა ხელმძღვანელობა სხვადა სხვა ორგანიზაციებში; დასახული მიზნებისა მიღწევ ს, ეფექტურობისა და მოგების გაზრდისა ადამიანთა შრომის ინტელექტ მოქცევის მო ტივების ცოდნის გამოყენების გზით.

მენტალიტეტი — mentalite — გონებრივი აღწყობა, მსოფლ-

მხედველობა) შეგნების დონისა და მიმართულების მდგომარეობა (ინდივიდუალურისა და ჯგუფურისა), ,ზოვრებისეული ფასეულობ ების ნორმების და პრინციპების ათვისებისა, სოციალური გარემო პირობებისადმი ადაპტაციის, მათზე ზემოქმედებისა, წინა თაობების გამოცდილებათა გამოყენების ენარი. პოლიტოლოგიაში და სოციოლოგიაში გავრცელდა ტერმინი „მენტალური სივრცე", იგი აღნიშნავს პიროვნებ ,, სოციალური ჯგუფების მოღვაწეობის სფეროს, რომლის პირობებშიც პოულობს თავისებურსა და მრავალმხრივ გამოვლენას ადამიანთა მსოფლმხედველობაში, საწყაროს, აღქმა, მათი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, პოლიტ კური კურსისადმი, ხელისუფლების სტრუქტურებისადმი და ა. შ.

მილიტარიზმი (ფრ. militarisme), სახელმწიფოს საშხედრო ძლიერების ზრდა დაპყრობლური ომების პოლიტიკის განხორციელების მიზნით და ქვეყნის შიგნით ბრბოშელოთა ასების წინააღმდეგობის დასაძლევად. მილიტარიზმის სისტემაში შედის საშხედრო ძალების ხელმძღვანელი ორგანოები (სამინისტროები, შტატები და სხვ.). სასწავლო და საკვლევი ცენტრები, საშხედრო-პოლიტიკური ბლოკები და კავშირები, აგრეთვე არასაელმწიფოებრივი ორგანიზაციები, დაკავშირებული საშხედრო-სამრეწველო წრეებთან. ზოგ ქვეყანაში ჩამოყალიბდა ეკონომიკური წარმონაქმნი — საშხედრო-სამრეწველო კომპლექსები, რომლებიც აერთიანებენ შეიარაღებული ძალებ ს, მრეწველობის, მეცნიერების, მთავრობის იდეოლოგიის ხელმძღვანელ წრეებს. მილიტარიზმი ეწინააღმდეგება ერთიანი და ურთიერთდამოკიდებული მსოფლიოს ჩამოყალიბებისა და განვითარების ლოგიკას; სახელმწიფოთაშორისი უსაფრთხოების საყოველთაო და ყოველისმომცველი სისტემის შექმნის აუცილებლობის ლოგიკას.

მითები — პოლიტიკური (ბერძნ. mythos —გადმოცემა, თქმულება) ძველი ხალხური თქმულება ღმერთებსა და გმირებზე, სამყაროს შექმნასა და სიცოცხლის წარმოშობაზე, პოლიტიკური ურთიერთობებისა და საქმიანობის შესახებ. რეალურად არსებული ცრუ ფორმები წარმოდგენებისა, შეგნებულად თუ შეუგნებლად შელამაზებული სხვადასხვა გოსებამახეილური დასკვნებით, გამონაგონებით, ფანტაზიით, ლეგენდით; არასარწმუნო მოთხრობა რაღაც მოვლენების შესახებ. მითი შეიცავს არასწორ, მისტიფიცირებულ ვითარებას კონკრეტული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციისა და გააჩნია უნარი სწრაფად გავრცელდეს მასების შეგნებაში. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური მითები ძალზედ სახიფათოა, ხშირად გვეელინება რო-

გორც მასების შეგნების მანიპულირების, მათი მოტყუების, საზოგადოებაში საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობის დაფარვის საშუალებად. ისინი ნეგატიურ გავლენას ახდენენ ყოველდღიურ პოლიტიკურ შეგნებაზეც, რომელსაც განუვითარებლობის, აუცილებელი ინფორმაციის გამო გააჩნია უნარი არაკრიტიკულად აღიქვას ცრუ წარმოდგენები.

მრავალპარტიულობა — საზოგადოების დემოკრატიული მოწყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და არსებითი ნიშანი, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ინტერესების წარმომადგენელი ამა თუ იმ პარტიის, გაერთიანებისა და ა. შ. მოღვაწეობის შესაძლებლობას იძლევა კონსტიტუციურ საფუძველზე.

მონარქიზმი — (ბერძნ. monarchos-დან — ერთი archos — მმართველი) — პოლიტიკური მიმართულება, რომელიც ხასიათდება სახელმწიფო ხელისუფლების მონარქიული ფორმისადმი ერთგულებით.

მონარქია — (ბერძნ. monarchia — ერთხელისუფლებიანობა). სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმა, რომლის დროს კ უსენაეს სახელმწიფო ხელისუფლებას მემკვიდრეობით ახორციელებს და სახელმწიფოს მეთაურად ითვლება ერთი პირი — მონარქი (ფარაონი, მეფე, იმპერატორი, სულთანი, შახი და ა. შ.). განასხვავებენ შეუზღუდავ მონარქიას (აბსოლუტური), რომელიც დამახასიათებელი იყო მონათმფლობელური და ფეოდალური წყობის დროს, და შეზღუდული (კონსტიტუციური), რომლის დროსაც ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს. თანამედროვე პირობებში არსებობენ სახელმწიფოები კონსტიტუციური მონარქიის სახით. მაგ. დიდ ბრიტანეთში, ნორვეგია, შვეცია, დანია.

მონიტორინგი — პოლიტიკური (ინგლ. monitoring — პოლიტიკური სფეროს კონტროლირება) პოლიტიკურ პროცესებზე, მოვლენებზე დაკვირვება, მდგომარეობის შეფასება და პროგნოზი პოლიტიკური ძალების, პარტიების, მოძრაობების და არსებული სახელმწიფოების საქმიანობასთან დაკავშირებთ. ასეთი დაკვირვება მიზნად ისახავს გამოავლინოს შესაბამისობა ამა თუ იმ პროცესებისა პირველ ჩანაფიქრთან, ვარაუდებთან, საბოლოო შედეგებთან მიმართებაში. მცხება „პოლიტიკური მონიტორინგი" პრაქტიკაში შემოდის ბოლო წლებში. იგი ნასესხებია ადამიანის ეკონომიკური, სამეურნეო საქმიანობიდან სადაც გარემოს დაკვირვება და შეფასება ადამიანის საეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით ხდება სამი საფეხურის მიხედვით: გლობა-

ლური — ბიოსფერული მონიტორინგი, რეგიონალური — გეოსისტემური ანუ ბუნებრივ-სამეურნეო მონიტორინგი; ლოკალური — ბიოეკოლოგიური ანუ სანიტარულ-ჰიგიენური მონიტორინგი. ასეთი მიდგომის მეთოდოლოგია შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკურ სფეროშიც.

მოტივი — პოლიტიკური (ლათ. moveo — მოძრაობაში მოყვანა, ბიძგება) — ღრმა, შინაგანი წამქეზებლური ფაქტორები, მიზეზები, რომლებიც იწვევს პოლიტიკის სუბიექტების აქტიურობას და განსაზღვრავს მის მიმართულებასა და ორიენტაციას. პოლიტიკური მოტივები განპირობებულია განსაზღვრული მოთხოვნილებითა და ინტერესებით, მიზნებითა და იდეალებით. სუბიექტის წაქეზების (შეგულიანების) პროცესი ამა თუ იმ მოქმედების ჩასადენად ხშირად თავისთავად რთულ აქტს წარმოადგენს, რომელიც მოითხოვს ანალიზსა და შეფასებას, გადაწყვეტილების არჩევასა და მიღებას. პოლიტიკურ საქმიანობაში საქმიანობის მოტივი განსაზღვრულ ახსნასა და არგუმენტაციას მოითხოვს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, პოლიტიკის სუბიექტები უფრო ხშირად ამრავლებენ თავიანთ საქმიანობასა და საქციელს. მაგრამ არც თუ იშვიათადაა სიტუაციები, როდესაც საქმიანობის მოტივირება შეგნებულად გამოიყენება სუბიექტის მიერ თავისი საქციელის ქეშმარიტი მიზნების შესანიღბად.

მუნიციპალიტეტი — (ლათ. municipium — ქალაქი, რომელსაც თვითმმართველობა აქვს) რიგ სახელმწიფოში ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანო, რომელსაც გააჩნია საკუთრება (საცხოვრებელი სახლები, ბინები, მიწის ნაკვეთები, გზები და ა. შ.). აქვს უფლება გამოსცეს იურიდიული აქტები, დააწესოს ადგილობრივი გადასახადები; მოგება ძირითადად ხმარდება მისი აპარატის შენახვას (მაგ. მუნიციპალური პოლიციის, თვითმმართველობის რეჟიმის განხორციელებას, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ა. შ.). მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევა ხდება დემოკრატიული გზით, ხმის უფლებით სარგებლობენ ადგილობრივი მაცხოვრებლები, რომელთაც შეუსრულდათ გარკვეული ასაკი. ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრალია, ვენესუელა) დაბალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეული; შენობა, რომელიც უჭირავს მუნიციპალიტეტს.

მერი — (ფრ. maire, ინგ. mayor, ლათ. major — დიდი, უფროსი) თანამდებობის პირი, რომელიც სათავეში უდგას თვითმმართველობას,

ადგილობრივ ორგანოს — მუნიციპალიტეტს, მუნიციპალიტეტის მეთაური.

მერია — ფრ. mairie, მუნიციპალური სამმართველო ან შენობა, დაწესებულება, რომელიც მას უჭირავს.

ნ

ნაციონალიზმი — (ფრ. nationalisme-დან ლათ. — ერი) მოძრაობა დამონებულ ქვეყნებში უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ — ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. იდეოლოგია. და პოლიტიკა, რომლის საფუძველია ეროვნული განსაკუთრებულობისა და უპირატესობის იდეა, მისწრაფება ეროვნული კარჩაკეტილობისაკენ, უნდობლობა სხვა ეროვნებებისადმი, რომელიც არაიშვიათად გადაიზრდება ეროვნებათშორისო მტრობაში.

ნეიტრალიტეტი — (ლათ. neutralis — არც ერთი, არც მეორე) სახელმწიფოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც იგი არ მონაწილეობს ომში და მეომარი სახელმწიფოების მიმართ ერთნაირი პოზიცია უკავია. სახელმწიფო, რომელიც ნეიტრალიტეტს იცავს მეომარ მხარეთა მიმართ და მის ტერიტორიაზე საერთაშორისო შეთანხმებით არ შეიძლება ომის წარმოება, სამხედრო ძალების განლაგება; მშვიდობიან პირობებში — უარის თქმა ყოველგვარ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობაზე.

ნიჰილიზმი — (ლათ. nihil — არაფერი), ყველაფრის ხელაღებით უარყოფა, საყოველთაოდ აღიარებული ნორმების მიუღებლობა: იდეალების, პრინციპების, მორალური ნორმების, კულტურის, სოციალური ცხოვრების ფორმების, პოლიტიკურ ლექსიკონში „ნიჰილიზმი" იხმარება ოფიციალური პოლიტიკური კურსის, სხვადასხვა პარტიების, ჯგუფებების მოქმედების, ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამოსახატავად.

ნომენკლატურა — (ლათ. nomen — სახელი) ტერმინთა სახელწოდებების ნუსხა, რომელიც იხმარება მეცნიერების, ხელოვნების, წარმოების თუ სხვა დარგში. იმ თანამდებობის სახელწოდებათა სია, რომლებზე დანიშვნაც ამა თუ იმ ზემდგომი დაწესებულება-ორგანიზაციის კომპეტენციაში შედის. ამ ასპექტში ნომენკლატურა არის კომპონენტი ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოებრივი ან პოლიტიკური სისტემისა. თავისთავად, ნომენკლატურის არსებობა წარმოადგენს ცხოვრების ნორმას, რადგან იგი პრაქტიკაში საშუალებას იძლევა ეფექტურად გადაჭრას საკადრო პოლიტიკის საკითხი. არანორმა-

ყოფერია ნომენკლატურის გამორჩევა რაიმე ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრივილეგიებით, მათთვის ისეთი ძალაუფლების მიცემა, რომელიც არ კონტროლდება დემოკრატიული ინსტიტუტებით.

ნორმა — პოლიტიკური (ლათ. norma) რომელიმე სოციალურ გარემოში საერთოდ მიღებული წესი, შეხედულება. პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩამოყალიბებული წესი ამა თუ იმ საპროგრამო მითითებების სარეალიზაციოდ, რომელიც დამახასიათებელია სახელმწიფოს, პარტიის, პოლიტიკის სხვა სუბიექტების სტაბილური საქმიანობის პოლიტიკისათვის. პოლიტიკური ცხოვრების პროცესში გამომუშავებული და კანონებში ან სხვა დოკუმენტებში განმტკიცებული ღონისძიება ამა თუ იმ მოქმედების სარეალიზაციოდ თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

ნუვორიში — (ფრ. nouveau riche — „ახალი მდიდარი") სავაჭრო სპეკულაციების შედეგად გამდიდრებული ადამიანი, რომელიც აღწევს საზოგადოების მაღალ ფენებში; გავლენიანი მდიდარი — მეტიჩარა, რომელიც არაიშვიათად იღებს აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, მიისწრაფვის ხელისუფლების სტრუქტურებში საქმიანობის სფეროსაკენ.

ო

ობსტრუქცია — (ლათ. obstuctio — შეფერება, დაბრკოლება) პოლიტიკური ბრძოლის მეთოდი, პროტესტის ფორმა, დამახასიათებელი პარლამენტის სხდომებისათვის, სხვადასხვა სახის კრებებისათვის, ყრილობებისათვის, რომლებზეც მონაწილეთა გარკვეული ჯგუფი (დელეგატები, დეპუტატები და ა. შ.) ხმაურით, უსაგნო სიტყვების წარმოთქმით, წამოძახილებით, რეგლამენტის უხეში დარღვევით, სხდომის დემონსტრატიული დატოვებით — ცდილობენ ჩაშალონ სხდომის მუშაობა. ბლოკირება გაუკეთონ მათთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღებას.

ობიექტი — პოლიტიკის (ლათ. objectum — საგანი), — საზოგადოებრივი მოვლენები, პროცესები, სიტუაცია, ფაქტები, საზოგადოებრივი ძალები, ორგანიზაციები, პირები, ადამიანები, რომლებისკენაც არის მიმართული პოლიტიკის სუბიექტის მოღვაწეობა. რადგანაც პოლიტიკური ცხოვრების სფეროში ობიექტურ-სუბიექტური ურთიერთკავშირი ორგანულ ერთიანობაშია, ამიტომ თვით პოლიტიკის სუბიექტები მის ობიექტებს წარმოადგენენ. ასე მაგალითად: ადამიანი არის პოლიტიკის მთავარი სუბიექტი და ობიექტი, სოციალური ჯგუფები,

ორგანიზაციები, მოძრაობები, პოლიტიკური ძალები ასევე გამოდიან ერთდროულად როგორც პოლიტიკის ობიექტებად, ასევე მის სუბიექტებად. პოლიტიკის ობიექტების შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი შედარებით დამოუკიდებელი მოვლენაა. მაგ. პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ობიექტს წარმოადგენს ხელისუფლება, საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემა. პოლიტიკის ყველაზე უფრო ზოგადი ობიექტია საზოგადოება მთლიანად, ყველა მისი ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით, ხოლო პოლიტიკა იძენს სოციალური ცხოვრების ყველა მთავარი მხარის მაკოორდინირებელ და მარეგულირებელ ფუნქციას.

ოკუპაცია — (ლათ. occupatio), სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დროებით დაკავება. ოკუპირებულ ტერიტორიას ადმინისტრაციულად მართავს მაოკუპირებელი ჯარის სარდლობა.

ოლიგარქია — (ბერძ. oligarchia — მცირეთა ძალაუფლება) მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლება ეკუთვნის ადამიანთა მცირე ჯგუფს, როგორც წესი, ეკონომიურად ძლიერთ. ოლიგარქიას უწოდებენ აგრეთვე თვითმმართველ ჯგუფს. მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის მცირერიცხოვანი წარმომადგენლების პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა, ძალაუფლება, მმართველობა ადამიანთა მცირე ჯგუფებისა, ან თვით ასეთი ჯგუფი. მაგალითად, ფინანსური.

ოპოზიცია — (ლათ. oppositio) წინააღმდეგობის გაწევა, თავისი შეხედულებების ან პოლიტიკისადმი. პარტია ან ჯგუფი, რომელიც თავის შეხედულებებს და პოლიტიკას უპირისპირებს უმრავლესობის შეხედულებებს და პოლიტ კას. პარლამენტებში მოქმედებს საპარლამენტო ოპოზიცია. ასეთი ვითარება დემოკრატიის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება, საპარლამენტო ოპოზიციის არსებობა აიძულებს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებს გაატარონ გაწონასწორებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ოპტიმიზმი — (ლათ. optimus — საუკეთესო) ადამიანის სულიერი სამყაროს ერთ-ერთი უძვირფასესი თვისება, რომლისთვის დამახასიათებელია სინამდვილის ნებისყოფიანი, ცხოველმყოფელური აღქმა და მასთან დამოკიდებულება. ოპტიმიზმი ვლინდება, როგორც უნარი სიძნელეებთან, უსიამოვნებებთან გამკლავებისა, რწმენა დასახული მიზნების შესაძლებლობისა, დაჯერებულობა სოციალური სამართლია-

ნობის, ბოროტზე კეთილის გამარჯვებისა. აუცილებელია განვასხვაოთ მოჩვენებითი, უაზრო ოპტიმიზმი, რომელიც ემყარება ფუქსავატურ, დაუფიქრებელ გულკეთილობას, სიცოცხლისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას და ოპტიმიზმი, რომელიც ემყარება სინამდვილის საღ აღქმას, ხედავს ისტორიულ სიმართლეს, მეცნიერულ პროგნოზირებას, იდეის გამომუშავებას, რომელსაც უნარი აქვს გახდეს სოციალურ-პოლიტიკური ძალა. ოპტიმიზმის ალტერნატივას წარმოადგენს პესიმიზმი, რომელსაც თავის მხრივ შეუძლია გამოიწვიოს უარყოფითი ხასიათის არსებითი პოლიტიკური შედეგები.

ორთოდოქსი — (ბერძნ. orthodox — მართლმორწმუნე) ადამიანი, რომლის მსოფლმხედველობა გამოირჩევა რაიმე სწავლების, თეორიის, მიმართულებისადმი თანმიმდევრობით, ღრმა რწმენით, ერთგულებით. თანამედროვე პოლიტიკურ ლექსიკონში მცნება „ორთოდოქსი" „ორთოდოქსალური" არაიშვიათად გაიგივდება „დოგმატიკოსთან"; რასაც ზოგჯერ ამ მცნებების ნამდვილი შინაარსის დამახინჯებამდე მივყევართ.

ოხლოკრატია — (ბერძნ. ochlos — ბრბო, kratos — ძალაუფლება, ბრბოს ხელისუფლება) — უკიდურესად მახინჯი ფორმა დემოკრატიისა, როცა ხელისუფლება თავს იყრის უპასუხისმგებლო პოპულისტებისა და დემაგოგების ხელში, ვლინდება პოლიტიკური ექსტრემიზმის ფორმით მოსახლეობის ჯგუფები „ბრბოს" დესტრუქციულ საქმიანობაში, მთავრობისადმი, პარლამენტისადმი ულტიმატუმში, უკონტროლო აქციებში, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო დაწესებულების ხელში ჩაგდებასთან, ცეცხლის წაკიდებასთან, დივერსიებთან და ა. შ. ოხლოკრატია არ შეიცავს შემოქმედებით ძალებსა და პოტენციალს, არაფერი საერთო არა აქვს დემოკრატიის განვითარების პროცესთან, როგორც წესი, წარმოადგენს ექსტრემისტული ანტიდემოკრატიული ძალების მოქმედების გამოვლინებას, რომლებიც მიისწრაფვიან ტირანიისაკენ.

პ

პალატა — (ლათ. palatum — სასახლე) პარლამენტის ორივეთაგან საკანონმდებლო წარმომადგენლობითი ორგანოს ან მისი ცალკეული ნაწილის სახელწოდება. სხვადასხვა ქვეყნებში მაგ. დეპუტატების პალატა (იტალია, მექსიკა) პერების პალატა (საფრანგეთი), თემთა პალატა (დიდი ბრიტანეთი, კანადა) და ა. შ. ზოგიერთი სახელმწიფოებრივი

ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელწოდება. მაგ. საავჭრო პალატა, წიგნთა- პალატა და ა. შ.

პანაცეა — (ლათ. panacea) უებარი საშუალება, მკურნალი ბერძნული ქალღმერთის პანაკიას სახელწოდების მიხედვით, რომელიც, თითქოსდა, ყველა შემთხვევაში შველის ადამიანს. ტერმინი „პანაცეა" ხშირად იხმარება თანამედროვე პოლიტიკურ ლექსიკონში. მაგ. პანაცეა უმუშევრობის, კრიზისის, განხეთქილებისა, კრახისაგან და ა. შ. თავდასაღწევად.

პანიკა — (ბერძნულად pan), უეცარი, ძლიერი შიში, ძრწოლა, თავზარი, რომელიც შეიპყრობს ადამიანთა ჯგუფს, ხალხს და იწვევს გახვაშს. ცნება „პანიკა" მომდინარეობს ბერძნული მითოლოგიიდან პანის შესახებ, რომელიც იყო ტყის და ჭალის ღვთაება, მონადირეთა, მწყემსთა, მეთევზეთა მფარველი, რომელიც საშინელი სანახავია და თავისი ქცევით პანიკურ შიშს გვრიდა ადამიანებს. პანიკა საზოგადოებაში ძირითადად არის შედეგი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური არასტაბილურობისა, უკანონობისა, ნდობის კრიზისისა, სასიცოცხლო პირობების დაუცველობისა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლების ხელყოფისა. ასეთ შემთხვევაში პანიკა შეუძლია გამოიწვიოს ყოველგვარმა სმებმა (გამოგონებულმა თუ მართალმა), მაგ. ომის, შიმშილის, ნგრევის და ა. შ. გარდაუვალობ ს შესახებ. პანიკური მოვლენების, მათი მიზეზების და შედეგების თავიდან აცილების შესაძლებლ ობის შესწავლა წარმოადგენს პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

პარადიგმა — (ბერძნ. paradeigma — მაგალითი, ნიმუში, საბუთი) (საწყისი, ამოსავალი კონცეპტუალური სქემა) მოდელიც, რომელიც წარმოადგენს გარკვეულ ჭრ დაქნათა განხორციელებისა და მისი შესაძლო შედეგების სამაგალითო ნიმუშს, კონტურს. კარადიგმა აუცილებელი კომპონენტია პოლიტიკური რეფორმების, გეგმებისა და პროგრამებისა; მაგალითი ისტორიიდან, რომელიც აღებულია რაიმეს დასასაბუთებლად, შესადარებლად.

პარიტეტი -- (ლათ. parital — თანასწორობა), ძალთა თანაფარდობა, განასხვავებენ: საავალუტო პარიტეტს. ე. ი. სხვადასხვა ქვეყნის ვალუტის შეფარდება ოქროთი, პოლიტიკური ან სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტ ი, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა თანასწორობას შეიარაღების და შეიარაღებული ძალების სფეროში. კონფლიქტის გადაჭრისას მხარეთა თანასწორობის პრინციპი სხვადასხვა შემთანხმებლური კომისიების მუშაობაში.

პარლამენტი — (ფრ. parler — ლაპარაკი; გერმ. Parlament, ინგლ. parliament), უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ არჩევითია. საკანონმდებლო ფუნქციის მქონე უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. დიდ ბრიტანეთში — პარლამენტი; აშშ — კონგრესი, ნორვეგიაში — სტორტინგი, შვეიცარიაში — რიქსდაგი. უმრავლეს ქვეყანაში ორპალატიანია. ისტორიაში: ინგლისში XIII ს — წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო. საფრანგეთში XVIII ს-ის რევოლუციამდე — უმაღლესი სასამართლო ხელისუფლება. დემოკრატიულ სახელმწიფოებში პარლამენტი არის ძირითადი გარანტი კონსტიტუციისა, ტოტალიტარიზმის გამოვლინებისაგან თავის დასაცავად.

პარლამენტიორი — ერთ-ერთი მეომარი მხარის მიერ მოწინააღმდეგესთან მოსალაპარაკებლად წარგზავნილი ოფიციალური წარმომადგენელი. საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად პარლამენტიორის პიროვნება ხელშეუხებელია.

პარტია — პოლიტიკური (ფრ. parti → ლათ. pars) პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის ან ფენის ყველაზე აქტიურ და ორგანიზებულ ნაწილს, ხელმძღვანელობს გარკვეული მიზნებისა და იდეალების მიღწევისათვის ბრძოლას. პოლიტიკური პარტიის ორგანიზაციული წყობა და პრაქტიკული მთლიანობა აისახება პარტიის პროგრამაში და წესდებაში. მათ აქვთ თავიანთი ბეჭდვითი ორგანო, ფინანსები, ქონება. პარტიის ხელმძღვანელობა აირჩევა კონფერენციაზე, ყრილობაზე, პლენუმზე. პარტიის საქმიანობის პირობები დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკურ რეჟიმზე. ტოტალიტარული რეჟიმის დროს ხელისუფლება ძირითადად ერთი პარტიის ხელშია, თვი.. პარტია კი მისი ლიდერის გავლენის ქვეშ, ექცევა, ხდება: მმართველი პარტიის აღრევა სახელმწიფო აპარატთან. დემოკრატიული სახელმწიფოებრიობა კი რამდენიმე პარტიის არსებობას უშვებს. ნორმალურ ვითარებაში პარტიები გადიან რეგისტრაციას, როგორც იურიდიული პირი.

პარტნიორობა — პოლიტიკური (ფრ. partenaive — თანამონაწილე, ამხანაგი) — ურთიერთობის სახეობა პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სუბიექტს შორის, რომელიც წარმოიშობა პოლიტიკური პროგრამების რიგ უმნიშვნელოვანეს მომენტებზე აზრთა და ინტერესთა თანადამთხვევის საფუძველზე, რის შედეგადაც გამომუშავდება ეს სუბიექტების ინტერესთა გამომხატველი როგორც გრძელვადიანი, ისე

მიმდინარე მომენტით განპირობებული მოკლევადიანი, ერთიანი პოზიცია. პოლიტპარტნიორობის სპეციფიკას წარმოადგენს თითოეული პარტნიორის მიერ შეფარდებითი დამოუკიდებლობის შენარჩუნება თავიანთ საქმიანობის ძირითად ასპექტებში.

პასიურობა პოლიტიკური — (ლათ. passivus — ვნებითი, უმოქმედო და გულგრილი დამოკიდებულება პოლიტიკური ცხოვრებისადმი, მისი პრობლემებისადმი, მოვლენებისადმი, აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისათვის თავის არიდება, ცხოვრებისეული პოზიციის ერთ-ერთი ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია საკუთარი პოლიტიკური ხაზის უქონლობა. პოლიტიკურ საქმიანობაზე პრიმიტიული წარმოდგენები, რასაც, როგორც წესი, მიჰყავს სხვადასხვა ჭორების, ხმების, მონაგონის და ა. შ. დაუფიქრებელ აღქმამდე და ხდება სიცრუის, ყოველგვარი სახის მანიპულაციების მსხვერპლი. პოლიტიკური პასიურობა დამახასიათებელია არა მხოლოდ საკუთარი პატარა სამყაროს ინტერესებით მცხოვრები ადამიანებისათვის, არამედ ზოგიერთი მაღალგანვითარებული, გათვითცნობიერებული, პოლიტიკაზე საკუთარი აზრის მქონე ადამიანებისთვისაც, რომლებიც ამჯობინებენ პოლიტიკურ პერიპეტიებში ჩაურევლობას და თავისი აზრისა და შეხედულებების არ გამომჟღავნებას ამა თუ იმ მიზეზის გამო. მაგ. ხელისუფლების ორგანოთა სტაბილურობაში ეჭვის შეტანის, პოლიტიკური კურსის მიუღებლობის, სამოქალაქო და ეროვნული კონფლიქტებისადმი, სამუშაო ადგილის დაკარგვის შიშის, სოციალური დაცვის მექანიზმისადმი უნდობლობის და ა. შ. გამო.

პათოლოგია — ხელისუფლების (ბერძნ. pathos — ავადმყოფობა, ტანჯვა, წვალება) — ხელისუფლების სისტემის გარკვეული მდგომარეობა, რომელიც ნიშნავს მისი სიცოცხლისუნარიანობის მოშლას, მისი ძირითადი მახასიათებლების შეცვლას, მის სტრუქტურაში, ფუნქციებში დეფორმაციის არსებობას, ძალაუფლების „ველის" შევიწროებას ან არათანაბარ გაფართოებას, ხელისუფლების სუბიექტების შეცვლას მათი მატარებლების მიერ და სხვ., რაც განაპირობებს საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემის მძიმე მდგომარეობას. **პრა-ტოლოგია** (მეცნიერება ხელისუფლების შესახებ) იკვლევს ხელისუფლების სისტემაში პათოლოგიური პროცესების წარმოშობისა და მიმდინარეობის კანონზომიერებას, სტრუქტურულ-ფუნქციონალურ დარღვევებსა და მათდამი შემგუებლურ რეაქციებს.

პატრიოტიზმი — (ბერძნ. patris — სამშობლო), სამშობლოს სიყვარული, ერთგულება, მისთვის თავდადება, აქტიური მონაწილეობა

მისი კეთილდღეობის და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, სულიერი და მატერიალური კულტურის განვითარებისათვის. პატრიოტიზმი გულისხმობს სხვა ხალხების, მათი კულტურის და ინტერესების პატივისცემას. სუვერენიტეტის, თვითშეგნების, სამშობლოს დაცვისაკენ მისწრაფებას, პატრიოტიზმი საზოგადოების ცივილიზებულობის მაჩვენებელია და უპირისპირდება ნაციონალიზმს.

პაციფიზმი — (ლათ. pacificus — დამწყნარებელი) ანტისაომარი მოძრაობა, რომელიც ომების თავიდან აცილების მთავარ საშუალებად თვლის მათი ამორალური ხასიათის მხილებას. პაციფიზმი წინააღმდეგია ყოველგვარი ომების. ამჟამად ბევრი გულწრფელი პაციფისტი მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის მონაწილეებს უერთდება.

პესიმიზმი — პოლიტიკაში — (ლათ. pessimus) — ძალიან ცუდი), ყველაფერში ცუდი, ბნელი მხარეების დანახვა, სევდიანობა, გულგატეხილობა, უიმედობა, ორიენტირებისა და იმედების დაკარგვა, ამა თუ იმ პოლიტიკური სიტუაციის დადებითად გადაწყვეტის შესაძლებლობის დაუჯერებლობა, საზოგადოების განვითარების პერსპექტივების შესახებ ნეგატიური ან ძალიან ცუდი წარმოდგენა, პირქუში, გულგატეხილი მსოფლაღქმა, მიდრეკილება აწმყოსა და მომავლის დანახვისა შავ ფერებში. პესიმიზმი პოლიტიკაში ყველაზე რელიეფურად და საგრძნობლად ვლინდება საზოგადოებაში მკვეთრი პოლიტიკური ცვლილებების (კრიზისების, კონფლიქტების, კატასტროფების, რევოლუციების, ომების და ა. შ.) პერიოდში. პოლიტიკური პესიმიზმისათვის დამახასიათებელი შიში პროგრესულის მიმართ, ახლის მიუღებლობა, ილუზიების სამყაროში გადასვლა და თვით აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისაგან ჩამოშორება.

პლატფორმა — პოლიტიკური — (ფრ. plate — forme — პატარა მოედანი) რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან ჯგუფის საქმიანობის პროგრამა. პოლიტიკური მოთხოვნები. პოლიტიკური საქმიანობის გაშლილი, კონკრეტიზებული გეგმა, შეხედულებათა, ღონისძიებათა და მოთხოვნათა ერთობლიობა რომელიმე საკითხზე პოლიტიკური პარტიებისა, ორგანიზაციებისა, ჯგუფებისა (ფრაქციებისა). პარტიის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროგრამისაგან პოლიტიკური პლატფორმა განსხვავდება უფრო მეტი პრაქტიკული მიმართულებით, თეორიული შინაარსის ნაკლები მოცულობით. პოლიტიკური პროგრამა განსაზღვრავს პოლიტიკური ცხოვრების ამა თუ იმ სუბიექტების საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებას, პოლიტიკური პლატფორმა კი უფრო ტაქტიკის სფეროს მიეკუთვნება.

პლენუმი — (ლათ. plenum — სრული), პარტიული, სახელმწიფო, პროფკავშირული ან სხვა ორგანიზაციის არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოს კრება წევრთა სრული შემადგენლობით, რომელიც გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა. როგორც წესი, პლენუმი წარმოადგენს გადაწყვეტილებათა მიღების კოლექტიურ ორგანოს, პარტიისა და ორგანიზაციების პოლიტიკური საქმიანობის ხელმძღვანელობის ფორმას ყრილობებსა და კონფერენციებს შორის. ზოგჯერ პრაქტიკაშია გაფართოებული პლენუმი, როდესაც მის სხდომაზე იწვევენ სხვა ადამიანებს, რომლებიც არ შედიან მოცემული პარტიისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში, მაგრამ კავშირი აქვთ პლენუმზე განსახილველ საკითხთან. პლენუმის მოწვევა და ჩატარება წარმოადგენს ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისა ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის საორგანიზაციო მუშაობის მნიშვნელოვან ფორმას.

პლუტოკრატია — (ბერძნ. plutos — სიმდიდრე და ძალა) მდიდართა ძალაუფლება, ისეთი სახელმწიფო წესწყობილება, რომლის დროსაც ფორმალურად (მაღალი ქონებრივი ცენზის დაკანონებით) და ფაქტობრივად პოლიტიკური ხელისუფლება ყველაზე უფრო შეძლებულ წრეებს ეკუთვნით. ერთი მუჭა მდიდრების ბატონობა, რომლებიც საერგებლობენ გავლენით, ძალაუფლებით და უპირავთ შესაბამისი მდგომარეობა თავიანთი სიმდიდრის წყალობით (პლუტოკრატები). ზოგჯერ სრულიად არამართებულად დაბალი კულტურის პირები პლუტოკრატებს უწოდებენ იმათ, ვინც თავის საქმიანობაში იყენებს უპატიოსნო და უსინდისო ხერხებსა და მოქმედებებს რაიმე ანგარებითი მიზნების მისაღწევად.

პლურალიზმი — პოლიტიკური — (ლ ი. pluralis — მრავლობითი) პოლიტიკური სისტემის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების პრ. ციპი იმ ძალთა ბალანსის საფუძველზე, რომლებიც გაფორმებულია სამართლებრივ ურთიერთობის მიხედვით და გამოხატავს მოქალაქეთა და სხვა ჯგუფების და ასოციაციების (პოლიტიკურ, რელიგიურ, ეთნიკურ, ეკონომიკურ) დამოუკიდებელ ინტერესებს. ეს ხელისუფლების ორგანიზაციის ისეთი პრინციპია, რომლის დროსაც არც ერთ მის სუბიექტს არ გააჩნია ძონ ოლია ხელისუფლებისა, მაგრამ თითოეული სუბიექტი პოლიტიკურ პროცესში ჩართვისას გავლენას ახდენს პოლიტიკის ფორმირებასა და რეალიზაციაზე. პოლ ტიკური პლურალიზმი საშუალებას იძლევა გ ოავლინოს და გამოსავალი ბისცეს. იგნორირებულ და არაკმაყოფილებელ საზოგადოებრივ ინტერესებს და მო-

თხოვნილებებს. ხელი შეუშალოს პოლიტიკური უკმაყოფილების დაგროვებას.

პოლემიკა — პოლიტიკური (ბერძნ. polemikos — საომარი) მწვავე კამათი, დისკუსია, პაექრობა რაიმე პოლიტიკური საკითხების განხილვისას. პოლიტიკური პოლემიკა იმართება კრებებზე, მიტინგებზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, საპარლამენტო გამოსვლებში, საქმიანი ადამიანების წრეებში და ა. შ.

პოლემოლოგია — (ბერძნ. polemus ბრძოლა, Logos — მეცნიერება, მოძღვრება) — მეცნიერული დისციპლინა, რომელიც სწავლობს ომების შინაარსს, თავისებურებებსა და მიზეზებს და მათ შედეგებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ, ზნეობრივ და ა. შ. ასპექტში.

პოლისი — (ბერძნ. polis — ქალაქ-სახელმწიფო). ანტიკურ სამყაროში საზოგადოებისა და სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციის ფორმა. თემთა წევრები, პოლისში მცხოვრები ადამიანთა უმრავლესობა იყვნენ სრულუფლებიანი მოქალაქეები, რომელთაც გააჩნდათ პოლიტიკური უფლებები, აგრეთვე უფლება მიწისა და სხვა სახის საკუთრებაზე. პოლისში ცხოვრობდნენ აგრეთვე უუფლებო ადამიანებიც (მონები, გაგზატებულნი და ა. შ.). პოლისის სახელწიფოებრივი ორგანიზაცია სხვადასხვანაირი იყო (ოლიგარქიული, დემოკრატიული და ა. შ.).

პოლიტიზაცია — ფართო სოციალური ფენების ჩაბმის პროცესი აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში საზოგადოებრივ ურთიერთობათა ღრმა დემოკრატიზაციის პირობებში. პოლიტიზაცია მოწმობს ადამიანთა სასიცოცხლო ინტერესების, რეალური შესაძლებლობების არსებობას, მომწიფებულ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. პოლიტიკური ძალაუფლების მიმართ საზოგადოების სხვადასხვა ფენების არაერთმნიშვნელოვან დამოკიდებულებას, ხელისუფლებისათვის სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ბრძოლას, პოლიტიკური ინტერესებისა და ორიენტაციის ფართო სპექტრის თვისობრივად ახალი პოლიტიკური რეჟიმის წარმოქმნას, სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას, ყოველივე ეს ხელს უწყობს დემოკრატიული პროცესების გაფართოებასა და გაღრმავებას.

პოლიტიკა — (ბერძნ. politike — სახელმწიფოს მართვის ხელოვნება) — კლასების, ერების და სხვა სოციალური ჯგუფების ურთიერთობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფერო, რომლის ბირთვია სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობის, შენარჩუ-

ნების და გამოყენების პრობლემა. სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობა, საქმიანობის ფორმების, ამოცანების და შინაარსის განსაზღვრა. პოლიტიკის ფორმის გამოყოფა, მისი ანალიზი ხორციელდება სხვადასხვა საფუძველზე: ცხოვრების სფერო (ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, კულტურული, ეროვნული, სამხედრო და ა. შ.). მასშტაბების მიხედვით: (საშინაო, საგარეო, მსოფლიო, ლოკალური, რეგიონალური და ა. შ.); სუბიექტების მიხედვით (სახელმწიფო, პარტია, მოსახლეობა, ცალკეული პირები და სხვ.) სახელმწიფო ხელისუფლების, პარტიის ან საზოგადოებრივი ჯგუფის მოღვაწეობა შინასახელმწიფოებრივი მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობის დარგში, განისაზღვრება ამ ხელისუფლების, პარტიის, ჯგუფის კლასობრივი ინტერესებით; (საუბარი) მოქმედება რისამე მისაღწევად, სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, დამოკიდებულება.

პოლიტიკა აგრარული — (ბერძნ. agros — მიწა) — სახელმწიფოს ღონისძიება, მიმართული სოფლის მეურნეობის წარმოების სფეროში სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფისა და განვითარებისაკენ, მიწის და მისი ნებაყოფლობის ფლობის, გამოყენებისა და განკარგულების საკითხების გადაწყვეტისაკენ, იგი მიზნად ისახავს განავითაროს საკუთრების მრავალმხრივი ფორმები, განახორციელოს მიწაზე ვლენის საკუთრების კონსტიტუციური უფლებები, სცემული მისცეს მისი ინიციატივის გამოვლენას. აგრარული პოლიტიკა მოწოდებულია უზრუნველყოს სოფლის ყოველი მაცხოვრებელი, ანისინი, ვისაც სურთ იცხოვრონ და იშრომონ სოფელში, დაეხმაროს სახლის და საკარმიდამო ნაკვეთის შეძენაში, გააუმჯობესოს სოფლის სოციალური კეთილდღეობა, აქციოს მიწაზე შრომა მომზიდველად და ეკონომიურად ეფექტურად.

პოლიტიკა საბანკო — ფრ. banque — ბანკი) — სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის სახესხვაობა, მიმართული ყველა დონის სახელმწიფო სტრუქტურებისა და ბანკების ურთიერთობათა რეგულირებისაკენ. საბაზრო ეკონომიკის განვითარების, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების პროგრამის განხორციელების მიზნით, რათა შეიქმნას ამა თუ იმ სახის საქმიანობის დაფინანსებისა და დაკრედიტებისათვის საჭირო სტაბილური პირობები. საკუთრების მრავალფეროვანი ფორმების და ეკონომიკური საქმიანობის პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება ბანკების როლი, რაც მოითხოვს შემუშავდეს თვისობრივად ახალი სამართლებრივი ნორმები ბანკების ეფექტური საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

პოლიტიკა სავალუტო — (იტ. valuta — ფასი, ღირებულება) ქვეყნის ფინანსური სისტემის საფუძველში მდებარე ფულადი ერთეულის ღირებულების განმსაზღვრელი პოლიტიკა. იგი განსაზღვრავს ფულად ურთიერთობათა ორგანიზაციას, მოიცავს როგორც შინაგან საკრედიტო ფულად მიმოქცევას, ისე საერთაშორისო გაანგარიშებათა სფეროს და მოწოდებულია უზრუნველყოს ფინანსების აქტიური ზემოქმედება საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე და სახელმწიფო შემოსავლის გადიდებაზე. ეფექტური სავალუტო პოლიტიკა ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას სხვა ქვეყნებთან, ამტკიცებს მოცემული სახელმწიფოს საერთაშორისო პოზიციას.

პოლიტიკა საგარეო — სახელმწიფოს საერთო კურსი საერთაშორისო საქმეებში, ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულების რეგულირებას სხვა სახელმწიფოებთან და ხალხებთან ძირითადი პრინციპებისა და ამოცანების შესაბამისად სხვადასხვა საშუალებებისა და მეთოდების განხორციელების გზით. საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საშუალებად ითვლება დიპლომატია. მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური პრაქტიკა მოწმობს იმაზე, რომ საგარეო პოლიტიკა შეიძლება იყოს პროგრესული, შედეგიანი, ავტორიტეტული მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ეფუძნება რეალიზმს, ინტერესთა ბალანსირების პრინციპს, ყველასათვის თანაბარი უსაფრთხოების იდეას, თანაბარუფლებიან დიალოგს, საერთაშორისო სამართლის უზენაესობას და პოლიტიკური საშუალებების უპირატესობას საერთაშორისო საქმეთა წარმოების ყველა სხვა საშუალებებთან შედარებით.

პოლიტიკა საშინაო — სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები; მისი პოლიტიკის საშინაო კურსი, რომელიც ამა თუ იმ ზომით მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების, საზოგადოებრივ ურთიერთობათა (ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეროვნულ და ა. შ.) ყველა სფეროს. საშინაო პოლიტიკა თავის ასახვას პოულობს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გეგმებისა და პროგრამების განხორციელებაში. საშინაო პოლიტიკის მდგომარეობა, მისი ქმედითუნარიანობა და ეფექტურობა დამოკიდებულია არა მარტო ქვეყნის ობიექტურ საერთაშორისო და საშინაო პირობებზე, არამედ ყველა დონის ხელისუფლების სტრუქტურების მოქმედების მექანიზმის მუშაობაზე. ხელისუფლების პრობლემა, მისი მოწყობა, გამოყენება და სრულყოფა წარმოადგენს საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს. საშინაო პოლიტიკა მოწოდებულია

დაიცვას საზოგადოების ინტერესები როგორც მთლიანობაში, ისე ყველა რეგიონის, სოციალურ-ეთნიკური წარმონაქმნებისა, უზრუნველყოს სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მექანიზმი მოქალაქეთა დაცვისათვის.

პოლიტიკა სამხედრო — სახელმწიფოს სხვადასხვა სუბიექტების საერთო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია სამხედრო ორგანიზაციის შექმნასა და განვითარებასთან, შეიარაღებული საბრძოლო საშუალებათა გამოყენება, მომზადება, შესაძლებლობა და მზადყოფნასთან, მოცემული ქვეყნის დასაცავად და მისი სხვა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ამა თუ იმ ქვეყანაში თავისი სამხედრო პოლიტიკა შეიძლება გააჩნდეს როგორც სახელმწიფოს, მმართველ პარტიებსა და ორგანიზაციებს, ისე ოპოზიციურ ძალებსა და ორგანიზაციებს. სამხედრო პოლიტიკა დაკონკრეტებულია სამხედრო დოქტრინაში, სამხედრო სტრატეგიაში, ოპერატიულ ხელოვნებაში, აგრეთვე სამხედრო მშენებლობის პრაქტიკაში. ზოგჯერ სამხედრო პოლიტიკის ჩარჩოებში ან მასთან ერთად გამოყოფენ თავდაცვით პოლიტიკას, რომელიც დაკავშირებულია მოცემული ქვეყნის დაცვასთან გარეშე ძალისაგან. ამასთან ითვალისწინებენ ეკონომიურ, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და აღზრდის, კულტურისა და ხელოვნების სისტემათა გამოყენების შესაძლებლობებს. სამხედრო პოლიტიკაში, შეიარაღებული თავდაცვის ორგანიზაციის საქმეში მხედველობაში აუცილებლად მისაღებია საერთაშორისო ფაქტორები, მოკავშირეების არსებობა, საერთო პირობების შეთანხმება, შესაძლო სამხედრო დაჯახებათა კოალიციური ხასიათი.

პოლიტიკა დემოგრაფიული — სახელმწიფო ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მოიცავს მოსახლეობის გაძრავლების საკითხებს და მოზარდი თაობის სოციალიზაციის პროცესებს (აღზრდა-განათლების სისტემას). შრომის და დასვენების პირობების შექმნას (შრომისუნარიანობის საზღვრების დადგენას), ხელფასის რეგულირებას, მოსახლეობის სასიცოცხლო პირობებზე (საქონელზე, ბინებზე, გამრავლებაზე და სამედიცინო მომსახურებაზე, დედათა დაცვაზე, საყოფაცხოვრებო — კომუნალური მოსახურების სფეროს გაუმჯობესებაზე და ა. შ.) ზემოქმედებას. დემოგრაფიულ პოლიტიკას სოციალურ-ეიონომიკური განვითარების საერთო პირობებისაგან დამოუკიდებელად არა აქვს საჭირო ეფექტი. იგი მოითხოვს ღრმა გარდაქმნებს საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სფეროში, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას რეპროდუქტიული საქმიანობის ადამიანთა ახალი ტიპები.

პოლიტიკა საინვესტიციო — ეკონომიკური პოლიტიკის სფერო, რომელიც მდგომარეობს ეროვნულ დ რეგიონალურ პროგრამებ ი, აგრეთვე საბაზრო ეკონომიკის დარგებში კაპიტალდაბანდებათა (განსაკუთრებით გრძელვადიანი) ამოცანების, პრინციპებისა და პრიორიტეტების განსაზღვრაში. საინვესტიციო პოლიტიკა ადგენს ინვესტორების, საშინაო და უცხოური ინვესტორების წილს, განსაზღვრავს მათ უფლებებსა და გარანტიებს, უწევს კონტროლ ს საინვესტიციო საქმიანობას, მის შედეგებსა და ეფექტურობას, სათანადო კორექტურების შედეგებს და შესაძლებლობებს.

პოლიტიკა კულტურული — სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა, მიმართული აუცილებელი მატერიალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ზნეობრივი პირობების შექმნისაკენ მეცნიერების, განათლების, ხელოვნებისა და ლიტერატურის, ხალხის მხატვრული კულტურის თავისუფალი და შემოქმედებითი განვითარებისათვის. კულტურის სფეროში პოლიტიკა ყურადღების ცენტრში უნდა აყენებდეს შემოქმედებითი, მეცნიერული და ხელოვანი ინტელიგენციის ინტერესებს და გამოდიოდეს იქიდან, რომ კულტურისა და ხელოვნების ეხლეში, სწორხაზოვანი პოლიტიკაცია და იდეოლოგიზაცია ხელს უშლის მეცნიერს, მწერალს, არქიტექტორს, მუსიკოსს და ა. შ. თავის ნებ გამომჟღავნებაში, თვითგამოხატვაში, მკვეთრად ამცირებს მათი ნაწარმოების მხატვრულ დონეს. კულტურის სფეროში პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს როგორც მოქალაქეთა, ისე მთელი საზოგადოების სულიერი პოტენციალის გაზრდისაკენ.

პოლიტიკა ახალგაზრდული — პოლიტიკური საქმიანობა, მიმართული რეალური პირობების, სტიმულების და კონკრეტული მექანიზმების შესაქმნელად, რომლებიც ხელს უწყობს ახალგაზრდა მოქალაქეების ინტერესებისა და პოტენციის, მათი უნარის და ნიჭის გამოძღავნებას და ცხოვრების გზის არჩევას, მხარს უჭერს ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და ასოციაციებს, რომლებიც მოწადინებულნი არიან საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაციისათვის და მიისწრაფვიან საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისაკენ.

პოლიტიკა მუნიციპალური — (გერმ. Munizipalität — თვითმმართველური გაერთიანება) — თეორიული და იურიდიული დებულებების, დადგენილებების, ნორმების, პრინციპების და პრაქტიკული საქმიანობის ერთობლიობა წარმოებული მუნიციპალიტეტ ს (და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოების) ფუნქციონირების

უზრუნველსაყოფად. მუნიციპალური პოლიტიკის შინაარსი შეიცავს მუნიციპალური ორგანოების, მისი უფლებებისა და უფლებამოსილების, რეგიონალური და საერთო — სახელმწიფო ორგანოების იურიდიული და ადმინისტრაციული აქტების კომპეტენციის საზღვრების საკითხებს. მუნიციპალური პოლიტიკა ითვალისწინებს აგრეთვე მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოების არჩევის წესს, საარჩევნო კომპანიის ჩატარებას. პროგრესული დემოკრატიული პოლიტიკური ძალები მუნიციპალურ პოლიტიკას იყენებენ მოსახლეობის ფართო მასების ჩასაბმელად თვითმმართველობაში, ადამიანთა პოლიტიკური კულტურის ამაღლებაში.

პოლიტიკა სამეცნიერო-ტექნიკური — სახელმწიფოს პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, იდეებისა და პრაქტიკული საქმიანობის სისტემა, რომელიც ემსახურება განათლების, მეცნიერების, ტექნიკის, შრომისა და წარმოების განვითარების პრინციპიალური მიმართულებების ახსნასა და გამოყენებას და მათზე მთელი ძალღონის კონცენტრირებას საზოგადოების პროგრესისა და მოქალაქეთა ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით. სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის წამყვანი მიმართულებაა ტექნიკურ-ტექნოლოგიური რევოლუციის განხორციელება. სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციაში შეიძლება გამოიყოთ მისი შემადგენელი სამეცნიერო, ტექნიკური, ინნოვაციური, საკადრო, საინფორმაციო და საგანმანათლებლო პოლიტიკის ბლოკები.

პოლიტიკა ეროვნული — (ლათ. natio — ხალხი) — სახელმწიფოს საქმიანობა ეროვნულ დამოკიდებულებათა სფეროში, მიმართული ერების, ეთნიკური წარმონაქმნების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ინფრასტრუქტურის დადგენასა და განმტკიცებისაკენ, მათი ძირეული ინტერესების ეაკმაყოფილებისაკენ, ეროვნული შეგნებისა და თვითშეგნების განვითარების პროცესების დემოკრატიზაციისაკენ, ეროვნებათშორისი დავისა და კონფლიქტების პოლიტიკური ხერხებით გადაჭრისაკენ, ნაციონალიზმისა და ეროვნული ნიჰილიზმის, ხალხთა შორის მტრობის გამაღვიძებელი, ეროვნული ძალების პოლიტიკანობის დაძლევისაკენ.

პოლიტიკა სოციალური — (ლათ. socialis — საზოგადოებრივი — პოლიტიკური დადგენილებების, პრინციპების, გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის ერთობლიობა, მიმართული მოკემული საზოგადოების სოციალური ერთობის (ეროვნების, ხალხების, სოციალური ფენების, ჯგუფების), აგრეთვე ცალკეული ინდივიდების ფუნქციონი-

რებისა და განვითარებისათვის საჭირო ოპტიმალური პირობების შესაქმნელად, არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების. პირობებში სოციალური პოლიტიკა ემსახურება ხალხთა მატერიალური და კულტურული (სულიერი) მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, შრომის, ხელფასის, სიცოცხლის დაცვისა და ადამიანთა ჯანმრთელობის, საცხოვრებელი პირობების, ყოფის, განათლების, დედათა დაცვის, საპენსიო უზრუნველყოფისა და ა. შ. პირობებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნებს.

პოლიტიკა ეკოლოგიური — (ლათ: oikos+logos — სახლი, სამშობლო) — სახელმწიფოს საქმიანობა, მიმართული საზოგადოებისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთობის პრობლემათა გადაწყვეტისაკენ, მსოფლიო საზოგადოების მიერ საპროგრამო მითითებების განხორციელებისაკენ, რომლებიც მიღებული იყო რიო-დე-ჟანეიროში მსოფლიო კონგრესის მიერ 1992 წელს და რომლებშიც განსაზღვრულია კაცობრიობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებები ბუნების დაცვისა და მისი რაციონალური სარგებლობისათვის. სახელმწიფოს ეკოლოგიურ პოლიტიკას აქვს კონსტიტუციური სტატუსი და ემყარება შესაბამის კანონმდებლობას.

პოლიტიკა ეკონომიკური — სახელმწიფოს პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება და შემადგენელი ნაწილი, მიზნების, საშუალებების, ამოცანების, პრაქტიკული ღონისძიებების ერთობლიობა საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე მიზანმიმართული გავლენის მოსახდენად. ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების დინამიური და ეფექტური ეკონომიკური სისტემის ფორმირება და განვითარება, რომელიც დამყარებული იქნება ბაზარზე და მაღალგანვითარებულ სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დაგროვების უნარის მქონე საწარმოო ძალებზე, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის თანამედროვე ფორმებზე, საკუთრების თანაბარუფლებიან და კონკურენტუნარიან ფორმებზე, სხვა სხვა ეკონომიკური სუბიექტების ინიციატივაზე, ფხიანობასა და მეურნეობრივ თავისუფლებაზე, მაღალმწარმოებლური შრომის გამოყენებაზე. ეკონომიკური პოლიტიკა შეიცავს მიმართულებათა დამოუკიდებელი მონაკვეთების მთელ სისტემას, მათ შორის აგრარულ, საბანკო, საბირჟო, სავალუტო, საინვესტიციო, ტექნიკურ, საფინანსო და ა. შ. პოლიტიკას.

პოლიტიკანობა — (ბერძნ. politike — აზრები, მოქმედება) ს ქ-

ციელი, საქმიანობა რომელიმე პირის ან პიროვნებათა ჯგუფისა, რომლებიც მიისწრაფვიან ან უკვე შეაღწიეს ხელისუფლების როგორც საახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სტრუქტურებში. მათი საქმიანობა მიმართულია პირადი ანგარებითი მიზნებისაკენ, საკუთარი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ, პირადი ინტერესების რეალიზაციისაკენ. პოლიტიკანობისათვის დამახასიათებელია უპრინციპობა, ეგოიზმი, საქმოსნობა, განურჩეველი, გულგრილი დამოკიდებულება ხალხისა და ქვეყნის პოლიტიკური ბედისადმი. პოლიტიკანობა პოლიტიკურ სფეროში ფართოდ გავრცელებული სხვადასხვა პოლიტიკურ მოძრაობათა და მოვლენათა მუდმივი თანამგზავრია. აქვს გამოვლენის მრავალი ფორმა — ღია მიტინგური პოპულიზმიდან დაწყებული შავბნელ, ფარულ, პოლიტიკური მაქინაციებით, ავანტურითა და დანაშაულობებით დამთავრებული. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პოლიტიკანობა განსაკუთრებით აშკარად ვლინდება პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში, წარმოადგენს ხელისუფლების სისუსტის მპტომს და სახიფათოა საზოგადოებისათვის.

პოლიტიკური კულტურა — (ლათ. cultura — კულტურა) — ადამიანისა და საზოგადოების მიერ პოლიტიკური იდეების, შეხედულებების, კონცეფციების, პროგრამების ათვისების დონე, აწმყოსა და წარსულის პოლიტიკური აზრების მიღწევათა მოკითხვის (მოთხოვნის) ხარისხი, პოლიტიკურ მოვლენათა შეფასების უნარი და კომპეტენტურობა, პოლიტიკური ეთიკის, საქციელის, მოქმედებისა და საქმიანობის ფორმა. პოლიტიკური კულტურა არის საერთო სულიერი კულტურის შრე (ფენა), რომელიც შეიცავს ისეთ პოლიტიკურ ფასეულობებს, როგორიცაა: გამოცდილება, ტრადიციები („სოციალური მეხსიერება"), მსოფლმხედველური ორიენტაცია ადამიანის ცხოვრებისუნარიანობის, უფლებებისა და მოვალეობების დემოკრატიულ ფორმებზე, ჰუმანიზმი, სამართლიანობა და ა. შ. პოლიტიკური კულტურის მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს ადამიანთა რეალური ჩართვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში და ამ საქმიანობის ეფექტურობა და შედეგიანობა.

პოლიტიკური ფსიქოლოგია — ფსიქოლოგიის სფერო, რომელიც შეისწავლის საზოგადოების პოლიტიკური სფეროს ფსიქოლოგიურ კომპონენტებსა და მხარეებს — პოლიტიკურ გრძნობებს, განწყობას, შეხედულებებს, ფასეულობით ორიენტაციებს, რომლებიც ჩამოყალიბდება და ვლინდება სოციალური ჯგუფების, ეროვნებების, პარტიების, ინდივიდების და პოლიტიკური შეგნების დონეზე და რეალ-

ზაციას ჰპოვებს მათ კონკრეტულ პოლიტიკურ საქმიანობაში. პოლიტიკური ფსიქოლოგია აანალიზებს პოლიტიკური პრობლემების ფსიქოლოგიურ ასპექტებს პოლიტიკის სუბიექტების პროგრამებში, კონცეფციებში, დოქტრინებში, რეფორმებსა და ღონისძიებებში. პოლიტიკური ფსიქოლოგია წარმოადგენს პოლიტოლოგიის ინტენსიურად განვითარებად სფეროს.

პოლიტიკური სისტემა — (ბერძნ. systema — მთლიანი, სხვადასხვა ნაწილებისაგან შემდგარი) სახელმწიფო და არასახელმწიფოებრივი, სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც ახორციელებს ხელისუფლების, საზოგადოების საქმეთა მართვას, პოლიტიკური პროცესების რეგულირებას, სოციალურ ჯგუფებს, ეროვნებებს, სახელმწიფოთა შორის ისეთ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების პოლიტიკურ სტაბილურობას, ძვიდობასა და პროგრესს.

პოლიტიკური სფერო — ბერძნ. sphaira — ბურთი, სფერო) რომელიც მოიცავს საზოგადოების პოლიტიკურ ურთიერთობებს. მას ქმნის დიდი სოციალური ჯგუფების, ფენების, ეროვნებებისა და სახელმწიფოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების, მოძრაობებისა და ძალების ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა პოლიტიკურ პრობლემათა გადასაწყვეტად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

პოლიტიკური თეორია — (ბერძნ. theoria — დაკვირვება, გამოკვლევა) ცოდნის, იდეების სისტემა პოლიტიკაზე, რომელიც ასახავს და ახასიათებს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების, საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესებსა და მოვლენებს, იგი იხილავს და გარკვეულწილად განმარტავს პოლიტიკური ინსტიტუტების, დაწესებულებების ფუნქციონირების არსს, სტრუქტურასა და მექანიზმს, მათ ინტერესებს, მიზნებსა და ფასეულობათა ორიენტაციებს. პოლიტიკური თეორიის შინაარსობრივი ნაწილის ბგებას ღა გაშუქებას ჯერ კიდევ ვერ გააჩნია გამოკვეთილი კონცეპტუალური კონტურები და წარმოადგენს მსჯელობასა და დისკუსიის საგანს. ამასთან სამაგულო და საზღვარგარეთის პოლიტიკური აზრის შესწავლა საშუალებას იძლევა პოლიტიკური თეორიის დამუშავებაში გამოვყოთ შემდეგი, უკვე ჩამოყალიბებული ძირითადი მიმართულებანი: პოლიტიკური აზრის ისტორია, ფუძემდებლური კატეგორიებისა და ცნებების შინაარსის კონცეპტუალური ახსნა, მაგ. დემოკრატიისა, თავისუფლების, სამართლიანობისა

ად სხვა, რაც ხელს უწყობს პოლიტიკური მოვლენების მეცნიერულ გააზრებას, ძირითადი მიმართულებებისა და ტექნოლოგიის შემუშავება პოლიტიკური პროცესებისა და მისი განვითარების პროგნოზირების ფორმალური მოდელების ასავებად; პოლიტიკური მეცნიერების, ანუ ცოდნათა საერთო სისტემის შექმნა, რომელიც შეიცავს არა მხოლოდ პოლიტიკური პროცესების ახსნას, არამედ გვაძლევს პრაქტიკულ რეკომენდაციებს პოლიტიკური საქმიანობისათვის, პოლიტიკური თეორიის ამ მიმართულებებმა თავიანთი განხორციელება ჰპოვა როგორც პოლიტიკურ ფილოსოფიაში, ისე პოლიტოლოგიაში, კრატოლოგიაში და სოციოლოგიაში.

პოლიტიკური ფილოსოფია — (ბერძნ. philosophia — ფილოსოფიური ცოდნის ერთ-ერთი ტრადიციული, მაგრამ მარად გაახლებადი და ახალგაზრდა დარგი, რომელიც აწარმოებს პოლიტიკის საფუძველების, მოვლენების და კანონების ფუნდამენტალურ გამოკვლევებს. ჯერ კიდევ აზიისა და ევროპის ანტიკურ სამყაროში შექმნილი პოლიტიკური ფილოსოფია ცდილობდა პასუხი გაეცა კითხვებზე, რომლებიც აღელვებდა ადამიანებს და განიხილებოდა როგორც ბაზრის მოედნებზე, ისე ინტელექტუალთა ვიწრო წრეებში. მრავალმა ამ კითხვამ შეინარჩუნა თავისი აქტუალობა დღემდე, მაგალითად, რა არის დემოკრატია, თავისუფლება, სამართლიანობა, ძალაუფლება, ხელისუფლება, ადამიანთა ტიპი, საზოგადოების როგორი ფენა უფრო შეეფერება სახელმწიფო საქმეთა წარმოების ამოცანებს, როგორ შეიქმნას „ოპტიმალური" პოლიტიკური წყობილება, რომლის პირობებშიც რეალურად იარსებებს ჰარმონია პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის? პოლიტიკური ფილოსოფიის შემდგომ განვითარებას გააჩნია თავისი საკუთარი რთული ისტორია, რომელიც იყოფა სხვადასხვა პერიოდად. მაგ. ანტიკური, კლასიკური, თანამედროვე ეტაპები, რომლებიც წარმოდგენილია სხვადასხვა მიმდინარეობებით, სკოლებითა და მიმართულებებით. თანამედროვე ეტაპზე, ფილოსოფიურ ცოდნათა დამოუკიდებელ დისციპლინებად (ისტორია, სამართალი, მეცნიერება, კულტურა და ა. შ.) ჩამოყალიბების პროცესში პოლიტიკური ფილოსოფია იქცა ცოდნისა და კვლევის საგნის გარკვეული კონცეპტუალური სტრუქტურის მქონე აღიარებულ თეორიად. იგი წარმოადგენს პოლიტიკის, მისი ფორმების, ტიპების, ფუნქციებისა და განვითარების ტენდენციების ფუნდამენტალური საფუძვლების მეცნიერულ გააზრებას, იძლევა პოლიტიკის ერთიან გაგებას თავის ობიექტურ საზღვრებში, საზოგადოების ცხოველმყოფელობის სხვა სფეროებთან მის კავშირში: ადამიანთა ცხოვრებაში

მის ზემოქმედებასა და გავლენაში; ხსნის პოლიტიკური მოღვაწეობის სოციალურ აზრს, არსს, მის ინტერესებს, მიზნებს, იდეალებს; იკვლევს პოლიტიკურ ფასეულობებსა და ორიენტირებს, რომელთაც გააჩნია ზოგადისტორიული მნიშვნელობა; ანალიზებს საზოგადოების პოლიტიკური შეკვნების მდგომარეობას; ამუშავებს პოლიტიკის თეორიას, ეკონომიკისა და პოლიტიკის, სამოქალაქო საზოგადოების და პოლიტიკის, ადამიანის ყოფიერების კარდინალურ პრობლემებისა და პოლიტიკის თანაფარდობის კონცეფციას. ამჟამად ინტენსიურად ეითარდება პოლიტიკის ფილოსოფია — ცოდნის სფერო ფილოსოფიისა და პოლიტიკის შესაყარზე.

პოლიტიკური იდეები — ადამიანის შეგნებაში ცნება, წარმოდგენა, პოლიტიკური სინამდვილის ამსახველი, რომელიც გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას სინამდვილესთან და წარმოადგენს მისი (ადამიანის) მსოფლმხედველობის, ცხოვრებისეული პოზიციის და ქცევის. აგრეთვე პოლიტიკური და საერთო კულტურის ერთ-ერთ განმსაზღვრელ საფუძველს.

პოლიტიკური ურთიერთობები — პოლიტიკის სუბიექტებისა და ობიექტების მრავალგვარი, მრავალხარისხოვანი სტიქიური და შეგნებული ურთიერთკავშირისა და ურთიერთმოქმედების სისტემა. პოლიტიკური ურთიერთობები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ეფარავს, განსაკუთრებით თვალნათლივ და მნიშვნელოვნად ვლინდებიან ისინი სოციალურ-ეკონომიკურ, საბაზრო და სამეწარმეო სფეროებში, სადაც, როგორც წესი, წყდება პრობლემები, რომლებიც ადამიანთა ინტერესებს და მოთხოვნილებებს და საჭიროებებს ეხება და რომლებიც საბოლოო ჯამში გვევლინებიან პოლიტიკურ მოქმედებათა სოციალურ მიზეზებად და სტიმულატორებად. პოლიტიკური ურთიერთობანი ხასიათდებიან ადამიანთა გაზრდილი ინტერესით ხელისუფლების სტრუქტურებისადმი, თვით ხელისუფლებისათვის პრეტენზიებისადმი, შეხედულებების, იდეებისა და მოქმედებების, პოლიტიკური აქტების ფართო დიაპაზონით და ახდენენ ძლიერ ზეგავლენას საზ. გადოებრივი ცხოვრების თითეულ სფეროზე.

პოლიტიკური მიმდინარეობები — გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური ძალები თავიანთი შეხედულებებითა და ორგანიზაციული სტრუქტურით, რომლებიც განიხილება თავიანთი რთული თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის აქტიურ დინამიკაში. თითოეული პოლიტიკური მიმდინარეობა შეიცავს როგორც ამა თუ იმ ძალებს, რომელთა ინტერესები „გამოიტანება" პოლიტიკურ დონეზე, ისე ორგანიზ.

ციულ სტრუქტურებს, როგორიცაა პარტია, კავშირი, გაერთიანება, ფრონტი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. კონკრეტული პოლიტიკური მიმდინარეობის გავლენის სიდიდე განისაზღვრება მისი სოციალური ბაზით, ძალითა და ხელმძღვანელი პარტიის (პარტიების), ლიდერების, „გუნდის" ავტორიტეტით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ზემოქმედებით, რომლებიც მხარს უჭერენ მოცემული პოლიტიკურ ორიენტაციას და მათი მეტოქეების, ოპონენტების, აგრეთვე მოწინააღმდეგეების მიერ გაწეული წინააღმდეგობით.

პოლიტიკური მოღვაწე — პირი, რომელმაც თავი გამოიჩინა პოლიტიკურ ცხოვრებაში, მოიხვეჭა ავტორიტეტი, გასდა ცნობილი; შეიძინა მომხრეები, მიმდევრები, ხშირად მეტოქეები და მიუნიჭა ამ მდეგენიც. ხშირად პოლიტიკური მოღვაწე ცნობილია საქმიანობის სხვა სფეროშიც როგორც სპეციალისტი, ოსტატი, მცოდნე, ლიდერი და ა. შ.

პოლიტიკური წყობა — საზოგადოების სტრუქტურა, ორგანიზაცია, პოლიტიკური სისტემა, რომელიც ხასიათდება მართვის კონკრეტულ-ისტორიულ ფორმებითა და ხერხებით, აგრეთვე მეთოდებითა და საშუალებებით, რომლებითაც მმართველი წრეები ახორციელებენ თავიანთ პოლიტიკურ ძალაუფლებას. თავისი პოლიტიკური წყობით საზოგადოება შეიძლება იყოს მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული, რევოლუციურ-დემოკრატიული, სოციალისტური; მართვის ხასიათის მიხედვით — მონარქიული, ოლიგარქიული, ტირანული, დემოკრატიული, პოლიტიკური ბატონობის განხორციელების მეთოდის მიხედვით — დემოკრატიული, ტოტალიტარული, ავტორიტეტული. ამა თუ იმ საზოგადოების პოლიტიკური წყობის მეტნაკლები ეახასიათება შეიძლება მოცემულ იქნას მასში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემის კონკრეტული პოლიტოლოგიური ანალიზის საფუძველზე.

პოლიტიკური ბატონობა — გაბატონებული გადაჭარბებული პოლიტიკური გავლენა, სახელმწიფო პოლიტიკური ძალაუფლების ფლობა მთელი სისრულითა.

პოლიტიკური აზროვნება — პოლიტიკური ყოფის ასახვა, შეცნობა; სინამდვილისადმი რაციონალური და ანალიტიკური დამოკიდებულება, გამოხატული პოლიტიკურ კონცეფციებში, პროგრამებში, თეორიებში, იდეებში, წარსულისა და აწმყოს სოციალურ-პოლიტიკურ გამოცდილებათა განზოგადებაში, პოლიტიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელია: შესასწავლი სოციალური ობიექტების პოლიტიკურ

არსში ჩაწედომა: მოვლენებისა და პროცესების მთლიანი და ყოველ-მხრივი მოცვა და მათი ურთიერთმოქმედება სხვა პოლიტიკურ რეალიებთან; რთული პროგრამების გადაჭრის ეფექტური მეთოდ ლოგიისა და ბეჭდარიტების ძიება; საზოგადოებაში მოქმედი პოლიტიკური ძალების ინტერესებისა და მიზნების შეთანაწყობა მათი განხორციელების რეალურ შესაძლებლობებთან; პოლიტიკური საქმიანობის ეფექტური სტრატეგიის, ტაქტიკისა და ტექნოლოგიის გამომუშავება.

პოლიტიკური თავშესაფარი — ადგილი (სახელმწიფო), სადაც შეიძლება თავის შეფარება, ხსნის პოვნა, პოლიტიკური დევნისაგან; საკუთრივ ადგილი, რომელიც მიეცემა დევნილ პირს სხვა სახელმწიფოს მიერ.

პოლიტიკური მოძღვრება — (სწავლება) შეღარებით მთლიანი და სისტემატიზებული ერთობლიობა იდეურ-პოლიტიკური დებულებებისა საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების, პოლიტიკის, პოლიტიკური ძალაუფლებისა და პოლიტიკური საქმიანობის შესახებ; ამა თუ იმ მეცნიერის (სწავლულის) ან მოაზროვნის თვალსაზრისთა სისტემა, რომელიც მიეკუთვნება პოლიტიკურ სფეროს და ჰპოვა აღიარება, მხარდაჭერა, გავრცელება და გავლენა მისთვის თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

პოლიტოლოგი — (ბერძნ. politike — hogia) სპეციალისტი, მეცნიერი, აგრეთვე ჟურნალისტი, მწერალი, ხელოვნების მოღვაწე, თვით პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც თავის შრომებში, პუბლიკაციებში, გამოსვლებში მთელ თავის ყურადღებას აქცევს პოლიტიკური საქმიანობის თეორიისა და პრაქტიკის ძირეულ საკითხებს, საზოგადოების პოლიტიკური სფეროს ანალიზსა და სახელმწიფოს, პოლიტიკისა და ხელისუფლების განვითარებას.

პოლიტოლოგია — მთლიანი, ყოველმხრივ დასაბუთებული სისტემა ცოდნისა (მეცნიერებისა) პოლიტიკის და პოლიტიკური ძალაუფლების, პოლიტიკური ინტერესების, ურთიერთობის, შეგნების, პროცესების, პოლიტიკური კულტურის და ადამიანთა საქმიანობის, საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრებისა და შესაბამისი პოლიტიკურ სისტემების ორგანიზაციის შესახებ. პოლიტოლოგიის საგანია ადამიანთა პოლიტიკური ინტერესების, შეხედულებებისა და ურთიერთობის წარმონაქმნისა და ევოლუციის, პოლიტიკის, პოლიტიკური საქმიანობისა და ხელისუფლების ჩამოყალიბების, განვითარებისა და შეცვლის ძირითადი მოვლენები, პრინციპები და კანონზომიერებანი. პოლიტოლოგიის ობიექტია საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება მის სხვადასხვა

გამოვლინებაში, პოლიტიკურ (სახელმწიფოებრივ) სისტემათა შედარებითი ანალიზი, პოლიტიკურ შემთხვევათა და პროცესთა გამოკვლევა და პროგნოზირება: 1948 წ. იუნესკოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელშიც შემოთავაზებული იყო პოლიტოლოგიის მიერ შესასწავლი საკითხების შემდეგი ჩამონათვალი 4 ძირითადი თემის მიხედვით: 1) პოლიტიკური თეორია, რომლის ამოცანაა პოლიტიკურ იდეათა ისტორიის შესწავლა და პოლიტიკური სისტემების გან ითარების მიმართულებათა პროგნოზირება. 2) ხელისუფლების პოლ ტიკური ინსტიტუტების საქმიანობის, მათი სხვადასხვაგვარი ფუნქციების კვლევა; 3) სხვადასხვა პოლიტიკური ძალების, პარტიების, ჯგუფების საქმიანობის შესწავლა და განზოგადება, საზოგადოებრივი აზრის, პოლიტიკური ზეწოლის, არჩევნების, ინფორმაციების, პროპაგანდის ტექნოლოგიის ანალიზი; 4) სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკის საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა. ბოლო დროს პირველ პლანზე წამოიწია ისეთი პრობლემები, როგორიცაა: პოლ ტიკური კურსის ფორმირება და კონკრეტული პოლიტიკური ამოცანების დაყენება. პოლიტიკა, საქმიანობის (მოღვაწეობის) კონკრეტული ფორმა, სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვების და შენარჩუნებისათვის ბრძოლა, პოლიტიკა, როგორც საზოგადოების მართვის ხელოვნება. პოლიტოლოგიის ბობოქ რ პროგრესს თან სდევს მისი მეცნიერული წარმოდგენების, მეთოდოლოგიის და ფუნქციების (შემეცნებითი, რეგულაციური და პროგნოზირებითი) სწრაფი განვითარება, მისი კატეგორიალური აპარატის გამდიდრება. პოლიტოლოგიის ბრჯვალი სხვა იდეა და დებულება იძენს პოლიტიკურ აზროვნებასთან ერთობლივად მოპოვებულ ფასეულობათა ხასიათს. ჩვენს ქვეყანაში ტერმინი „პოლიტოლოგია" შემოვიდა ხმარებაში 80-იანი წლების ბოლოს საზოგადოებრივი ცხოვრების, საზოგადოებრივი შეგნების პოლიტიზაციასთან პოლიტიკური პლურალიზმისა და მრავალპარტიულობის განვითარებასთან დაკავშირებით. პრაქტიკამ გვიჩვენა პოლიტოლოგიის შეუფასებლობის, მისი როგორც მეცნიერების იგნორირების დაუსაბუთებლობა და მცდარობა. პრაქტიკაში სულ უფრო ფართოდ შემოდის წარმოდგენები ზოგადი, თეორიული, გამოყენებითი, შედარებითი პოლიტოლოგიის, პოლიტიკის ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ეთიკის, ისტორიისა და ა. შ. შესახებ.

პოპულიზმი — (ფრანგ. populisme, ლათ. populus — ხალხი) ხასიათ. ფორმა, სტილი, მეთოდი პოლიტიკური საქმიანობისა, რომელიც

ნიშანდობლივია როგორც ცალკეული პოლიტიკოსისათვის, ისე სხვადასხვა საზოგადოებრივი მიმდინარეობისა და მოძრაობებისათვის, რომელთაც ახასიათებთ: მუდმივი აპელაციები მოსახლეობის ფართო ფენებისადმი; მიტინგების მოწყობა და მათში მონაწილეობა, დემონსტრაციების გამართვა: ხელისუფლების ორგანოების თავშეუკავებელი, არაიშვიათად დაუსაბუთებელი კრიტიკა, მათდამი უნდობლობის გაღვივება; ყოველგვარი ხერხით ყურადღების მიქცევის, საზოგადოებაში ან გარკვეულ წრეებში პატივისცემის მოხვეჭის მისწრაფება; ადამიანთა განწყობასა და გრძნობებზე ზემოქმედების გზით მათი უკმაყოფილებისა და გაბოროტების გამოყენება. პოპულიზმი არის სოციალური და პოლიტიკური დემაგოგიის სახეობა.

პოსტულატი — (ლათ. postalatum) — მტკიცება, რომელიც აღიარებულია რაიმე თეორიის ამოსავალ დებულებად დასაბუთების გარეშე.

პრაგმატიზმი პოლიტიკური — (ბერძნ. pragma — საქმე. მოქმედება) — საქმიანი ორიენტაცია, მისწრაფება დასახული მიზნების პრაქტიკული განხორციელებისათვის, მოქმედება, რომელიც მოითხოვს პრაქტიკულ გონებამახვილობას, გამჭრიახობას, საზრიანობას, საღ აზროვნებას, მიზანდასახულობას კონკრეტული შედეგის მისაღწევად; საქმოსნური უპრინციპო მისწრაფება გარკვეული პირებისა, სოციალური ჯგუფებისა, ორგანიზაციებისა ნებისმიერი საშუალებებითა და მეთოდებით მიაღწიონ თავიანთ ანგარებით მიზნებს კონკრეტული პოლიტიკური სიტუაციის წყალობით.

პრეამბულა — (ფრ. preambule — წინმავალი) რაიმე მნიშვნელოვანი აქტის, საერთაშორისო შეთანხმების, ხელშეკრულების, კონსტიტუციის სხვა საკანონმდებლო და სამართლებრივი აქტების, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებების, დეკლარაციების შესავალი ნაწილი, რომელშიც კონცეპტუალური ფორმით გადმოცემულია ის მიზნები და ამოცანები, პირობები და მოტივები, რომლებმაც განაპირობა მათი მიღება. საერთაშორისო აქტების პრეამბულაში, როგორც წესი, შედის ხელშეკრულებაზე ხელისმომწერ პასუხისმგებელ მხარეთა და პირთა ჩამონათვალი.

პრეზენტაცია — (ლათ. praesentatio — წარდგენა) საზოგადოებრიობის წინაშე რაიმეს წარდგენის ოფიციალური ცერემონია. მაგ.: წიგნის, ფილმის, გამოფენის, ახალი დაწესებულებების გახსნა და ა. შ. პრეზენტაციას ჩვეულებრივ თან ახლავს საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოსვლები. ტრადიცია, რომელიც გავრცელებულია და-

საკლეთში, ბოლო ხანებში ფართოდ გავრცელდა ჩვენშიც.

პრეზიდენტი — (ლათ. praesidens — თავში მჯდომი) ზოგი რესპუბლიკური სახელმწიფოს მეთაური, არჩეული გარკვეული ვადით, მაგ. აშშ-ს პრეზიდენტი, 1993 წელს პრეზიდენტის პოსტი ჰქონდათ გაერო-ში გაერთიანებული 183 ქვეყნიდან 130 ქვეყანას. ხელმძღვანელი, თავმჯდომარე, უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც არჩეულია ზოგი დიდი დაწესებულების ან საზოგადოების, კორპორაციის, კომპანიის და ა. შ. ხელმძღვანელად.

პრეზიდიუმი — (ლათ. praesidere — თავმჯდომარეობა) წინ ჯდომა — პირთა ჯგუფი, არჩევითი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს კრებას, თათბირს; ზოგიერთი პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულების ხელმძღვანელი ორგანო.

პრემიერ-მინისტრი (ფრ. premier — პირველი) მთავრობის მეთაური, მინისტრთა საბჭოს ან მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე, რიგ ქვეყნებში.

პრეროგატივა — (ლათ. praerogativa — პირველი სმის მიცემა, უპირატესობა) მაგ. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს გააჩნიათ კანონით მინიჭებული პრეროგატივა და თავიან თუფლებამოსილებას განახორციელებენ დამოუკიდებლად, მაგრამ უფლება არა აქვთ გადაამეტონ.

პრესტიჟი პოლიტიკური — (ფრ. prestige) ავტორიტეტი, გავლენა, ნდობა, პატივისცემა, მხარდაჭერა, რომლითაც სარგებლობს რომელიმე პირი, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულება, ჯგუფი, პარტია და ა. შ. პოლიტიკური პრესტიჟი, ეს არის საზოგადოებრიობის მიერ ლიდერის, ხელმძღვანელის, გარკვეული პოლიტიკური ძალების დამსახურების აღიარება. იგი შეიცავს სუბიექტის სოციალურად მნიშვნელოვანი თვისებების შესაბამისობა მოცემულ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული და აღიარებული ფასეულობათა სკალასთან. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ პრესტიჟი ცვალებადი ფაქიზი, არამყარი მოვლენაა, მოითხოვს საზოგადოებრივი აზრისა და განწყობის მუდმივ კურადღებით შესწავლას. უმცრესი შეცდომა, უზუსტობა, რომ არაფერი ვთქვათ დიდ მარცხზე, იწვევს პრესტიჟის დაცემას, ავტორიტეტის შერყევას. მისი შემდგომი აღდგენა, განმტკიცება მოითხოვს დიდ პოლიტიკურ გამოცდილებას, საკუთარი მოქმედებების კრიტიკულად გაანალიზებისა და საზოგადოებრივი შეგნების მდგომარეობის გაანალიზების უნარს.

პრივატიზაცია —(ლათ. privatus — კერძო) სახელმწიფოს მიერ თავისი უფლებებისა და ფუნქციების მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემა კერძო პირების, კოლექტივების, საზოგადოებრივი თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის; საბაზრო მექანიზმის ფორმირების აუცილებელი პირობა. ქვეყნის ბედიღბლისათვის პრინციპიალური მნიშვნელობის გამო პრივატიზაცია თამაშობს დიდ პოლიტიკურ როლს და გამოიწვია სერიოზული პოლიტიკური შედეგები. განასხვავებენ პრივატიზაციის რამოდენიმე გზას, რომლის არჩევაზეც დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა ხასიათი, მაგალითად, პრივატიზაციის დემოკრატიული და ანტიდემოკრატიული გზები. აუცილებელი პირობა იმისა, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია ხორციელდებოდეს მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, არის თვით სახელმწიფოს დემოკრატიზაცია და მისი მთლიანად საზოგადოების კონტროლის ქვეშ მყოფ ორგანოდ გადაქცევა.

პრივილეგია პოლიტიკური — (ლათ. privileqium) განსაკუთრებული უფლება, უპირატესობა, რომელიც მინიჭებული აქვს ვისმეს სხვებისაგან გასხვავებით. გაიასხვავებენ კანონიერ და უკანონო პრივილეგიებს. კანონიერს მიეკუთვნება ხელისუფლების სტრუქტურების წარმომადგენელთა უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულებას, სახელმწიფოს სისტემაში, მაგალითად, ინფორმაციის წყაროების მოპოვება, პირადი ხელშეუხებლობა და ა. შ. ასეთი პირები, პრივილეგიით სარგებლობენ მხოლოდ თავიანთი ფუნქციის შესრულების ფარგლებში და პკარგავენ მათ თავიანთი საქმიანობის შეწყვეტის მომენტისთანავე. არაკანონიერი პრივილეგიებია უფლებამოსილების მიცემა ისეთი პირებისა ან ადამიანთა ჯგუფისათვის, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციური პრინციპებით ან შესაბამისი კანონმდებლობით. რომელიმე პარტიის ან ორგანიზაციის მონოპოლია ხელისუფლებაზე იწვევს მათი წევრების მიერ უკანონო პრივილეგიებით სარგებლობას. საზოგადოების დემოკრატიზაციის საერთო პროცესს მივყევართ არაკანონიერი პოლიტიკური პრივილეგიების აღმოფხვრისაკენ.

პრინციპები პოლიტიკური — (ლათ. principum — საფუძველი, დასაწყისი) რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ძირითადი ამოსავალი დებულება, სახელმძღვანელო იდეა, ზოგადი წესები, მეთოდოლოგიური საშუალებები და ხერხები პოლიტიკური ყოფის შესაცნობად. პოლიტიკურ პრინციპები თავის გამოხატულებას პოულობს შესაბამის პროგრამებში, ფასეულ ორიენტაციებში, მიზნობრივ მიზან-

დასახულობებში და შეადგენს პოლიტიკური აზროვნებისა და საქმიანობის საფუძველს.

პროგრამა პოლიტიკური — დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სახელმწიფოს, პარტიების, სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ განსაზღვრულ ძირითად ამოცანებსა და მიზნებს და სახავს მათი განხორციელებისა და მიღწევის კონკრეტულ გზებსა და მეთოდებს. იგი ემყარება განსაზღვრულ თეორიულ ფუნდამენტს, რომელიც შეიცავს მისი განხილვის და მიღების მომენტში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკური სიტუაციის პრინციპებს, ფასეულ ორიენტაციებს, შეფასებას, აგრეთვე დაგეგმილი მიზნებისა და საქმიანობის საკანონმდებლო დასაბუთებას. პროგრამა, როგორც წესი, შეიცავს განყოფილებებს, რომლებშიც წარმოდგენილია საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანები. პოლიტიკური პრაქტიკისათვის ცნობილია ძალზედ განსხვავებული მიმართულებების პროგრამები. მაგრამ მათი მნიშვნელობა განისაზღვრება ამოცანებისა და მიზნების მეცნიერული ხასიათით, აწონდაწონილობით და არგუმენტირებულობით, პრაქტიკასთან რეალურ შესაძლებლობებთან და პირობებთან შესაბამისობით.

პროკურატურა — (ლათ. procurare — ვზრუნავ), სისტემა ორგანოების, რომელსაც ძირითადად ეკისრება უმაღლესი ზედამხედველობა მთელი სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ორგანოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების, თანამდებობრივი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კანონთა ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე.

პროკურორი — (ფრ. procureur, ლათ. procurare) პირი, რომელსაც ეკისრება უმაღლესი სახელმწიფოებრივი ზედამხედველობა კანონთა ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე. სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლოზე.

პროპაგანდა — (ლათ. propaqare — გავრცელება), რაიმე შეხედულების, იდეის გავრცელება. დაწვრილებითი და ღრმა ახსნა-განმარტება საზოგადოებრივ. შეგნებაში მისი დანერგვისა და მასების აქტივიზაციის მიზნით. პროპაგანდა მნიშვნელოვანი საშუალებაა, მოდია ადამიანთა პოლიტიკური აღზრდის, განათლებისა გარკვეულ მოქმედებებისათვის მათი ორგანიზებისა და წაქეზების მიზნით. მოქმედი პოლიტიკის ხასიათი ძლიერ გავლენას ახდენს პროპაგანდის შინაარსზე, მის მეთოდებზე, ფორმებსა და მიზნებზე. პროპაგანდა ეფექტურია, თუ ითვალისწინებ ს კონკრეტულ სიტუაციას, პირობებს, რომელშიც ის

ტარდება, აუდიტორიის თავისებურებას, თუ იგი რეალურად ასახავს სინამდვილეს, იძლევა წარსულისა და აწმყოს ობიექტურ შეფასებას.

პროტექციონიზმი — (ფრ. protectionnisme, ლათ. protectio — დაცვა, მფარველობა) სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერას. სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ღონისძიებები, მიმართული ეროვნული ეკონომიკური მეურნეობის დაცვისაკენ საზღვარგარეთის კონკურენციისა და ჩარევისაგან. ექსპორტის სტიმულირების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარების, იმპორტის შემცირების, შემოტანილ საქონელზე მაღალი ბაჟის გადახდევინების, ზოგიერთი საქონლის შემოტანის აკრძალვის გზით; აგრეთვე სხვადასხვა სახის ფინანსური ბარიერის შექმნით და ა. შ. გავლენიანი აირის ან პირთა ჯგუფის მიერ გაწეული დახმარება, მფარველობა ვისიმე პირადი საქმეების მოგვარებაში, კადრების, შერჩევა არა საქმიანი, პროფესიული თვისებებით, არამედ პროტექციით, ნაცნობობით.

პროტესტი პოლიტიკური — (ლათ. protestari — საჯაროდ ვამტკიცებ), წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც სამართალდამცავი, კანონმდებელი ორგანოს წარმომადგენელი რეაგირებს კანონის დარღვევაზე. პროტესტის ფორმებია: მიმართვა, განცხადება, მიტინგი, გაფიცვა, სვლა და ა. შ. პოლიტიკური პროტესტი პოზიციის გამოვლენის კანონიერი ფორმა, მაგრამ პოლიტიკურ პროტესტს შეუძლია მიიღოს უკიდურესი, უკანონო, ექსტრემისტული ხასიათი, რომელიც გადადის ძალადობაში და ვანდალიზმის აქტებში, რითაც იგი გადაიქცევა ბრძოლის აპოლიტიკურ, ანტისახელმწიფოებრივ ფორმად და საშუალებად.

პროცესი პოლიტიკური — (ლათ. processus წინ წაწევა). პოლიტიკური მოვლენის, განვითარების სტადია, მდგომარეობის თანმიმდევრული ცვლა: სხვადასხვა პოლიტიკური ძალების თანმიმდევრულ მოქმედებათა ერთობლიობა გარკვეული პოლიტიკური მიზნის, პროგრამის მისაღწევად. პოლიტიკური პროცესები წარმოიქმნება საზოგადოების (ოვრების სხვადასხვა სფეროებში სხვადასხვა გაფიცვები, მიტინგები), საშოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტები და ა. შ.). აგრეთვე მოიცავს ხელისუფლების ყველა სფეროს: საკანონმდებლოს, აღმასრულებელს, სასამართლოს, პოლიტიკური შინაარსის, მოტივის მქონე სასამართლო საქმის გარჩევა-განხილვა .

რადიკალიზმი — (ლათ. radicalis — ძირითადი), პოლიტიკური მიმდინარეობები, ჯგუფები, „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ მიმართულებების ფრაქციები, რომლებიც მოითხოვენ გადამწყვეტი დემოკრატიული რეფორმების გატარებას სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად, გარკვეული მიზნის მისაღწევად. პოლიტიკური რადიკალიზმი გამოირჩევა ხელისუფლების სტრუქტურების მძაფრი (სამართლიანი და უსამართლო) კრიტიკით, ბრალდებითა და საყვედურით გაუბედაობაში, დაყოვნებაში, შეცდომების დაშვებაში. რადიკალური ძალების სამოქმედო ნაყოფიერი სოციალ-პოლიტიკური ნიადაგი იქმნება სოციალური დაძაბულობების პირობებში. როგორც „მარჯვენა“, ისე „მარცხენა“ რადიკალიზმისათვის დამახასიათებელია დოგმატიზმი და უტოპიზმი, გადახრა საკითხის „მარტივი“ გადაწყვეტისაკენ, ზოგჯერ უკიდურესი მეთოდებით და საშუალებებით.

რატიფიკაცია — (ლათ. ratificatio), სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ დამტკიცება საერთაშორისო ხელშეკრულებისა, რომელიც ხელმოწერილია სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ, ამ აქტის შემდეგ ხელშეკრულებას ენიჭება იურიდიული ძალა ამ სახელმწიფოსათვის.

რეალიზმი არიტიკაში — (ლათ. realis — ნამდვილი), პოლიტიკური საქმიანობის მიმართულება, შინაარსი და სტილი, დამყარებული არსებული პირობებისა და გარემოებების ობიექტურ გაგებასა და გათვალისწინებაზე. სოციალურ-პოლიტიკური ძალების თანაფარდობისა და არსებული სიტუაციის განვითარების ტენდენციების ანალიზზე. რეალიზმი პოლიტიკაში მოითხოვს ამოცანების, მიზნების არგუმენტირებულ და კონკრეტულ დასმას. გამოდის რა არსებული შესაძლებლობიდან, ცხოვრებაზე საღი და გაბედული შეხედულებებიდან, მოქნილი ტაქტიკიდან, კომპრომისისა და დიალოგისათვის მზადყოფნიდან. პოლიტიკაში რეალიზმის მისაღწევად აუცილებელია საიმედო საინფორმაციო საშუალებები, ადამიანთა გონებაზე და გრძნობებზე ზემოქმედების მეთოდები. მყარი უკუკავშირი პოლიტიკის ობიექტიდან პოლიტიკის სუბიექტამდე.

რევანში — პოლიტიკური (ფრ. revanche) — სამაგიეროს გადახდა, მიზღვა ბრძოლაში ან თამაშში დამარცხებისათვის — პოლიტიკური ბრძოლის ფორმა

რევოლუცია — პოლიტიკური (ფრ. revolution — გადატრიალე-

ბა) საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ძირეული ცვლილება რევოლუციური სიტუაციის შესაძლებლობების რეალიზაციით. რევოლუციის ძირითადი საკითხია ხელისუფლების საკითხი. განასხვავებენ ბურჟუაზიულ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ, პროლეტარულ (სოციალისტურ) რევოლუციებს და სხვ. რევოლუციას აქვს ობიექტური და სუბიექტური წანამძღვრები. ობიექტური წან. ძღვარია: პოლიტიკური კონფლიქტების გამწვავება, პოლიტიკური კრიზისი. სუბიექტური წინამძღვრები: ხალხის მასების ფართო ფენების შეგნების დონე და მდგომარეობა, პოლიტიკური ლიდერების, პოლიტ-პარტიების არსებობა, რომ ლთაც გააჩნიათ სამოქმედო პროგრამა და ლოზუნგები, მიმართული პოლიტიკური ძალების გააქტიურებისა და ორიენტაციისაკენ. რევოლუციის განხორციელების შესაძლებლობა დამოკიდებულია არა მარტო შინაგან, არამედ გარეშე პირობებზეც, რომლებიც შეიძლება გახდეს სერიოზული დაბ. კოლება რევოლუციური გარდაქმნების განხორციელების. გზაზე.

რეგლამენტი — (ფრ. reglement — წესი) ერთობლიობა წესებისა, რომელიც განსაზღვრავს 'ახელმწიფო ორგანოთა, დაწესებულებათა მუშაობას; წარმომადგენლობითი ორგანოთა სხდომების, კრებების, კონფერენციების, სესიების, ყრილობების ჩატარების წესი. რეგლამენტი განისაზ ღვრება თვით ამ სხდომის, კრების და ა. შ. მონაწილეების მიერ. მათ მიერ მტკიცდება დრო მოხსენებისათვის, კამათისათვის, პაექრობისათვის, კრების მუშაობისათვის, კითხვებისა და პასუხების მიწოდების წესრიგისათვის, მონაწილეებისათვის სიტყვის მისაცემად რაიმე ცნობებისათვის: წესების კრებული (მუდმივის ან დროებითი), რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს მრავალპალატიანი ან ერთპალატიანი პარლამენტის საქმიანობის შინაგან ორგანიზაციას, ფორმასა და მიმართულებას, აგრეთვე დეპუტატების სამართლებრივ მდგომარეობას.

რეჟიმი პოლიტიკური — (ფრ. regime, ლათ. მართვა) სახელმწიფო წყობილების მმართველობის წესი. მეთოდების, საშუალებებისა და სერხების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ საზოგადოების მართვას და პოლიტიკურ ბატონობას. პოლიტიკური რეჟიმი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს არა მარტო სახელმწიფო ორგანოების, არამედ სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების, გაერთიანებების, მოძრაობების და ა. შ. საქმიანობასა და მუშაობის პირობებს. ისტორიაში ცნობილია სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური რეჟიმები. მაგ. მონარქიული, ლიბ-

რალური, დიქტატორული, ტოტალიტარული, ავტორიტალური, საგანგებო, დემოკრატიული და ა. შ. არსებობს აგრეთვე თავისებური რეჟიმები, წარმოქმნილი სამთავრობო სტრუქტურების მკვეთრი დასუსტების, მათი დაშლის, უხელისუფლობის პირობებში, რომელიც საშუალებას იძლევა პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდეს სხვადასხვა რეაქციული ძალები, ისინი უგულებელყოფენ არსებულ კანონმდებლობას და ქმნიან თვითნებობისა და არეულობის გარემოს. პოლიტიკური რეჟიმების ტიპების კლასიფიკაციის პრობლემებს, მათი წარმოშობის მიზეზებს შეისწავლის პოლიტოლოგია და კრიტოლოგია.

რეზიდენცია — (ლათ. residentia — ვრჩები ადგილზე) მთავრობის, სახელმწიფოს მეთაურის ან სხვა მაღალი თანამდებობის პირის ადგილსამყოფელი. არის საზამთრო და საზაფხულო რეზიდენციები, ქალაქის და ქალაქგარეთ, დროებითი და ა. შ. ხშირად ეს არის ადგილი უმაღლეს დონეზე შეხვედრებისა, მსხვილი პოლიტიკური გადაწყვეტილებების და ღონისძიებების შემუშავების და განხორციელების ცენტრი.

რეიტინგი — (ინგლ: rating — შეფასება) პოლიტიკურ მოღვაწეთა პოპულარობის ინდივიდუალური რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომელიც დგინდება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის, სოციოლოგიური გამოკვლევებისა და ა. შ. გზით.

რეკლამა პოლიტიკური — (ლათ: reclame — გავაცხადებ) ინფორმაცია საქონლის სახმარი ღირებულებისა და სხვადასხვა სახის მომსახურების შესახებ. მისი მიზანია ამ საქონლის რეალიზაციის დაჩქარება და მასზე მოთხოვნილების გადიდება. პოლიტიკური რეკლამა აცნობს მომხმარებელს საქონელს და მომსახურებას, რომელსაც სთავაზობს პოლიტიკური ლიდერი, პარტია, კავშირები, კოალიცია, ჯგუფები და შ. რეკლამა ხორციელდება შემდეგი საშუალებებით: ბეჭდვითი სიტყვა, რადიო, ტელევიზია; რეკლამა პოლიტიკური მარკეტინგის შემადგენელი ნაწილია. დასავლეთის პოლიტიკურ ლექსიკონში შევიდა ტერმინი „მეხუთე ხელისუფლება“, რომელიც გულისხმობს რეკლამის ინდუსტრიის განვითარებას, იგი ცხოვრების ყველა სფეროში დიდ როლს თამაშობს (მათ შორის პოლიტიკაშიც).

რეპარაცია — (ლათ. reparatio — აღდგენა), საერთაშორისო სამართალში საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება თავდამსხმელ სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

რეპარაციის მოცულობა და ხასიათი უნდა განისაზღვროს მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობის შესაბამისად. თანამედროვე საერთაშორისო სამართლით რეპარაციით გადახდის ვალდებულება უკისრება არა მარტო აგრესორ სახელმწიფოს, არამედ იმათაც, რომლებმაც განიცადა პოლიტიკური დამარცხება და შემდგომში უარი ვანაცხადეს სამხედრო აგრესიის გაგრძელებაზე.

რეპატრიაცია — (ლათ. repatriatio — სამშობლოში დაბრუნება) სამხედრო ტყვეების, ლტოლვილების, სამოქალაქო პირების, გადაადგილებული ხალხების, პოლიტიკური ემიგრანტების, რომლებიც ომის ან სხვა უბედურების შედეგად აღმოჩნდნენ თავიანთი ქვეყნის გარეთ, აგრეთვე ჩამორთმეული ჰქონდათ მოქალაქეობის უფლება პოლიტიკური, ნაციონალური, იდეოლოგიური და სხვა მოსაზრებებით დაბრუნება სამშობლოში. დაბრუნებულებს აღუდგენენ მოქალაქეობის უფლებას.

რესპუბლიკა — (ლათ. respublica — სახალხო) სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ხალხის მიერ ხელისუფლების არჩევითი უმაღლესი ორგანოს არსებობა; განასხვავებენ რესპუბლიკის ორ ძირითად ტიპს — საპარლამენტო და საპრეზიდენტოს.

რესპუბლიკა საპარლამენტო — სახელმწიფო მოწყობის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც ხელისუფლების განაწილების პირობებში საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების წამყვანი როლი ეკუთვნის პარლამენტს. მთავრობა ყალიბდება საპარლამენტო პარტიებისაგან და პარლამენტის წინაშე აგებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას. ეს პასუხისმგებლობა გამოიხატება სხვადასხვა იურიდიული ფორმით, რომელთა შორის ყველაზე ძლიერია ნდობის ვოტუმი პარლამენტის მხრივ. ან პარლამენტის უარი მთავრობისადმი ნდობაზე, თუ იგი თვითონ დასვამს საკითხს ნდობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მთავრობა ან გადადგება, ან პარლამენტის დათხოვნას და ახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვს. საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი ირჩევა ან თვით პარლამენტის, ან გაფართოებული კოლეგიის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან პარლამენტის წევრები. პრეზიდენტი არის სახელმწიფოს ნომინალური მეთაური, რომელიც ახორციელებს თავის უფლებამოსილებას მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის (პრემიერ-მინისტრის) მითითებით, რომლის ვიზის გარეშე პრეზიდენტის არცერთი აქტი მოქმედი არ იქნება. პარლამენტარული რეჟიმი სტაბილურად ფუნქციონირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პარლამენტში უმრავლესობას წარმო-

ადგენს ერთი პარტია თვალსაზრისითა და მიზნებით თანაზიარი პარტიის მყარი ბლოკი. თუ პარლამენტი დანაწევრებულია მრავალრიცხოვან ფრაქციებად, რომლებიც მუდმივ კონფლიქტში იმყოფებიან, მაშინ ქვეყანა განწირულია.

რესპუბლიკა საპრეზიდენტო — სახელმწიფო მოწყობის ფორმა, რომელშიც პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურსაც და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურსაც. იგი, როგორც პარლამენტი, აირჩევა ხალხის მიერ და შემდეგ მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე სხვა ფორმას იღებს: როგორც წესი, მისი პასუხისმგებლობა რეგლამენტირებულია კანონის ძალით; პრეზიდენტი ვერ დაითხოვს პარლამენტს; პრეზიდენტისათვის აუცილებელია პარლამენტის მხარდაჭერა ბიუჯეტის საკითხში — სახელმწიფო ძალაუფლების ირითად საკითხში.

რესურსები პოლიტიკური — (ფრ. ressources — დამხმარე საშუალება) რეალური და პოტენციალური საშუალებები, მარაგი, შესაძლობები, რომლებიც გამოიყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ან პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად. ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტა ვარაუდობს მატერიალური, ადამიანთა, საინფორმაციო და საორგანიზაციო, ფინანსური და პოლიტიკური რესურსების მობილიზაციას. სპეციფიკურ პოლიტიკურ რესურსებს მიეკუთვნება „ავლენა„ ავტორიტეტი („არაფორმალური" რესურსი), თანამდებობა („ფორმალური" რესურსი), სტატუსი („არაფორმალურ-ფორმალური" რესურსი). რამდენადაც პოლიტიკურ სარბიელზე მოქმედი სხვადასხვა სუბიექტები გვთავაზობენ ამა თუ იმ პრობლემის საკუთარ გადაწყვეტას, იმდენად პოლიტიკურ ბაზარზე იზრდება კონკურენცია რესურსების ხელში ჩასაგდებად.

რეტროგრადი — (ლათ. retrogradus — უკან მავალი) პროგრესის, ყოველივე მოწინავის მოწინააღმდეგე, ჩამორჩენილი შეხედულებების მქონე ადამიანი, რეაქციონერი. პოლიტიკაში ეს არის კონსერვატიული, დოგმატური პოზიცია, სიახლეს არ მიღება.

რეფერენდუმი — (ლათ. referendum — შესატყობინებელი) საყოველთაო-სახალხო კენჭისყრა ამა თუ იმ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხის გადასაწყვეტად. რეფერენდუმის პირობები და მოწყობის წესი დადგენილია კონსტიტუციით და სხვა კანონებით. განასხვავებენ რეფერენდუმს, როცა კანონმდებლობაში წინასწარაა გათვალისწინებული ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა მარტოოდენ რეფერენდუმის მეშვეობით და ფაკულტატური, როცა რეფერენდუმი ეწყობა საარჩევ-

ნო უფლების მქონე მოქალაქეთა ან საკანონმდებლო ორგანოს დეპუ-ტატთა განსაზღვრული ნაწილის ანდა სახელმწიფოს მეთაურის მოთხოვ-ნით.

რეფორმა პოლიტიკური — (ფრ. reforme, ლათ. reformare — გარდაქმნა) საზოგადოებრივი ცხოვრების რაიმე მხარის გარდაქმნა, შეცვლა, რაც არ არის დაკავშირებული მოცემული საზოგადოებრივი სტრუქტურის ლიკვიდაციასთან. პოლიტიკური რეფორმების მასშტაბე-ბი, მათი მიზანდასახულობანი შეიძლება მრავალგვარი იყოს: რეფორ-მებმა შეიძლება მოიცვას საზოგადოების პოლიტიკური სისტემა მთლი-ანად, ანდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების რეორგანიზა-ცია. პოლიტიკური რეფორმები, როგორც წესი, ამა თუ იმ ზომით, წყვეტს ხელისუფალთა წონასწორობის, მათი სუბორდინაციის, ფუნ-ქციის პრობლემებს, შეიცავს საზოგადოების პოლიტიკურ სტაბილურო-ბასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტას; სხვადასხვა საზოგა-დოებრივ-პოლიტიკურ ძალებთან და მოძრაობებთან ურთიერთმოქმე-დებით მიისწრაფვის, მოიყვანოს პოლიტიკური ხელისუფლების ორგა-ნოების საქმიანობა სახელმწიფოს კონსტიტუციასთან, არსებულ კანონ-მდებლობასთან შესაბამისობაში. პოლიტიკური რეფორმა არ ეხება არ-სებული წყობის საფუძვლების შეცვლას, მაგრამ გარდაქმნათა ხარის-ხის მიხედვით იგი შეიძლება იყოს გადამწყვეტი ნაბიჯი როგორც ძი-რითადი, ისე რევოლუციური გარდაქმნებისაკენ, მიმართული საზოგა-დრების პოლიტიკური ორგანიზაციის შენარჩუნებისა და განმტკიცები-საკენ. ნებისმიერ შემთხვევაში რეფორმები ახდენენ ქმედით ზემოქმე-დებას ქვეყნის პოლიტიკურ რეჟიმზე, ამა თუ იმ ზომით მოქმედებენ ხელისუფლების სხვადასხვა განშტოების ფუნქციათა რეგლამენტი-რებაზე, სახელმწიფოს მეთაურის, ისე ყველა ხელისუფლებითი სტრუქ-ტურების საქმიანობის ეთიკურ-სამართლებრივ ნორმებსა და სტილზე, ადამიანის უფლებათა და თავისუფლების მდგომარეობაზე, ქვეყნის სო-ციალურ-ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ კლიმატზე.

რისკი პოლიტიკური — (ინგლ. risk) გარკვეული პოლიტიკური საქმიანობის დახასიათება, რომელიც მდგომარეობს მისი შედეგების და შესაძლო არასასურველი მოვლენების წინასწარ განუსაზღვრელობაში. პოლიტიკური რისკი გამორიცხავს სრული, „ასპროცენტიანი“ წარმატე-ბის გარანტიას- რომელიც პრაქტიკულად არ არსებობს თვით სინამ-

დვილეშიც კ.ა. ამის გამო რისკის მცირეოდენი წილი არსებობს ნებისმიერ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში. რისკი შეიძლება შემცირდეს მინიმუმამდე იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკის სუბიექტის (სუბიექტების) საქმიანობას ახასიათებს ძალაკვალიფიციურობა, კომპეტენტურობა, მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგების არგუმენტირებული პროგნოზირება.

(რსფსრ) — რუსეთის ფედერაცია — რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის თანახმად, ამჟამად რუსეთი არის დემოკრატიული, ფედერაციული სამართლებრივი სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური ფორმით. რუსეთის ფედერაციაში სუვერენიტეტის მატარებელი და ხელისუფლების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს მისი მრავალეროვანი ხალხი. რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტი ვრცელდება მთელ მის ტერიტორიაზე. რფ (რუსეთის ფედერაცია) შესდგება რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ფედერალური მნიშვნელობის მქონე ქალაქების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგებისაგან; — რფ-ის თანაბარუფლებიანი სუბიექტებისაგან. თითოეულ რესპუბლიკას (სახელმწიფოს) აქვს თავისი კონსტიტუცია და კანონმდებლობა. სხვა სუბიექტებს გააჩნიათ თავიანთი წესდებები და კანონმდებლობა. რფ-ის ფედერაციული მოწყობა დამყარებულია მის სახელმწიფოებრივ მთლიანობაზე, სახელმწიფო ხელისუფლების სისტემათა ერთიანობაზე, ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა და საქმის წარმოების (გაძღოლის) ფუნქციათა გამიჯვნაზე. მოქალაქეობა არის ერთიანი და თანაბარი მისი მიღების მიზეზის მიუხედავად. ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო განაწილების საფუძველზე და მათი ორგანოები დამოუკიდებელია. სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი, ფედერალური კრება (ფედერაციის საბჭო და სახელმწიფო დუმა). რფ-ის მთავრობა და რფ-ის სასამართლოები. მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობა.

როტაცია — (ლათ. rotatio — ბრუნვა) პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინი „როტაცია" ნიშნავს პერიოდულ ცვლას ერთი ხელმძღვანელი პირებისა მეორეთი; ან მორიგეობითი ყოფნა რომელიმე თანამდებობაზე. როტაცია, პირველ რიგში, აუცილებელი ორგანიზაციების, პარტიების, სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელი შემადგენლობის განახლებისათვის.

სამმიტი — (ინგლ. summit — მწვერვალი) — სახელმწიფოების ორი ან რამოდენიმე მაღალი თანამდებობის პირის (პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრების და ა. შ.) შეხვედრა უმაღლეს დონეზე. უმნიძვნელოვანესი საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების, კონსულტაციების, მოლაპარაკებების გამოსამუშავებლად.

სანქცია — (ლათ. sanctio — დაკანონება) უმკაცრესი დადგენილება) — ზემდგომი ორგანოს ან ერ რაიმე აქტის დამტკიცება, რაც მას იურიდიულ ძალას ანიჭებს. იძულებულის, ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისათვის; საერთაშორისო სამართალში — ზემოქმედების ზომა, ხელშეკრულების დამრღვევი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

სატელიტი — (ლათ, satelles — თანამგზავრი) ძველ რომში დაქირავებული შეიარაღებული, რომელიც თან ახლავს თავის ბატონს. ადამიანი, რომელიც ბრმად ასრულებს სხვის ნებას. სახელმწიფო, რომელიც ფორმალურად დამოუკიდებელია, მაგრამ სინამდვილეში ემორჩილება სხვა დიდ სახელმწიფოს.

სიმბოლიკა პოლიტიკური — (ბერძნ. symbolon) სიმბოლო — რაიმე სიდიდის პირობით აღნიშვნა ძველ საბერძნეთში რომელიმე ჯგუფის ან ორგანიზაციის წევრებისა. სახელმწიფო სიმბოლიკა — საგნობრივი ნიშნები, გამოსახულებები, სახეები, რომელიც შეიცავენ რაიმე განსაზღვრულ იდეას. — გერბი, დროშა, ჰიმნი, პოლიტიკური სიმბოლიკა გამოიყენება აგრეთვე სხვადასხვა პარტიების, მოძრაობების, კავშირების, გაერთიანებების, ორდენებისა და ა. შ. მიერ.

სინეკურა — (ლან. sine cura — უზრუნველად) შემოსავლიანი თანამდებობა, რომელიც დიდ შრომას არ მოითხოვს; თბილი ადგილი.

სისტემა დომინანტურ-პარტიული — (ლათ. dominantus — ბატონობა, ერთხელისუფლებიანობა) ერთ-ერთი ძირითადი მოდელი აღმოსავლეთის საპარლამენტო დემოკრატიის პარტიულ-პოლიტიკური სისტემისა, სადაც ადმინისტრაციულ აპარატთან შეზრდილია ერთი და იგივე პარტია, მუდმივად იღებს არჩევნებში საკმარის ხმებს სათავრობის ჩამოსაყალიბებლად და წეუცვლელად მართავს ქვეყანას, მიუხედავად გაკლენიანი ოპოზიციური პარტიების არსებობისა. ტერმინი „დომინანტურ-პარტიული სისტემა" სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია ინგლელი პოლიტოლოგის რაჯნი კოტჰარის მიერ 1974 წ. და იხმარება პოლიტოლოგიაში.

სისტემა სახელმწიფოებრივი-პარტიული — აღმოსავლური პარლამენტური დემოკრატიის პარტიულ-პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი მოდელი. სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც არ არის დაკავშირებული რომელიმე გარკვეულ პარტიასთან, აკონტროლებს სახელმწიფოს მდგომარეობას, ხოლო პარლამენტი — დემოკრატიული პროცედურით არჩეული გადაიქცევა სახელმწიფო ხელისუფლებაზე დემოკრატიულ ორგანოდ. ამ ტიპს შეიძლება მიეკუთვნოს თანამედროვე ლიბანი, თურქეთის, ტაილანდის და ინდონეზიის სისტემები.

სისტემა პარტიულ-პოლიტიკური — პოლიტიკურ პარტიათა სახელმწიფოსთან დამოკიდებულებების სისტემა ხელისუფლების ბერკეტების განაწილების გამო. გააჩნია რიგი კონკრეტულ-ისტორიული მოდელი: დომინანტური და სახელმწიფო-პარტიული სისტემები; ერთ, ორ, ოთხ... და მრავალპარტიული სისტემები; საპრეზიდენტო, საპარლამენტო და დირექტორალური მოდელები. დასავლეთის ქვეყნებში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების დასაწყისშივე წარმოიქმნებოდა ორპარტიული ან მრავალპარტიული სისტემები. მაგრამ დომინანტურ-პარტიული სისტემები ევროპული ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ისტორიაში ცნობილი არ არის, აღმოსავლეთის დემოკრატიაში, პირიქით, მაშინვე წარმოიქმნება დომინანტური ან სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემები, ხოლო პარლამენტარულმა მოდელებმა, ორ ან მრავალპარტიული მონაცვლეობით ხელისუფლებაში, ვერ ჰპოვეს გავრცელება. ნებისმიერი ორივე სისტემისათვის საერთო წინამძღვარი სხვადასხვანაირად რეალიზდება დასავლეთის, და აღმოსავლეთის საზოგადოებაში; ერთ შემთხვევაში ხდება ხელისუფლების გაყოფა საპრეზიდენტო — აშშ, საპარლამენტო — დიდი ბრიტანეთი, და სადირექტორო — შვეიცარია — მოდელში; მეორე შემთხვევაში ხდება მისი ფიზიკური კონსოლიდაცია დომინანტურ I პარტიულ მოდელებში, იაპონია, ინდოეთი და სახელმწიფო პარტიულ — ლიბანი, თურქეთი, დასავლეთში საზოგადოების ცალკეული პარტიებით წარმოდგენილი ძალები, იბრძვიან რა მონაცვლეობით, როგორც მოდიან, ისე მიდიან ხელისუფლებიდან (მრავალპარტიული მოდელი). მაგრამ აღმოსავლეთის საპარლამენტო სახელმწიფოს მეთაურის სავარძელი ერთხელ და სამუდამოდ დაკავებულია ან დომინანტური პარტიის ლიდერის მიერ (იხ. დომინანტურ-პარტიული სისტემა), ან სახელმწიფოს მეთაურის მიერ (იხ. სახელმწიფო-პარტიული სისტემა);

სიტუაცია პოლიტიკური — (ფრ. situatio მდგომარეობა) პოლიტიკური ცხოვრების ერთობლიობა დროის კონკრეტულ მომენ-

ტში ან პერიოდში. პოლიტიკური სიტუაცია განისაზღვრება პოლიტიკურ ძალთა განლაგებით და ურთიერთმოქმედებით; მათი პოლიტიკური მიზანსწრაფვის ხასიათით. პოლიტიკური სიტუაციის განსაზღვრა და შეფასება კომპეტენტური პოლიტიკური საქმიანობის აუცილებელი მხარეა. მისი გაგების მიღწევა შესაძლებელია სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, რომელიც ემყარება შესასწავლი ობიექტის ისტორიის ღრმა ცოდნას და კვლევის მაღალ მეთოდოლოგიურ კულტურას.

სკანდალი პოლიტიკური — პოლიტიკურ მიღწევათა და დაჯგუფებათა პრიმიტიული, მდარეხარისხოვანი, უზნეო ჩხუბი, რომელიც ზოგჯერ გადაიზრდება ხელჩართულ ბრძოლაში, უცენზურო გინებაში, ურთიერთშეურაცხყოფაში და ა. შ. სკანდალი არის ორმხრივი პოლიტიკური უკულტურობა, დაუჯერებელი არგუმენტაციის, ღირსებისა და პატიოსნების გამძლეობის უუნარობის მოწმობა, რაც ბოლოსდაბოლოს უკიდურესად უარყოფითად აისახება პოლიტიკოსების ავტორიტეტზე და ამცირებს მათ რეიტინგს.

სკიპტრა — (ბერძ.ნ skeptron) კვერთხი, ნიშანი, სიმბოლო მონარქიული ხელისუფლებისა.

სოციოლოგია — პოლიტიკის — სოციოლოგიის დარგი, რომლის კვლევის საგანია ურთიერთობა სახელმწიფოებს, ერებს, სოციალურ ჯგუფებს, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის ხელისუფლების განხორციელებისა და მასთან დამოკიდებულების თაობაზე. პოლიტიკის სოციოლოგია მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტოლოგიასთან და მასთან შედარებით უფრო კონკრეტული მეცნიერებაა.

სოციუმი — (ლ. ო. socium — საერთო, ერთობლივი) — დიდი, ერთიანი სოციალური ერთობა, რომელიც ხასიათდება ადამიანთა ცხოვრების და საქმიანობის ერთიანი პირობებით, კულტურის ერთობით. სოციუმის სახესხვაობებია: საზოგადოება, როგორც მთლიანი სოციალური სისტემა, საოჯახო — ნათესაური, სოციალურ-კლასობრივი, ეროვნულ-ეთნიკური, ტერიტორიულ-დაახლოებითი ერთობა. ნებისმიერი სოციუმი — ეს არის მთლიანობა, შეფარდებითი ავტონომიური წარმონაქმნი, რომელიც დაკავშირებულია სხვა სოციალურ ერთობასთან.

სპიკერი — (ინგლ. speaker — ორატორი, მოსაუბრე) — პარლამენტის თავმჯდომარე ზოგიერთ ქვეყანაში. მაგ. დიდ ბრიტანეთში — სპიკერი თემთა პალატის, აშშ — სპიკერი წარმომადგენელთა პალატის.

სპონსორი — (ინგლ. sponsor) ინიციატორი, ორგანიზატორი, პირი ან ორგანიზაცია, რომელიც ახდენს რაიმე აქციის სუბსიდირებას.

სტაბილურობა პოლიტიკური — (ლათ. stabilis — მდგრადი, უცვლელი) საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების თვისება, ხასიათი, მდგომარეობა გამოვლინებული საზოგადოებაში არსებული ყველა პოლიტიკური ინსტიტუტის მდგრად ფუნქციონირებაში, იურიდიული და პოლიტიკური ნორმების დაცვაში. მასში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიან გადაჭრაში, რაც მთლიანობაში საშუალებას აძლევს მოცემულ სისტემას ეფექტურად განვითარდეს და იმოქმედოს, შეინარჩუნოს თავისი სტრუქტურა, თავისი თვისობრივი განსაზღვრულობა. საჭიროა განვასხვავოთ პოლიტიკური სტაბილურობა სტაგნაციისაგან, ერთ წერტილზე გაყინვისაგან და სხვა სიტუაციისაგან, როდესაც საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების დინამიკა მკვეთრად შენელდება, განვითარება პრაქტიკულად წყდება. პოლიტიკური სტაბილურობის საპირისპირო მოვლენაა საზოგადოებრივი განვითარების არასტაბილურობა. სტაბილურობის დარღვევას შეიძლება ჰქონდეს სიტუაციური ხასიათი, რომლის დროსაც სტაბილიზაციის დარღვევა მოითხოვს მთელი სისტემის ძირფესვიან შეცვლას.

სტატუსი — (ლათ. statum — მდგომარეობა) მოქალაქეების იურიდიული პირების, სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო ორგანოების უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს მათ სამართლებრივ მდგომარეობას.

სტატუს-კვო — (ლათ. status-quo — მდგომარეობა) გარკვეულ მომენტში არსებული პოლიტიკური, ეკონომიური, სამართლებრივი და ა. შ. მდგომარეობა, რომლის დაცვაზე ან აღდგენაზე არის ლაპარაკი.

სტატუტი — (ლათ. statutum) წესდება, დებულება რომელიმე ორგანოს ან პირის უფლება-მოვალეობათა შესახებ, ინგლისში, აშშ-ში, კანონის რისამე შესახებ; წესდება, დებულება რომელიმე ორგანოს მინიჭების, ტარების, აღწერის განსაზღვრული წესების შესახებ.

სტილი პოლიტიკური — (ბერძნ. stylos — პატარა საწერი ჯოხი) ცალკეული პოლიტიკოსების, პოლიტიკური ჯგუფების, ფრაქციების, პარტიების ქცევის ნიშანი, თავისებურება, მანერა, რომელიც ხასიათდება განსაკუთრებულად გამორჩეული თვისებებით, ხერხებით, მეთოდებით, პოლიტიკური საქმიანობით, ამის მიხედვით განასხვავებენ ბიუროკრატიულ, პოპულისტურ, დემოკრატიულ, კოლეგიალურ, საქმიან და სხვა სტილის პოლიტიკურ მოღვაწეობას.

სტიმული პოლიტიკური — (ლათ. stimulus) მახვილ წვერიანი

ჯოხი რაიმე მოქმედებისათვის ადამიანის ხელისის აღმძვრელი. გამააქტიურებელი, მიზეზი, ბიძგი საქმიანობის ყველა სფეროში. ყველაზე ეფექტურ სტიმულს წარმოადგენს: ადამიანებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი კონკრეტული მიზნების შეღწევა და ინტერესების დაკმაყოფილება, დემოკრატიული გარდაქმნები, რომლებიც ქმნიან რეალურ შესაძლებლობას ბეჭდვითი სიტყვის, სინდისის, თავისუფლების მისაღწევად. პირობების შექმნა პიროვნების ნებისა და თავისუფლების გამოსახატავად პოლიტიკურ საქმიანობაში, კონსტიტუციურ უფლებათა კანონმდებლობის ფარგლებში მისი თავისებურებებისა და არსებული ალტერნატივების გათვალისწინება, მოქალაქეთა სხვადასხვა ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირი; პოლიტიკური არჩევნების ხელოვნება: პოლიტიკური მეტოქის (კონკურენტის) ღრმა, მუდმივი დაკვირვებული შესწავლა; უახლესი ამოცანების გადასაწყვეტი ბრძოლის შეხამება შუალედური და საბოლოო მიზნებისათვის ბრძოლასთან.

სტრატეგია და ტაქტიკა — (ბერძნ. strategia — taktika — მართვა, ჯარის დაწყობის ხელოვნება პოლიტიკაში — პოლიტიკურ ცხოვრებაში, პოლიტიკურ პროცესსა და პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობის თეორია და პრაქტიკა. ისინი მჭიდრო ურთიერთკავშირშია. გამოდიან შესაბ მისი პოლიტიკური ძალების ორიენტაციიდან და ძირითადი მიზნებიდან. სტრატეგია განსაზღვრავს საქმიანობის (ბრძოლის) ძირითად მიმართულებებს ფართო ისტორიულ ეტაპზე. მის ობიექტს წარმოადგენს შირითადი მიზნის შეშუშავება და მისი მიღწევის უზრუნველყოფა. მასში განისაზღვრება ძალთა განლაგება, ძირითადი მოკავშირეები, ,ადასაჭრელი ამოცანების რიგითობა, ტაქტიკა განსაზღვრავს მოცემული სუბიექტის პოლიტიკური ქცევის ხაზს, მისი საქმიანობის ხერხებსა და ფორმებს კონკრეტულ — ისტორიულ პირობებში. ტაქტიკა გამომდინარეობს სტრატეგიიდან და განისაზღვრება მისი მიზნებით. პოლიტიკური საქმიანობის პრაქტიკით გამომუშავდება სტრატეგიის პრინციპები და ტაქტიკა, არსებული მდგომარეობის კონკრეტული ანალიზი.

სუბიექტივიზმი პოლიტიკაში — (ლათ. subjectum — ადამიანი) პოლიტიკურ მოღვაწეთა პოზიცია, რომლის მიხედვითაც საზოგადოების განვითარებას განსაზღვრავს არა ობიექტური კანონზომიერებანი, არამედ სუბიექტური ფაქტორები. პოლიტიკურ მოღვაწეთა პოზიცია, რომელიც მოკლებულია ობიექტურობას, ახასიათებს მიკერძოებითი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი. აქვს შემდეგ

დასაბუთებული შეფასებისადმი პირადი, ზოგჯერ წინასწარ განზრახული დამოკიდებულება, არა იშვიათად პირადი ინტერესებით, ემოციებით, სიმპატიით ან ანტისიმპათიით განპირობებული. პოლიტიკაში სუბიექტივიზმი უარყოფს პოლიტიკური პროცესების და მოვლენების ობიექტურ ბუნებას, მათ ურთიერთკავშირს. საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროსთან, მსოფლიო კონტექსტებთან; 3) პოზიცია, რომლის თანახმადაც პოლიტიკური ცხოვრება, მისი პროცესების მიმდინარეობა და დასასრული მხოლოდ პოლიტიკის სუბიექტების მიერ, უპირველეს ყოვლისა, ცალკეული ადამიანების, პირველ რიგში ხელმძღვანელების ნებით, მისწრაფებით, ინტერესებითა და განწყობით განისაზღვრება, სუბიექტივიზმის უკიდურესი გამოხატულება პოლიტიკაში არის ვოლუნტარიზმი.

სუბიექტი პოლიტიკის — პოლიტიკის სფეროში მოქმედი პირები სოციალურ ჯგუფებში, ორგანიზაციები, მოძრაობები, ინსტიტუტები, სუბიექტების რიცხვში შედიან მოქალაქეები. გარკვეული სოციალური ფენები, ეროვნებები, ხალხები, საზოგადო-პოლიტიკური ორგანიზაციები, მათ შორის. პარტიები, მოძრაობები, სახელმწიფოები, ხალხი, მთლიანად საზოგადოება. არიან რა ერთ-ერთი პოლიტიკური სისტემის პოლიტიკური სუბიექტები, ისინი გამოდიან პოლიტიკის ობიექტის როლში სხვა პოლიტიკური სისტემის მიმართ. პოლიტიკის სუბიექტების შემადგენლობა, მათი ურთიერთმოქმედების ფორმები, მეთოდები და საშუალებები. მიზნები და ამოცანები განისაზღვრება პოლიტიკის სპეციფიურობით, ეკონომიკური, სოციალური, სოციალურ-იდეოლოგიური პირობებით. პოლიტიკის სუბიექტებს შორის არსებობს ურთიერთქმედების, დაქვემდებარების და თანადაქვემდებარეობების დამოკიდებულების და შეფარდებითი ავტონომიურობის დინამიკური სისტემა.

სუვერენიტეტი — (ფრ. souveraineté — უზენაესი ხელისუფლება) სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა და დამოუკიდებლობა, რაც ვლინდება სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური საქმიანობის სათანადო ფორმებში. სახელმწიფო სუვერენიტეტი არის სახელმწიფოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობა და თავისუფლება და მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში სხვისი ჩაურევლობა, ეროვნული სუვერენიტეტი არის ერების სრული თავისუფ ება, მათი პოლიტიკური თავისუფლება, რეალური შესაძლებლობა განსაზღვროს თავისი ეროვნული ცხოვრების ხასიათი; პოლიტიკური თვითგამორკვევა, ნება

გამოეყოს და წარმოქმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო ადამიანის სუვერენიტეტი, ვლინდება მის რეალურ უფლებებში, მსოფლმხედველობაში, ძალადობის წინააღმდეგ, არსებულ გარანტიებში და პიროვნების დამოუკიდებლობის დაცვაში მთლიანად.

სასამართლო ხელისუფლება — სახელმწიფოს სასამართლო ორგანოების რეალური უნარი განახორციელოს მართლმსაჯულება, რომელიც ემყარება სამართლის ნორმებს და კანონებს. უზრუნველყოფილია სასამართლო ორგანოების სამართლებრივი და სოციალური დამოუკიდებლობით. სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს ძლიერი და განვითარებული სასამართლო ხელისუფლების არსებობა. იგი მოწოდებულია უზრუნველყოს მიღებული, კანონების და ქვეყანაში მოქმედი კონსტიტუციური დადგენილებების შესაბამისობა; მიაღწიოს კანონების მკაცრ შესრულებას, როგორც ცალკეული მოქალაქეების, კოლექტივების, დაწესებულების, ისე ყველა დონის სახელმწიფო ორგანოების მიერ; განახორციელოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის, მეურნეობის სისტემების, მოქალაქეთა კოლექტივების, სახელმწიფოს პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა. გამოიყენოს კანონით მინიჭებული ძალა სისხლის სამართლის კანონით დასჯისა, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციაში სასამართლო ორგანოების ფუნქცია განსაზღვრულია მე-7 თავში.

ტ

ტანდემი — (ინგლ. tandem) პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში გამოიყენება ცალკეული პირების, დაჯგუფებების და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მჭიდრო თანამშრომლობის, მათი ერთობლივი საქმიანობის აღსანიშნავად.

თეოკრატია — (ბერძნ. theos — ღმერთი, ხელისუფლება) მართვის ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფოს ჩვეულებრივ მონარქიული მეთაური ერთდროულად წარმოადგენს მის რელიგიურ მეთაურსაც; პოლიტიკური ხელისუფლება, რომელიც ეკუთვნის სამღვდელოებას, ეკლესიას.

ტერორი — პოლიტიკური (ლათ. terror — შიში) პოლიტიკურ და კლასობრივ მოწინააღმდეგესთან ანგარიშის გასწორება ძალადობით, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დათრგუნვა, დევნა, დაშინება, პოლიტიკური მოტივებით, ძალადობით, თვით ფიზიკური განადგურებითაც კი. პოლიტიკური ტერორი შეიძლება განხორციელდეს ცალკეული პოლიტიკური ლიდერების, საზოგადოებრივი ჯგუფების, პარტი-

ების ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების მიმართაც, ისტორიისათვის ცნობილია სახელმწიფოებში პოლიტიკური ტერორების ხანგრძლივი პერიოდები. ტერორი გამორიცხულია დემოკრატიული საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრებიდან.

ტექნოკრატული — აზროვნება (ბერძნ. techne+kratos — ხელოვნება, ძალაუფლება, ბატონობა) — აზროვნებით საქმიანობის მიმართულება, მსოფლმხედველური ორიენტაცია, რომელთა არსებითი ნიშანია საშუალებების პრიმატი, მიზანზე, კერძო მიზნების ზოგადსაკაცობრიო ინტერესებზე, ტექნიკის ადამიანზე და მის ფასეულობებზე მაღლა დაყენება; ტექნოკრატიული აზროვნებისათვის უცხოა ინტელექტუალურობა, სიბრძნე და ჰუმანურობა. ზნეობრიობა. იგი ვლინდება არა მხოლოდ ტექნიკის სფეროში, არამედ შეიძლება ახასიათებდეს ჰუმანიზმს, პოლიტიკურ მოღვაწეს, ხელოვნების წარმომადგენელს. ტექნოკრატიული აზროვნების არსებით თავისებურებას წარმოადგენს შეხედულება ადამიანზე, როგორც სისტემის შესასწავლ. საპროგრამო კომპონენტზე, როგორც სსვადასხვაგვარი ექსპერიმენტებისა და მანიპულაციის ობიექტზე და არა როგორც პიროვნებებზე. რომელიც ცხოვრობს არა ტექნიკის კანონების მიხედვით, არამედ ცოცხალი არსების ადამიანური კანონებით, ტექნოკრატიული აზროვნება არ წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგს. იგი ტექნიკის როლის ა ბ ოლუტიზაციის ხელოვნური ინტელექტისადმი ადამიანის ყოფის ფუნდამენტალური საფუძვლებისადმი უაზრო დამოკიდებულების შედეგია.

ტექნოლოგია პოლიტიკური — (ბერძნ. techne — ხელოვნება, ოსტატობა, Logos — მოძღვრება) პოლიტიკური შედეგების მისაღწევად მიზანმიმართული, თანმიმდევრული და ამკარად ეფექტური სისტემა. პოლიტიკური ტექნოლოგია შეიცავს როგორც დაუყოვნებლივი, ლოკალური. ხანმოკლე შედეგების (ტაქტიკის) მიღწევის, ისე სიღრმისეული, გლობალური. ხანგრძლივი ეფექტის სტრატეგიის მიღების ხერხებს.

ტირანი — (ბერძნ. tjrannos) ძველ საბერძნეთსა და შუასაუკუნეების იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებში ერთპიროვნული მმართველი, რომელიც მოქმედებს თვითნებურად და ძალადობით; დესპოტი, მკაცრი, ულმობელი ადამიანი, მტარვალი.

ტიტული — (ლათ. titulus — საგვარეულო ან ბოძებული საპატიო წოდება. დასახელება, წოდება, რომელიც მიეცემა დამსახურების მიხედვით; კანონში, კოდექსში, სპეციალური განყოფილება.

ტოტალიტარიზმი — (ლათ. totalis — მთლიანი) პოლიტიკური რეჟიმი, სახელმწიფო ხელისუფლების სისტემა, რომელიც ხასიათდ[illegible] პირდაპირი ძალადობით. საზოგადოების მართვის პროცესში, პოლიტიკური პლურალიზმის, დემოკრატიული თავისუფლების უქონლობით, პოლიტიკური უფლებების შეზღუდვით მთელი მოსახლეობისათვის. ტოტალიტარიზმისათვის დამახასიათებელია მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის განვითარების მაღალი ხარისხი, ლიდერის არსებობა, რომლის ავტორიტეტი გადაიქცევა პიროვნების კულტად. იდეოლოგია, როგორც საშუალება, სახელმწიფოში მეცნიერების, განათლების და კულტურ[illegible] ყველა დაწესებულებების საქმიანობის წარმართვისა. ტოტალიტარიზმი სახელმწიფოს მეტისმეტად დიდ ფუნქციებს აკუთვნებს, მათ შორის სახელმწიფო რეგლამენტის სფეროში აქცევს ადამიანის პრაქტიკულად მთელს პირად ცხოვრებასაც კი. ტოტალიტარიზმის იდეოლოგიასა და პრაქტიკაში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს ბელადის ფიგურა, რომელსაც არაბუნებრივად მიაწერენ ყველა დადებითი თვისებების ერთობლიობას.

ტრიბუნი პოლიტიკური — (ლათ. tribunus) ძველ რომში სხვადასხვა თანამდებობების პირის სახელწოდება; იტყვიან გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეზე, რომელიც კარგ ორატორად და პუბლიცისტად ითვლება; ოლიტიკური მოღვაწის ტიპი, რომელიც ამჯობინებს მასებთან პირდაპირი კონტაქტის მეთოდებს, ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა ინტელექტსა და ემოციებზე სიტყვის ძალით, ორატორული ხელოვნებით, უნარი აქვს დაარწმუნოს და გაიყოლოს ისინი; პოლიტიკური ტრიბუნი არის ფიგურა, ჩამოყალიბებული და მოქმედი უპირატესად სახალხო, ლია პოლიტიკურ საქმიანობაში, მათ შორის, მიტინგურ საქმიანობაში. იგი იყენებს დემოკრატიულ ფორმებს, რომლებიც დიამეტრალურად საპირისპიროა ბიუროკრატიული მუშაკის ტიპთან.

ტრიუიზმი — ინგლ. truism) — საყოველთაოდ ცნობილი, თვალსაჩინული, ცხადი ჭეშმარიტება, ბანალური მცნება, თანამედროვე ლექსიკონში იხმარება იმ გარკვეული პოლიტიკური გამოსვლების, შეხედულებების გამონათქვამების, რეპლიკების დასახასიათებლად, რომლებიც არ შეიცავენ რაიმე ახალ ორიგინალურ დებულებებს, გადაწყვეტილებებს, დასკვნებს, წინადადებებსა და ა. შ.

ჩიხი — პოლიტიკური — პოლიტიკური კონფლიქტების განვითარების შედეგად შექმნილი სიტუაცია, რომელმაც ვერ [illegible]ოდ გადაწყვეტა და განაგრძობს არსებობას, ხოლო მის შემდგომი გამწვავების

მოსურნე ძალებს არ შეუძლიათ განახორციელონ მათ წინაშე მდგარი ამოცანა ან მიაღწიონ დასახულ მიზანს. პოლიტიკური ჩიხი ხშირად ხასიათდება კონფლიქტური ძალების გარკვეული წონასწორობით, ერთმანეთზე უპირატესობის მოპოვების შეუძლებლობით და სუბიექტებისაგან კონფლიქტის გადასაჭრელად მოითხოვს ახალ-ახალი გზების ძიებას. პოლიტიკური სისტემის მდგომარეობა, რომლის დროსაც ამ სისტემამ ან მთლიანად ამოწურა თავისი განვითარების პოტენცია და საჭიროა მისი შეცვლა, ან შეუძლებელია მისი შემდგომი მოძრაობა მომაელისაკენ იმ ძალების შენარჩუნებით, რომლებმაც შეიყვანეს აღნიშნული სისტემა ჩიხში.

უ

უზურპატორი — (ლათ. usurpator) პირი, რომელმაც უკანონოდ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება ან მიითვისა სხვისი უფლებები,

ულტიმატუმი — (ლათ. ultimus) ყველაზე ბოლო საერთაშორისო სამართალში: კატეგორიული მოთხოვნა, რომლის შეუსრულებლობას მოსდევს დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ან ძალის გამოყენება; მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა.

უტოპია პოლიტიკაში — (ბერძნ. u — არა, topos — ადგილი, ადგილი, რომელიც არ არსებობს) რეალურ საფუძველს მოკლებული ფანტასტიკური მოძღვრება იდეალური საზოგადოებრივი წყობილების შესახებ; განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; პროტექტორული ხასიათის მქონე არარეალური, განუხორციელებელი, აუხდენელი გეგმების შემცველი იდეები, პლატფორმები, დოქტრინები, პოლიტიკური კურსის უტოპიურობა, განპირობებული მთელი რიგი მიზეზებით, რომელთაგან მავარია სოციალური პროცესების განვითარების და პოლიტიკური ძალის თანაფარდობის მეცნიერული ანალიზის უქონლობა.

ფ

ფაქტი პოლიტიკური — (ლათ. factum გაკეთებული) პოლიტიკური ცხოვრების ჭეშმარიტი, გამოუგონებელი ამბავი, შემთხვევა, მოვლენა, რომლის რეალობა დამტკიცებულია და შეიძლება გამოყენებული იქნას დასკვნებ' ათვის, შეფასებისათვის, პოლიტიკური ფაქტორების სახით შეიძლება მიჩნეული იყოს პოლიტიკური ქმედებები, ქცევები, ლიდერების, პარტიების და პოლიტ კური დაჯგუფებების, ადამიანის მოღვაწეობი' მატერიალური და სულიერი. ვერბალური (სიტყვიერი ქმედებები) პოლიტიკური შეხედულებები, აზრები, შეფასე-

ბები, აგრეთვე მათი ყოველგვარი შესაძლო ურთიერთკავშირი.

ფაშიზმი — (იტ. fascismo) იდეურ პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ჩამოყალიბდა 1919 წელს იტალიასა და გერმანიაში და გამოხატავს ბურჟუაზიის ყველაზე უფრო აგრესიული წრეების ინტერესებს, ფაშიზმის იდეოლოგიისათვის დამახასიათებელია უკიდურესი შოვინიზმი და რასიზმი, ავტოკრატული პოლიტიკური რეჟიმი, ყველა დემოკრატიული თავისუფლების მოსპობა; დამპყრობლური ომების მომზადება და გაჩაღება. თანამედროვე ლექსიკონში იხმარება ტერმინი „ნეოფაშიზმი", იგი განასხვავებს მის თავისებურებას ფაშიზმთან შედარებით, რომელიც დაარცხდა მეორე მსოფლიო ომში.

ფედერალიზმი — (ფრ. federalisme — კავშირი) სახელმწიფო წყობილების სისტემა, რისამე სტრუქტურა, დამყარებული ფედერაციის პრინციპებზე; პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ცდილობს ასეთი სისტემის შექმნაზე.

ფედერალური კრება — (ინგ Federal Assemlas — რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 94 მუხლის თანახმად „ფედერალური კრება რსფ-ის პარლამენტი — წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოს. იგი შედგება ორი პალატისაგან — „ფედერაციის საბჭოს" — და „სახელმწიფო დუმა" და არის მუდამ მოქმედი ორგანო. პალატები იკრიბებიან ცალ-ცალკე. შეუძლიათ ერთადაც შეიკრიბონ, თუ კონსტიტუციის 102 მუხლის თანახმად „ფედერაციის საბჭოს" გამგებლობაში შედის: რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის საზღვრების შეცვლა; რფ-ის პრეზიდენტის ბრძანებულების დამტკიცება საომარი მდგომარეობის შესახებ; საკითხის გადაწყვეტა რფ-ის შეიარაღებული ძალების შესაძლო გამოყენების შესახებ რფ-ის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ; რფ-ის პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნა; რფ-ის პრეზიდენტის გადაყენება თანამდებობიდან. მოსამართლეების დანიშვნა რფ-ის საკონსტიტუციო სასამართლოში, რფ-ის უმაღლეს სასამართლოში, რფ-ის უმაღლეს საარბიტრო სასამართლოში; რფ-ის გენერალური პროკურორის დანიშვნა ან გადაყენება თანამდებობიდან: ხმის დამთვლელი პალატის (საანგარიშო პალატის) თავმჯდომარის და მისი აუდიტორების ნახევარი შემადგენლობის მოხსნა და დანიშვნა; რფ-ის კონსტიტუციის 103-ე მუხლის თანახმად „სახელმწიფო დუმის" გამგებლობაში შედის: პრეზიდენტისათვის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნაზე თანხმობის მიცემა; რფ-ის მთავრობისათვის ნდობის საკითხის გადაწყვეტა; რფ-ის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნა ან გადაყენება;

ხმის დამთვლელი პალატის თავმჯდომარისა და ნახევარი შემადგენლობის დანიშვნა და გადაყენება; თანამდებობაზე დანიშვნა და გადაყენება რწმუნებულისა ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხში, რომელიც მოქმედებს ფედერალური კონსტიტუციის ნორმებით; ამინისტიის გამოცხადება; პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებისათვის მის წინააღმდეგ ბრალდების წაყენება.

ფედერალური კანონი — (ინგ. federal law) ნორმატიული აქტი, მიღებული სახელმწიფო ორგანოების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ. რფ-ში ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად ფედერალური კანონები მიიღება სახელმწიფო დუმის მიერ. ხუთი დღის განმავლობაში ისინი გადაეცემა განსახილველად ფედერაციის საბჭოს. შიწონებულად ისეთი კანონი ითვლება, რომელსაც ხმა მისცა ამ პალატის ნახევარზე მეტმა, ან თუ 14 დღის მანძილზე იგი არ იქნა განხილული ფედერაციის საბჭოს მიერ. ფედერაციის საბჭოს მიერ აუცილებელ განხილვას ექვემდებარება სახელმწიფო დუმის მიერ მიღებული ფედერალური კანონები: ფედერალური ბიუჯეტის; ფედერალური ბეგარა და გადასახადები; საფინანსო, სავალუტო, საკრედიტო, საბაჟო რეგულირება, ფულადი ემისიები, რატიფიკაცია და რფ-ის საერთაშორისო ხელშეკრულებების დენონსაცია; რფ-ის სახელმწიფო საზღვრების სტატუსის დაცვა; ომი და მშვიდობა; მიღებული ფედერალური კანონი 5 დღის განმავლობაში გადაეცემა რფ-ის პრეზიდენტს ხელმოსაწერად და გამოსაქვეყნებლად. რფ-ის პრეზიდენტმა 14 დღის განმავლობაში ხელი უნდა მოაწეროს ფედერალურ კანონს და გადასცეს იგი გამოსაქვეყნებლად.

ფედერაცია — (ლათ. federatio — კავშირი, გაერთიანება). სახელმწიფოს წყობილების ფორმა, რომლის დროსაც რამდენიმე სახელმწიფოსაგან იქმნება ერთი სახელმწიფო; ცალკეულ საზოგადოებათა, ორგანიზაციათა კავშირი. ისტორიაში პირველი ფედერაცია იყო აშშ, 1787 წ. კონსტიტუციით. ფედერაციული სახელმწიფოებია: არგენტინა, ავსტრია, ავსტრალია, ბრაზილია, ვენესუელა, გერმანია, ინდოეთი, პაკისტანი, რუსეთი. ფედერაციის ტერიტორია შედგება მისი ცალკეული სუბიექტების ტერიტორიებისაგან (შტატები, კანტონი, რესპუბლიკა და სხვა). ფედერაციის სუბიექტებს შეუძლიათ ქონდეთ საკუთარი კონსტიტუცია. ფედერაციისა და მისი სუბიექტების კომპეტენციის გამიჯვნა ხდება სახელმწიფოთაშორისო კონსტიტუციით. ზოგ ფედერაციაში ერთდროულად არსებობს საერთო მოქალაქეობა ან ფედერაციული

ერთეულების მოქალაქეობა. ზოგიერთ პარლამენტში არსებობს სპეციალური პალატა, რომელიც იცავს ფედერაციის ინტერესებს.

ფემინიზმი — (ფრ. teminisme — ქალი) ქალთა მოძრაობა, რომლის მიზანია ქალების უფლებრივი გათანასწორება მამაკაცთან; მოძრაობის შიგნით არსებობს რამდენიმე მიმართულება. მეტად გავრცელებულია ლიბერალურ-რეფორმისტული, რადიკალურ-ექსტრემისტული, ჰუმანიტარული და სხვ. ამ და სხვა მიმართულებების წარმომადგენლები მხარს უჭერენ ქალებისა და მამაკაცების სოციალურ გათანასწორებას. ფემინიზმისათვის დამახასიათებელია ამ მოძრაობის იდეისა და მიზნების პოპულარიზაცია, ქალთა ახალი (ორგანოების) ორგანიზაციების და კლუბების შექმნა, ქორწინების, სქესის, ოჯახის გაყრის და სხვა საკითხებზე სოციოლოგიური გამოკითხვის ანალიზი.

ფეტიშიზაცია ხელისუფლების — (ფრ. fetiche — კერპი, თილისმა (ხელისუფლების ბრმა თაყვანისცემა, ხელისუფლების კულტი, რომელიც გამოიხატება ხელისუფლების ორგანოებისადმი ან მმართველებისადმი ზებუნებრივი თვისებების, აბსოლუტური „სუვერენის" — ნიშნების მიწერაში, მათი გადაწყვეტილებების უკანასკნელ ინსტანციად ჭეშმარიტად წარმოდგენაში, ფეტიშიზაციის შედეგია ადამიანის სოციალური მნიშვნელობის დაკარგვა, სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა არასწორი გაგება, პასიურობა და პოლიტიკური ნიჰილიზმი.

ფორუმი — (ლათ. forum) ძველ რომში მოედანი, სადაც იმართებოდა სახალხო კრებები, სხვადასხვა თავყრილობანი, ბაზრობა და სასამართლო, ფართო წარმომადგენლობითი კრება, ყრილობა, კონგრესი.

ფრაქცია პოლიტიკური — (ლათ. fractio) პარლამენტებში, ყრილობაზე მთავრობაში, კავშირში, პარტიაში განცალკევებული ჯგუფი, რომელიც იქმნება პარტიის მიერ შემუშავებული ხაზის გასატარებლად, ოპონენტებთან საბრძოლველად, სხვადასხვა დადგენილებების ბლოკირებისაგან, რეფორმების გასატარებლად და ა. შ.

პოლიტიკური ფრაქცია — პოლიტიკური ოპოზიციის ლეგალური ფორმა.

ფრუსტრაცია — (ლათ. frustatio — მოტყუება), საზოგადოების, ერების, სოციალური ჯგუფების, პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ისეთი ნიშნებით, როგორ-

ცაა ისტორიული განვითარების პერსპექტივების დაკარგვა, მზარდი პოლიტიკური დაძაბულობა, მდელვარება, გამოუვალობის და სასოწარკვეთილობის მდგომარეობა. დომინირებს პრინციპი „იცხოვრე ერთი დღით“

ფუტუროლოგია — (ლათ. futurum — მომავალი) სოციოლოგიის დარგის ცოდნისა და მეთოდების კომპლექსი, რომელიც კაცობრიობის მომავალს იწინასწარმეტყველებს, სწავლობს. სოციალური პროგნოზირება (ასეთი ცოდნის საშედეგოობა, როგორც წესი, ემყარება საზოგადოების განვითარების ტენდენციების, მისი სფეროებისა და სისტემების შესწავლას და ზემდგომში ინფორმაციების გავრცელებას (ექსტრაპოლაციას) იმიჯეტურ რეალობაში არსებული ტენდენციებს ადგილისა და დროის მონაკვეთის შესახებ. ისტორიული პროცესს სრული ფორმით განუმეორებლობის გამო ფუტოროლოგიურ ცოდნას აქვს ალბათობითი ხასიათი. ფუტოროლოგიის სფეროში გადაწყვეტილებათა გადაუმუშავების საქმეში, ცოდნა ძალზედ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით პოლიტიკაში. ლიტერატურაში ტერმინი „ფუტუოროლოგიასთან“ ერთად იხმარება ტერმინი „პროგნოსტიკა“.

ხ

ხარიზმაბული ხელისუფლება — (ბერძ. charisma — კერძო) ხელისუფლების ერთ-ერთი ფორმა, ცურვწმენით ხარიზმა არის განსაკუთრებული ბუნებრივი ნიჭიერება, რომლითაც დაჯილდოებულია ადამიანი. ხარიზმატული ხელისუფლება დაკავშირებულია ლიდერის პირად მიმზიდველობასთან, დამყარებულია მის განსაკუთრებულ, მაგიურ თვისებებზე (რევოლუციური ბელადი, რელიგიური, წინასწარმეტყველი, პოლიტიკოსი, რომელმაც ქვეყანა კრიზისიდან უნდა გამოიყვანოს); ასეთი ხელისუფლების ავტორიტეტი ემყარება უნარს,

-ააარწმუნოს ადამიანები და არა უხეშად დააშინოს ისინი. ხარიზმატული ხელისუფლება წარმოადგენს არასტაბილურ ხელისუფლებას ტრადიციულ და ლეგალურ ხელისუფლებასთან შედარებით.

ხუნტა — (ესპ. junta — ესპანეთსა და ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში სხვადასხვაგვარი გაერთიანებების, კავშირების, კომისიების— სახელმწიფო ორგანოების სამხედრო მთავრობების სახელწოდება; შეთქმულთა ჯგუფი, რომლებმაც უკანონოდ ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება— და მართავენ მას დიქტატორული მეთოდებით.

ცენტრი პოლიტიკური — (ლათ. centrum). პოლიტიკური ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ან ორგანოთა კომპლექსი: პარლამენტში, პარტიაში: მემარჯვენეთა და მემარცხენეთა შორის არსებული შუალედური პარტიების, ჯგუფების სახელწოდება. ცენტრის თეორიულ და პოლიტიკურ მიზანდასახულობას აქვს კონკრეტულ-ისტორიული ხასიათი. რის მიხედვითაც განასხვავებენ მის პოლიტიკურ როლს: ერთ შემთხვევაში იგი თამაშობს კონსერვატიულ როლს, ხელს უშლის პროგრესული ცვლილებების გატარების, მეორე შემთხვევაში პროგრესულს რეაქციულ ძალებს საშუალებას არ აძლევს მიაღწიონ უპირატესობას. ცენტრს შეუძლია შეასრულოს მასტაბილიზებელი როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, იმ შემთხვევაში, თუ ცენტრისტულ პარტიებში, ჯგუფებსა და დაჯგუფებებში არიან საღად მოაზროვნე პიროვნებები. რომელთაც შესწევს უნარი, ობიექტური შეფასება მისცენ მემარჯვენე და მემარცხენე პარტიათა და დაჯგუფებათა თეორიულ და პოლიტიკურ უკიდურესობებს და წარმოადგინონ რეალისტური, სიცოცხლისუნარიანი კურსი. სტაბილური პოლიტიკური ცენტრის ფორმირება მოწმობს ქვეყანაში მრავალპარტიულობისა და პარლამენტარიზმის განვითარების დონეზე საზოგადოების პოლიტიკური კულტურის მომწიფებას.

ცენტრიზმი — (ლათ. centrum) პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელსაც შუალედური მდგომარეობა უჭირავს პარტიაში, ჯგუფში, ქვეყანაში მემარჯვენეთა და მემარცხენეთა შორის. პოლიტიკურ პარტიებში შუალედური მდგომარეობა უჭირავს მემარჯვენე და მემარცხენე აზრის ჯგუფებსა და ფრაქციებს შორის. ცენტრიზმი საფუძველში შეიძლება იყოს სხვადასხვა პოლიტიკური და თეორიული მიზანდასახულობანი, რომელიც განისაზღვრება ქვეყნის კონკრეტული ისტორიული პირობებით. საზოგადოებაში პოლიტიკურ და სოციალურ ძალთა განლაგებით.

ცივილიზაცია — (ლათ. civilis — სამოქალაქო) საზოგადოებისა და კაცობრიობის სულიერი და მატერიალური კულტურის განვითარების დონე, რომელსაც მიაღწია ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა ფორმაციამ, ცივილიზაცია შეიძლება განხილული იქნეს როგორც ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ფასეულობათა მატერიალიზაციის პროცესი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე საწარმოო ძალების განვითარების დონე: რომელიც ყველა ფორმის და

ტიპის სოციალური კავშირების სისტემა, როგორც საზოგადოების დემოკრატიზაციის, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჰუმანიზაციის ხარისხი, როგორც თავისუფლების და სამართლიანობის რეალური მდგომარეობა; როგორც საზოგადოებრივი განვითარების მრავალვარიანტულობა, როგორც ეროვნულისა და ზოგად საკაცობრიო დიალექტიკა, როგორც მიზანი, ინტერესი, იდეალი. საზოგადოების ცივილიზებულობის კრიტერიუმად გვეელინება ადამიანის რეალური სტატუსი, მისი უფლებ. მოვალეობანი, სოციალური დაცულობა და ცხოვრებისეული პოზიციის არჩევის შესაძლებლობა. ცივილიზაციის ზნეობრივი საფუძველია მოქალაქეობრიობა, მოღვაწეობა, პატრიოტიზმი, მაღალზნეობრიობა. საზოგადოების პროგრესთან დაკავშირებით მწვავე სოციალური პრობლემა. ქცევა, მასში ცივილიზებული ხელისუფლების დაძაბვიდრება, ცივილიზებული პოლიტიკის გატარება ცივილიზებული პოლიტიკოსების ხელით.

ცინიზმი — პოლიტიკური (ბერძ. kynismus) პოლიტიკოსის ერთ-ერთი უარყ ფითი თვისება, რომელიც მდგომარეობს ზნეობრივი ნორმებისადმი აგდებულ დამოკიდებულებაში. ცინიზმის გამოვლენის ფორმები მრავალია; ამორალური მეთოდების გამოყენება ამათუ იმ მიზნის მისაღწევად ტყუილები, პოპულიზმი, ნაკლის დაფარვა და სხვაზე გადაბრალება, თავხედური გულახალობა, ფაქტების დამახინჯება.

ჩ

ჩინი — სამსახურებრივი წოდება სამხედრო და სამოქალაქო პირებისა, რომელთანაც დაკავშირებულია მისი მოვალეობები და უფლებები.

ჩინოვნიკი — სახელმწიფო მოხელე, რომელსაც აქვს ჩინი: სამსახურებრივი წოდებები; თანამდებობის პირი, რომელიც დაკისრებულ საქმეს ფორმალურად, უსულგულოდ ასრულებს.

შ

შანსი პოლიტიკაში — (ფრ. chance — წარმატება) პოლიტიკური მიზნების წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა. პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკურ წარმატებას, გამარჯვებას, ხშირად, ყოველდღიურობაში. ძნიშვნელოვნად მიიჩნევენ შანსის დროულად და სწორად გამოყენებას, ხოლო ყოველგვარი მარცხი, შანსის გამოუყენებლობა ითვლება შეცდომად. ისეთი ტიპის რეკომენდაციები, როგორიცაა „შანსი არ დაკარგო", „ხელიდან არ გაუშვა შანსი" ყოველდღიურ ლექსიკაში ანდაზად იქცა.

შანტაჟი — (ფრ. chantage — სახელგამტეხი ფაქტების) ნამდვილის თუ მოგონილის) გამომეღავნების მუქარა და ამ გზით ვამოძალვა (ფულის, ქონების და სხვა).

შეფი — (ფრ. chef — ხელმძღვანელი, უფროსი ორგანიზაციის; რომელიც სისტემურ დახმარებას (შეფობას) უწევს კოლექტივს. ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ შეფი ყოველთვის მართალია; მაგრამ თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაშიც და სახელმწიფოშიც განსაკუთრებით პოლიტიკურ სფეროში, საჭიროა, შეფთან ურთერთობის დროს სიფრთხილე და აწონ-დაწონილი მოქმედება პოლიტიკური სტრუქტურების ნებისმიერ რგოლში.

შიფრი — (ფრ. chiffre) საიდუმლო წერილისათვის საჭირო პირობითი ნიშნების სისტემა. უკიდურესად მნიშვნელოვანი ცნობების დეპეშა), მითითებების ბრძანებების ან განკარგულებების შემცველი დაშიფრული დეპეშა; ჩანაწერი ან წერილი, განკუთვნილი პირთა უკიდურესად ვიწრო წრისათვის, ზომჯერ ცალკეული პირებისადმი, განსაკუთრებით უმაღლესი ძალაუფლების მქონე სტრუქტურებიდან.

შოვინიზმი — (ფრ. chauvinisme) ტერმინი უკავშირდება ნიკოლა შოვენს — ლიტერატურულ გმირს შვეი კონიარების კომედიიდან „სამფეროვანი კოკარდა" — პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემა შეხედულებებისა და მოქმედებებისა, რომელიც ქადაგებს ეროვნულ განსაკუთრებულობას სხვადასხვა ერის ინტერესებს ერთიმეორეს უპირისპირებს, აღვივებს შუღლს, ეროვნულ ექსტრემიზმს. შოვინისტური ორიენტაცია არის იმ პოლიტიკანების ხვედრი, რომლებიც უარყოფენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, მორალურ ნორმებს, ადამიანთა და მთელი ხალხების უფლებებს საზოგადოებრივი წყობილებისა და საქმიანობის ფორმების საკუთარი არჩევნის გაკეთებისათვის.

შტაბი — (გერმან. stab) ჯარების მართვის ორგანო) შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ნაწილებში, შენაერთებში, გაერთიანებებში), პოლიტიკური ლიდერის გარემომცველი წრის, მისი კონსულტანტების, მრჩეველების, თანაშემწეების ბატოვანი სახელწოდება. არაიშვიათად რეალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში სწორედ ამ ტიპის „შტაბში" გამომუშავდება პოლიტიკური კურსი და არა მასობრივ შეკრებებზე, მითუმეტეს, დემონსტრაციებსა და მიტინგებზე.

შტატი — (ლათ. status) თანამშრომელთა მთელი მუდმივი შემადგენლობა; ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში არსებული ტერიტორიალური სახელმწიფოებრივი ერთეული, რომელსაც

აქვს თვითმმართველობა (მაგ. აშშ, მექსიკა, ვენესუელა, ბრაზილია. შტ-ტების გადაადგილება, განსაკუთრებით კი ზედა ეშელონებში, ხშირად ერთის შეხედვით ძნელი გასაგებია მაგრამ პოლიტიკაში გაცილებით მნიშვნელოვანია. ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ეს შეეხება როგორც ამა თუ იმ ფიგურის „თანამდებობაზე დაწინაურების", ისე „ჩრდილშ-" მოქცევის პრაქტიკას.

დ ა ნ ა რ თ ი

პოლიტოლოგიის ხანიმუშო თემატიკა

თემა 1.

პოლიტოლოგიის საგანი. მისი ადგილი და როლი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში.

ადამიანი და პოლიტიკა. პოლიტიკის არსი. პოლიტიკური მეცნიერების შესწავლის საგანი და ობიექტი. პოლიტოლოგია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებანი. პოლიტიკური ფილოსოფია და პოლიტიკური სოციოლოგია. კრატოლოგია — მეცნიერება ხელისუფლების შესახებ. პოლიტიკური ფსიქოლოგია და პოლიტიკური ეთიკა..

პოლიტიკური მეცნიერების მეთოდოლოგია და მეთოდიკა. პოლიტიკური შეხედულებების, ინტერესების, ურთიერთობების შესწავლის მეთოდები.

თემა 2.

თანამედროვე პოლიტიკური თეორიები და დოქტრინები.

პოლიტიკური იდეოლოგია და პოლიტიკური დოქტრინები. ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი — თანამედროვეობის მძლავრი პოლიტიკური მიმდინარეობანი.

თანამედროვე სოციალ-დემოკრატია. საშუალოს გარდაქმნის სოციალ-დემოკრატიული მოდელი.

თემა 3.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემა.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სტ. ექტურა. პოლიტიკური პარტიები საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში.

პოლიტიკური ურთიერთობანი და პოლიტიკური შეგნება.

თემა 4.

პოლიტიკა, როგორც სოციალური ფენომენი

პოლიტიკის არსი. პოლიტიკის როლი სოციალურ ცხოვრებაში. პოლიტიკის კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებთან.

თემა 5.

ხელისუფლების არსი. ნაირსახეობანი და ფუნქციონირების მექანიზმი

ხელისუფლების რაობა და არსი. ხელისუფლების ტიპები და ნაირსახეობანი. ხელისუფლების ფუნქციონირების მექანიზმი. ხელისუფლება და პოლიტიკური ხელისუფლება. პოლიტიკური ხელისუფლების კონცეფციები.

თემა 6.

სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში

სახელმწიფოს არსი და მისი ფუნქციები, სახელმწიფოს შესახებ პოლიტიკური თეორიები. სახელმწიფოს ისტორიული ტიპები. სახელმწიფოს ძ ირითადი ნიშნები. სახელმწიფოს მოწყობის ფორმები. სასახელმწიფოს ფუნქციები. სამართლებრივი სახელმწიფო.

თემა 7.

საზოგადოების პოლიტიკური კულტურა

პოლიტიკური კულტურის ცნება. პოლიტიკური კულტურის სტრუქტურა და ტიპები. პოლიტიკური სოციალიზმის ცნება.

თემა 8.

პოლიტიკა და პიროვნება

პიროვნება, როგორც პოლიტიკის სუბიექტი და ობიექტი. ადამიანის უფლებათა კონცეფცია. პიროვნების სტრუქტურა.

თემა 9.

პოლიტიკაში მონაწილეობა

არჩევნების ფორმები და სტრუქტურა. სახელმწიფოს და წარმოების მართვაში მონაწილეობა.

თემა 10.

დემოკრატია და პოლიტიკა

დემოკრატიის არსი და გაგება. დემოკრატიული პრინციპები. დემოკრატია და თანამედროვეობა.

თემა 11.

პოლიტიკური რეჟიმები

პოლიტიკური რეჟიმის განსაზღვრის კრიტერიუმი. დემოკრატიული რეჟიმი, მისი არსებითი ნიშნები. ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმები.

თემა 12.

პოლიტიკური ლიდერობა

პრობლემის ისტორიული ასპექტები. ლიდერის ფენომენის სოციალურ-პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მაჩვენებლები. ლიდერის ტიპოლოგია.

თემა 13.

პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი

საერთაშორისო კონფლიქტები და ომები.
ომისა და მშვიდობის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე.
ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის საქართველოში.

თემა 14.

მსოფლიოს გლობალური პრობლემების სოციალურ-პოლიტიკური ასპექტი

ეკოლოგიური, ენერგეტიკული და დემოგრაფიული პრობლემებს გლობალური ხასიათი.
გლობალური პრობლემების სოციალურ-პოლიტიკური ასპექტი.

Министерство образования Республики Грузия
Грузинский государственный аграрный университет

ПОЛИТОЛОГИЧЕСКИЙ СЛОВАРЬ
(на грузинском языке)

Составитель: пр. Тавберидзе С. Т.

Редактор: пр. Чануквадзе В. Н.

Рецензент: доц. Чкуасели И. Е.

დედანი მომზადდა გამოსაცემად სარედაქციო-საგამომცემლო
განყოფილების მიერ

რედაქტორი ნ. კირეხელიძე

გამომშვები ნ. კაკელია

შეკვეთა 98/73
ტირაჟი 500
გადაეცა წარმოებას 1.07.96 წ.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 6
სასტამბო — 6,75

ფასი სახელშეკრულებო

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, 31